1) 27683.
603/N 15 624.

# ლელო

№179 (12 249)
1 აგვისტო ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

## სეზონი 2007/08

### საქართველოს და იტალიის კალენდრები დაამტკიცეს

**I ტური**

**10 აგვისტო. პარასკევი**
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
მესხეთი-მგლები
ლოკომოტივი-ამერი

**11 აგვისტო. შაბათი**
ტორპედო-ბათუმი
სიონი-სპარტაკი
ოლიმპი-დინამო

**12 აგვისტო. კვირა**
ბორჯომი-მერანი

სრულად 5

LEGA CALCIO

**I ტური**

**25 აგვისტო**
ლაციო-ტორინო

**26 აგვისტო**
ფიორენტინა-ემპოლი
ჯენოა-მილანი
ინტერი-უდინეზე
იუვენტუსი-ლივორნო
ნაპოლი-კალიარი
პალერმო-რომა
პარმა-კატანია
რეჯინა-ატალანტა
სიენა-სამპდორია

სრულად 8

iRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

# გზა დაგვილოცნია!

წმინდა ილიას დღეს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები საფრანგეთში სამუნდიალო შეკრებაზე გაემგზავრა



ნაკრების კაპიტანი ილია ზედგინიძე

**ილია ზედგინიძე,**
გუნდის კაპიტანი

...ეს ამაღელვებელი გრძნობა, რაც დღეს განვიცადეთ, საფრანგეთში უკანასკნელ მატჩამდე გაგვყვება და მეტ ძალას, ენერგიას შეგვმატებს. ვეცდებით, ჩვენს ქომაგებს იმედები არ გავუცრუოთ...

კომენტარები და ნაკრების შემადგენლობა 10



# სანდრო იაშვილი: სადებიუტო ტაიმი და საგოლე პასი

შვეიცარიულ აქსპო-სუპერლიგაში **სანდრო იაშვილის** დებიუტი მხოლოდ გუშინ, მესამე ტურში შედგა. სანდროს კარგი ფეხი ჰქონია. "თუნმა" ახალ სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა და ამ გამარჯვებაში თავისი წვლილი იაშვილმაც შეიტანა. ქართველი ფორვარდი მწვრთნელმა სრული მეორე ტაიმი ათამაშა. 51-ე წუთზე, სანდრომ "კედელი" გაითამაშა **ანდრეს გერბერთან,** თანაგუნდელი "სენტ გალენის" მეკარესთან პირისპირ დატოვა და ასე გავიდა მატჩის ერთადერთი გოლი. არადა, თავად იაშვილსაც შეეძლო ბურთის გატანა. 70-ე წუთზე მან 25 მეტრიდან დასცხო, მაგრამ სტუმართა გოლკიპერმა იყოჩაღა. მოკლედ, სადებიუტო ტაიმი და საგოლე პასი: დასაწყისისთვის ურიგო არ არის.

**დავით ცაბაძე**

# ქუთაისის ტორპედოს ასათიანი ეხმარება

მალხაზმა მშობლიურ კლუბს ბურთები და სათამაშო ფორმა უყიდა

## ბათუმის გადარჩა



3-4

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

ეროვნული ბიბლიოთეკა



21-წლამდელთა ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# სატრაბზონო ოცეული ცნობილია



პეტარ სეგრტი

ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები, პოლონეთთან სტუმრად თამაშამდე, 4 აგვისტოს თურქეთში "ტრაბზონთან" ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ამ თამაშისთვის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **პეტარ სეგრტმა** გუნდში 20 ფეხბურთელი გამოიძახა:

მეკარეები: გიორგი მაკარიძე (დინამო), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი).

მცველები: დავით მჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია, გიორგი ელბაქიძე (ყველა ამერი), გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი), უჩა ლობჟანიძე (დინამო), აკაკი ხუბუტია (შილუეტა, ლიტვა), გიორგი თავბერიძე (სიონი), ამირან სანაია (ზესტაფონი).

ნახევარმცველები: ალექსი ბენაშვილი, მურთაზ დაუშვილი, გიორგი ხიდეშელი (ყველა ზესტაფონი), ბექა ჟღენტი (ტორპედო მ. რუსეთი), გიორგი თარგამაძე (ფრაიბურგი, გერმანია), კახა მახარაძე, ირაკლი ჩირიკაშვილი (ორივე დინამო).

თავდამსხმელები: ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), ვლადიმერ დვალიშვილი, გიორგი კახელიშვილი (ორივე ოლიმპი).

ჩვენი გუნდი თურქეთში ხვალ გაემგზავრება. მატჩი კი 4 აგვისტოს, 40-წლოვანი იუბილის მქონე "ტრაბზონის" მშობლიურ არენაზე, "ავნი აკერზე" გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# შოთა არველაძე ოპერაციას იკეთებს

## ლევანტემ ქართველ ფორვარდს უფლება მისცა...



შოთა არველაძე

**შოთა არველაძემ** "ლევანტესგან" ნებართვა აიღო, გუშინ ესპანეთიდან ამსტერდამში ჩავიდა და დღეს-ხვალ ოპერაციას გაიკეთებს.

"ლევანტეში" "ალკმაარიდან" ახლახან გადასულმა 34 წლის არველაძემ სულ რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა და მუხლმა ისე შეაწუხა, საოპერაციო შეიქნა. შოთა ჯერ "ლევანტეს" ექიმს გაესინჯა, მერე კი კლუბის ხელმძღვანელობასაც შეუთანხმდა, რომ ოპერაციას გაიკეთებდა.

არველაძემ მარჯვენა მუხლზე ოპერაცია ბოლოს 2004 წლის გაზაფხულზე გაიკეთა, როცა "გლაზგო რეინჯერსში" თამაშობდა. მაშინ მან სარეაბილიტაციო პერიოდს დაახლოებით სამი თვე მოანდომა. შოთა ამსტერდამში ახლა თავისი ყოფილი კლუბის, "ალკმაარის" ექიმ **ჯინკო ბარენს** მიაკითხავს და ოპერაციას მასთან გაიკეთებს - მან მუხლიდან ხრტილოვანი ნაფშვენები უნდა ამოუღოს. პრიმერა დივიზიონი კი 26 აგვისტოს იწყება და არველაძე მინიმუმ ოქტომბრამდე ვერ შეძლებს ესპანურ მინდვრებზე გასვლას.

**დავით თავართქილაძე**

უეფას თასი. ვადუცი-დინამო. რას წერენ ჩვენზე

# დინამოს დაცვაში სისუსტეები შევნიშნეთო

## ვადუცი მაკდონალდსში დანაყრდა



ვადუცელები დინამოს დაცვაში დანახული ხარვეზების გამოყენებას შეეცდებიან

ხვალ, უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე საპასუხო მატჩში თბილისის "დინამოს" ლიხტენშტაინის "ვადუცი" უმასპინძლებს. საინტერესოა, თუ რას ფიქრობენ ლიხტენშტაინელები მომავალ მატჩზე და როგორ ემზადებიან სტუმრების დასახვედრად. სწორედ ამ თემას ეხება "ვატერლანდზე" მოძიებული მასალა:

*"თბილისის "დინამო" ლიხტენშტაინში დღეს ჩამოვა. ქართველებს ვადუცში ნაშუადღევს ელოდებიან. "დინამო" სასტუმრო "რეზიდენსში" დაბინავდება და უკეთეს პირობებში იცხოვრებს, ვიდრე "ვადუცს" ჰქონდა თბილისში...*

*"დინამოს" რიგებში ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი ნედ ზელიჩია. ის გერმანულ ბუნდესლიგაში წლების განმავლობაში ასპარეზობდა და ტიტულებიც აქვს მოპოვებული. თბილისში წაგების შემდეგ "ვადუცისთვის" ქართული ბარიერის გადალახვა ძნელი იქნება, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენებმა პირველი ეტაპი ყოველთვის გადალახეს. თბილისურ მატჩში "დინამოს" დაცვის სისუსტეები გამოჩნდა...*

*"ვადუცის" ფეხბურთელები გუშინ მხოლოდ "მაკდონალდსში" კვებით დაკმაყოფილდნენ.*

*საქართველო ღარიბი ქვეყანაა და თბილისიდან "დინამოს" ფანების ჩამოსვლასაც არ ველოდებით. ქართველები 36 წევრისგან შემდგარი დელეგაციით გვეწვევიან და მათში ალბათ, მასმედიის თითო-ოროლა წარმომადგენელიც იქნება".*

**დავით ცაბაძე**

პრეზიდენტის თასი

# ტურნირი ინტერესს იწვევს

**ტრადიციული ტურნირი - პრეზიდენტის თასის გათამაშება, რომელიც წლეულს მესამედ ტარდება, რამდენიმე დღეა მიმდინარეობს. გათამაშება უკვე გვარიანად გახურდა და რეგიონების ჩემპიონთა გამოსავლენად, მეორე ეტაპიც დაიწყო. თბილისში კი ფინალური ეტაპი დღეს აილებს სტარტს და 6 აგვისტოს დასრულდება.**

**რა ელით გამარჯვებულებს, რამდენად დიდია ინტერესი... ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გათამაშების ერთ-ერთ ორგანიზატორს, ქართულ სპორტში კარგად ცნობილ ვალერი გიორგობიანს გავესაუბრეთ.**

- პრეზიდენტის თასის გათამაშება დაიწყო და ეს ტურნირი, როგორც იტყვიან, ფინიშის სწორზე გავიდა. გათამაშება დედაქალაქშიც საინტერესოდ მიმდინარეობს. 1-6 აგვისტოს თბილისში დასკვნითი ეტაპი გაიმართება, რომელიც დედაქალაქის ჩემპიონს გამოავლენს. რეგიონების ფინალურ რაუნდში გასული ყველა გუნდი დამოუკიდებლად ვარჯიშობს და საამისოდ ყველა პირობა გააჩნიათ. აშკარად იგრძნობა, რომ ტურნირისადმი ინტერესი დიდია. გათამაშებას ხალხიც საკმაოდ ესწრება.

ამას გარდა, მეტოქე გუნდები ერთმანეთის განაცხადებსაც ამოწმებენ, რომ მასში მოქმედი ფეხბურთელი არ მოხვდეს. ტურნირის რეგლამენტით მათ კონტროლის უფლება აქვთ და ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ გათამაშება დიდ ინტერესს იწვევს.

**- ერთი ან რამდენიმე ფავორიტი ხომ არ გამოიკვეთა?**

- მართალი გითხრათ, დიდი ანგარიშები არ დაფიქსირებულა. მეტ-ნაკლებად ყველა თანაბარი გუნდია. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ გათამაშება დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს.

**- როგორც გავიგეთ ტურნირში მონაწილეთა რიცხვი დიდი ყოფილა...**

- დიახ, წლეულს უფრო მეტ გუნდს სურდა ტურნირში მონაწილეობა. მაგალითად, თუ შარშან ნაძალადევის რაიონიდან გათამაშებაში 30 გუნდი მონაწილეობდა, წლეულს ეს რაიონი 38 გუნდით წარდგა.

**- რეგიონებშიც ანალოგიური სურათია?**

- დიახ, ასეთივე მდგომარეობაა რეგიონებშიც. მაქსიმალურად შევეცადეთ ტურნირში მონაწილეობის მსურველები დაგვეკმაყოფილებინა. ამ ინტერესიდან გამომდინარე, ჩვენი გათვლით, გაისად, ტურნირს 50 ათასი მონაწილე ეყოლება. ეს კი, ჩინებული შედეგია. ეს ფეხბურთის პოპულარიზაციისთვისაც კარგია და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვისაც.

**- დასკვნითი ეტაპი აგვისტოს მეორე ნახევარში შავიზღვისპირეთში ჩატარდება?**

- დედაქალაქის პარალელურად რეგიონებშიც მიმდინარეობს ჩემპიონების გამოვლენა. 8 აგვისტოს უკვე ყველა რეგიონის ჩემპიონი გარკვეული იქნება. როგორც გითხარით, რეგიონებშიც დიდია ინტერესი და ახლა, ჩვენი საუბრის შემდეგ კახეთს მივემგზავრები. კახეთში ფინალური ეტაპი დღეს იწყება და სასტარტო მატჩში თელავისა და გურჯაანის გუნდები ხვდებიან ერთმანეთს.

რაც შეეხება ფინალურ ეტაპს მთელი საქართველოს მასშტაბით, დასკვნითი რაუნდი 15-20 აგვისტოს გაიმართება. შარშან ეს ეტაპი ბათუმში ჩავატარეთ, წლეულს კი ურეკი, ფოთი ან განმუხური უმასპინძლებს.

**- ტურნირის საპრიზო ფონდზე რას გვეტყოდით?**

- გათამაშებისადმი დიდ ინტერესს საპრიზო ფონდიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს. კარგი პრიზები და ფულადი პრემიები გამარჯვებულებს უკვე ორი წელიწადია ვურიგებთ. პრეზიდენტის თასის მფლობელს 5 ათასი ლარი ერგება, მეორეადგილოსანს - 3 ათასი, მესამეს - 2 ათასი, მეოთხეს კი ათასი ლარი.

**დავით ცაბაძე**

### კალენდარი

| 1 აგვისტო | 3 აგვისტო |
|---|---|
| A დიდუბე-ნაძალადევი 18:00 | E სამგორი-გამარჯვებული A 18:00 |
| B ვაკე-გლდანი 19:00 | F ძველი თბილისი- გამარჯ. B 19:00 |
| **2 აგვისტო** | **5 აგვისტო. ნახევარფინალები** |
| C საბურთალო-ისანი 18:00 | გამარჯ. C - გამარჯ. E 18:00 |
| D მერია-დიდგორი 19:00 | გამარჯ. D-გამარჯ. F 19:00 |

**6 აგვისტო. 18:00. ფინალი. 19:00. მატჩი მესამე ადგილისათვის**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ინ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ქუთაისური ამბები

# მალხაზ ასათიანი ტორპედოს ეხმარება

ქუთაისის „ტორპედო" რთულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. საქართველოს სამგზის ჩემპიონი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იმყოფება. სპონსორის გარეშე დარჩენილმა „ტორპედომ" დღემდე ვერ დააკმაყოფილა ლიცენზირების მოთხოვნები და პროფლიგისთვის ფინანსური გარანტიების წარდგენა ვერ მოახერხა. ქუთაისელებს თანხების მოსაძიებლად 3 აგვისტომდე მიეცათ ვადა. თუ ამ ორ დღეში რიონისპირა ქალაქში „ტორპედოს" გადასარჩენი თანხა არ გამოიძებნა, შესაძლოა, მე-19 ეროვნულმა ჩემპიონატმა ქუთაისური გუნდის გარეშე ჩაიაროს. „ტორპედოს" ხელმძღვანელები იმედს არ კარგავენ, რომ ქუთაისში გამოჩნდებიან საქმოსნები, რომელთა დახმარებითაც გუნდი ჩემპიონატში იასპარეზებს. „ლელო" ამ საკითხთან დაკავშირებით „ტორპედოს" მთავარ მწვრთნელ დავით ჯანაშიასა და გუნდის უფროსს პაპუნა მელაძეს ესაუბრა.

**- „ტორპედოს" 3 აგვისტომდე მიეცა ფინანსური გარანტიების წარდგენის ვადა, როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია ასეთ მცირე დროში სახსრების მოძიება?**

**დავით ჯანაშია:** როგორც ვიცი, ამ საქმეში ქალაქისა და მხარის ხელმძღვანელობაა ჩართული და ყველანაირად ეცდებიან, რომ გუნდმა ჩემპიონატში გამოსვლა მოახერხოს. მეტის თქმა ამ ეტაპზე არ შემიძლია, მე მწვრთნელი ვარ და ჩემს საქმეს ვაკეთებ. ბევრი ვიშრომეთ, გუნდი თითქმის ახლიდან დავაკომპლექტეთ და მართლაც დასანანი იქნება, თუ ამდენი შრომა წყალში ჩაგვეყრება.

ეს ძალიან ცუდი იქნება, რადგანაც შესაძლოა, 2-3 თვეში ფული გაჩნდეს და გუნდი აღარ იყოს. მაგრამ, როგორც ვთქვი, იმედი მაქვს, რომ გამოჩნდებიან გულისხმიერი ადამიანები, რომლებიც „ტორპედოს" დახმარების ხელს გაუწვდიან.

ოპტიმისტურად არის განწყობილი გუნდის უფროსი **პაპუნა მელაძე:**

- რთულ მდგომარეობაში ვიმყოფებით, მაგრამ ჩემპიონატში გამოსვლის დიდი იმედები გვაქვს. „ტორპედოს" ბედით მთელი ქალაქია დაინტერესებული. ამ საქმეში ქალაქისა და მხარის ხელმძღვანელობაა ჩართული. ეძებენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც „ტორპედოს" სპონსორობას შეძლებენ და გუნდს გადაარჩენენ.

**- „ტორპედო" კერძო საკუთრებაა და ქალაქის ხელმძღვანელობას რა სახით შეუძლია მისი დახმარება?**

-„ტორპედო" მხოლოდ ფორმალურად, ქაღალდზეა შ.პ.ს, თორემ, ფაქტობრივად, მფლობელის გარეშეა დარჩენილი. თუ ვინმე ისურვებს გუნდის სპონსორობას, „ტორპედოს" უპრობლემოდ გადაუფორმებენ.

**- ხომ არ გამოუთქვამს ვინმეს გუნდის პატრონობის სურვილი?**

- სპონსორების ძიებაში ვართ. იმედია, გამოჩნდება ისეთი ადამიანი ვინც „ტორპედოს" ამ რთულ მომენტში ფინანსურად დაეხმარება. არიან „მოხალისეები": „ავერსი" მედიკამენტებით გვამარაგებს, მალხაზ ასათიანმა ბურთები და სათამაშო ფორმა შეგვიძინა, მხარში გვიდგას „ლუკოილი"... იმედია, სხვებიც გამოჩნდებიან და ქუთაისი ამ დიდ სირცხვილს თავს დააღწევს.

რეალურად, გუნდს თუ ანგარიშზე თეთრიც არ აქვს, ჩემპიონატში რა ესაქმება? უფულო გუნდი მაინც დაიშლება და ამიტომ თავიდანვე აჯობებს რადიკალური ზომების გატარება. იმედია, „ტორპედო" ამ პრობლემებს თავს დააღწევს. დრო ცოტაა, მაგრამ მხარისა და ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ „ტორპედომ" საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა მოახერხოს.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან


ხვიჩა ქასრაშვილი და ვარლამ კილასონია ოლიმპში მუშაობას აგრძელებენ

ინტერვიუ ბადრი ქარქაშაძესთან

# მწვრთნელის მოხსნა არც გვიფიქრია

**რუსთავის "ოლიმპი" ჩემპიონთა ლიგას წესიერად ვერც "მიესალმა", ისე მოუწია მასთან დამშვიდობება. ყაზახებთან წაგება დიდი სირცხვილია, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა მომხდარს კანონზომიერად მიიჩნევს და სულ არ თვლის, რომ ამას აუცილებლად მთავარი მწვრთნელი უნდა შეეწიროს.**

**გვესაუბრება "ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტი ბადრი ქარქაშაძე.**

**- "ასტანასთან" წაგება ყველასთვის დიდი დარტყმა იყო - თავად გუნდის იმიჯისთვის, ფეხბურთელებისთვის, მწვრთნელისთვის, ხელმძღვანელობისა და მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის...**

- მთავარი მაინც ისაა, რომ ამ წაგებამ უპირველესად რუსთავის "ოლიმპის" სახელს დაარტყა. ჩვენზე მეტად მომხდარს არავინ განიცდის. ამას ვინ ჩივის, წაგებას კინალამ გადაგვაყოლეს. ის, რასაც ჩვენ განვიცდით, შემთხვევით არ მომხდარა. "ასტანა" გრანდი არაა, მაგრამ ჩვენთან შედარებით გაცილებით ძლიერი რომ აღმოჩნდა, შედეგიდანაც ჩანს. ეტყობა, ყაზახებსაც ძალიან ჩამოვრჩით და ეს მწყინს. აგერ, "ტობოლმა" ჩეხური და ბერძნული გუნდები გააგდო. გამოდის, ამ ქვეყნის გუნდებს ძველებურად აგდებით არ უნდა ვუყუროთ. ეს ხომ, ფაქტობრივად, რუსული გუნდი იყო და ლეგიონერების როლს ყაზახები უფრო ასრულებდნენ - სულ ოთხი-ხუთი ადგილობრივი ჰყავდათ. ჩვენდა სამწუხაროდ, ძველი დრო აღარაა, როცა ყაზახებთან თამაშსაც არ ვკადრულობდით. დროსთან ერთად, მდგომარეობაც იცვლება. მათ ფეხბურთში ათი წლის წინათ დიდი ფული დააბანდეს და შედეგებს ახლა იმკიან.

**- ოლიმპში" მეტი თანხის ჩადება არ იგეგმება?**

- მეტალურგიული ქარხნის მეპატრონე ჯოზეფ კეი, ფულს აბანდებს გუნდშიც და ინფრასტრუქტურაშიც. სტადიონის რეკონსტრუქცია გრძელდება, იქვე სასტუმროსაც აშენებს, სასადილო ბლოკს, სათადარიგო მოედნის მხარეს ორ ხელოვნურსაფარიან მოედანს მოვაწყობთ. ანუ იმის თქმა მინდა, რომ ახლა თანხა ორივე საქმეზე იხარჯება და როცა სტადიონისა და ბაზის მოწყობა დასრულდება, მერე ეს დაფინანსება მთლიანად გუნდის გაძლიერებას მოხმარდება.

**- ყაზახებთან წაგებამ ფეხბურთზე გული არ აუცრუა?**

- სასიხარულო ნაღდად არ იყო, მაგრამ შეგნებული კაცია და როდესაც გაიგო, "ასტანას" რა ბიუჯეტიც ჰქონდა, ღირსეულად მოიქცა.

ისე, უიღბლობაც იყო - თავიდან ყაზახები გონზე ვერ მოვიდნენ, ისეთი მომენტები შევქმენით და უაზროდ წავაგეთ, მაგრამ ასეთია ფეხბურთის წესი.

**- სხვათა შორის, სიურპრიზიც კი იყო, წაგების შემდეგ მწვრთნელი რომ არ მოხსენით და ვალერი კილასონიას მუშაობის გაგრძელების უფლება რომ მიეცით.**

- ასეთი საუბარი არც კი ყოფილა. მასე სადაა, რომ კაცს მუშაობა არ ვაცალოთ. რაც მთავარია, ვალერი წესიერი კაცია და ძალიან მონდომებული სპეციალისტია. შეცდომები ვის არ მოსვლია, მასაც ჰქონდა, მაგრამ ყოველ თვეს "ოლიმპში" ახალი მწვრთნელის დანიშვნას არ ვაპირებთ. მას მუშაობა უნდა ვაცალოთ.

**- ყველაფერი კარგი და, როგორ შეელიეთ თორნიკე აფციაურს, ამის გაგება ძნელია...**

- თვითონ თორნიკე იყო გაორებული. ჩვენი დახმარება სურდა, მაგრამ თამაშის უფლება არ ჰქონდა. ამ დროს გამოჩნდა გუნდი, რომელიც "ოლიმპივით" 500 დოლარს კი არ გთავაზობს, არამედ გაცილებით მეტს და შენს უკან ოჯახია. ყველას გმირობას ვერ მოვთხოვთ, ქართულ ფეხბურთს თავი რომ შესწიროს.

ამასთან გამოჩნდა სერბი ჟივკოვიჩი და თორნიკეს ხელი აღარ შევუშალეთ. ესაა ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა და მას ვერსად გავექცევით.

**- წლიდან წლამდე უკან მივექანებით და მალე ეს "უკანაც" აღარ დარჩება. გამოსავალს ვერ ხედავთ?**

- საქართველოს საკლუბო ფეხბურთი ხუთი-ექვსი კაცის ზურგზე დგას და ისინიც რომ არ იყვნენ, სახალისო ფეხბურთი გვექნება. გამოსავალი ყოველთვის არსებობს, ორჯერ მეტი პატრონი რომ გამოჩნდეს, გაცილებთი უკეთესი დონე იქნება. ეს მარტივი რეცეპტია, ბიზნესმენებს კი წახალისება სჭირდებათ, რამენაირად ფეხბურთში რომ შემოვიდნენ. ყველა ხედავს, რა საშინელი მდგომარეობაა. სამი გამორჩეული ფეხბურთელი გვყავდა ჩემპიონატში - ონიანი, იაშვილი, სეთურიძე და სამივე უცხოეთში გაიქცა. თუკი ეს მდგომარეობა არ გვაკმაყოფილებს და ასეც უნდა იყოს, უნდა შევცვალოთ მიდგომა.

**მერაბ მამულაშვილი**


ახალ სეზონში ტორპედოს ფორმებით მალხაზ ასათიანი შემოსავს

ინტერვიუ არმაზ დოლონაძესთან

# ტორპედოს არ მივატოვებთ

ოთხი წელიწადია ქუთაისის „ტორპედო" კრიზისიდან ვერ გამოდის. უსახსრობის გამო ქუთაისური გუნდი ყოველი სეზონის შემდეგ იშლება და მწვრთნელებს ახალი ფეხბურთელების ძებნა უხდებათ. გამონაკლისი წლეულსაც არ ყოფილა. „ტორპედო" ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა და დავით ჯანაშიამ მათი შემცვლელები საფეხბურთო სკოლებში გამოძებნა. „ტორპედოს" ახალწვეულთაგან მხოლოდ ორია ისეთი, რომლებსაც ქუთაისელი გულშემატკივრები ადრეც იცნობდნენ. რევაზ კვერნაძე და არმაზ დოლონაძე ქუთაისურ გუნდში შარშანაც თამაშობდნენ, მაგრამ იანვარში კვერნაძე „ბორჯომში" გადაბარგდა, დოლონაძემ კი „ზესტაფონს" მიაშურა. ახლა ისინი „ტორპედოში" ვარჯიშობენ და იმედოვნებენ, რომ ქუთაისურ გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმარებიან. ჩვენ ერთ-ერთ მათგანს, არმაზ დოლონაძეს გავესაუბეთ.

**- შეძლებული „ზესტაფონიდან" ისეთ გუნდში გადასვლა, სადაც ჯერ არც კი იციან, მიიღებენ თუ არა ჩემპიონატში მონაწილეობას, შენი მხრიდან ცოტა უცნაური ნაბიჯი იყო. რატომ გადაწყვიტე ფინანსურ კრიზისში მყოფ „ტორპედოში" დაბრუნება?**

- იანვარში „ზესტაფონში" იმ იმედით გადავედი, რომ იქ თამაშის შესაძლებლობა მომეცემოდა. ფეროელთა მხრიდან დიდი დაინტერესება იყო. მახარაძემ თავად მირჩია მათთან გადავსულიყავი. ახლაც მპირდებოდნენ, რომ თავის გამოჩენის შანსს მომცემდნენ, მაგრამ „ტორპედოში" დაბრუნება ვამჯობინე. ახალგაზრდა კაცი ვარ და თამაში მწყურია. „ზესტაფონში" დიდი კონკურენციაა და ძირითადში მოხვედრის ნაკლები შანსი მექნებოდა, აქ კი „ტორპედოს" ხელმძღვანელები ჩემზე გარკვეულ იმედებს ამყარებენ. ფული აუცილებელია, მაგრამ ჩემთვის ახლა უფრო მნიშნელოვანი სათამაშო პრაქტიკის მიღებაა.

**- გუნდმა ჩემპიონატში მონაწილეობა რომ ვერ მიიღოს?**

- არა მგონია ასე მოხდეს. აბა რისთვის ვემზადებით? გუნდის ხელმძღვანელობა ამ საკითხზე მუშაობს და, ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება.

**- თქვენს მიერ ჩატარებული ამხანაგური მატჩებით თუ ვიმსჯელებთ, „ტორპედო" ძალიან სუსტად გამოიყურება. შენი აზრით, რისი მიღწევა შეეძლება ამ გუნდს ჩემპიონატში?**

- დაბეჯითებით ერთის თქმა შემიძლია, ყველა გუნდთან ბოლომდე ვიბრძოლებთ და ჩვენთან იოლად ვერავინ გაისეირნებს. ამხანაგურ მატჩებში ცუდი თამაში არაფერს ნიშნავს. ახალი გუნდია, შეთამაშება გვაკლია, თანაც მზადებაც გვიან დავიწყეთ და ფორმაშიც არა ვართ. ყველაფერი გამოსწორდება, მთავარია, ჩემპიონატში მონაწილეობის ნებართვა დაგვრთონ. ჩვენი მთავარი ამოცანა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. უამრავი სირთულეების მიუხედავად, დღევანდელ „ტორპედოს" აქვს იმის პოტენციალი, რომ პროგრამა მინიმუმი შეასრულოს.

**- ფეხბურთელების განწყობა როგორია?**

- გუნდში ყველა ქუთაისელი ვართ შეკრებილი. ჩვენი ქალაქის გუნდისთვის ყველაფერს გავილებთ. ამ ეტაპზე ჩვენთვის ფული მეორეხარისხოვანია, მთავარია, რომ გუნდი გადარჩეს და იარსებოს. ხელმძღვანელები გვპირდებიან, რომ სამ თვეში მდგომარეობა გამოსწორდება და გუნდი გაძლიერდება.

**- „ტორპედოში" რამდენი ხნით რჩები?**

- ჯერჯერობით ვიცი, რომ ქუთაისში იანვრამდე აუცილე,ლად ვითამაშებ, შემდეგ არ ვიცი, რა მოხდება. უცხოური კლუბების ვარიანტები მაქვს და შესაძლოა, საზღვარგარეთ წავიდე, თუ არა და, ისევ „ტორპედში" დავრჩები.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ბათუმი

# (გა)დარჩა


თამაზ ცინარიძე


იური მამინაშვილი

**სულ ცოტაც და საქართველოს XIX ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება, "ბათუმის" ბედი კი ბოლო დღემდე გაურკვეველი იყო. მართალია, გუნდი უკვე შეიკრიბა და ვარჯიში დაიწყო, მაგრამ რამდენიმე საკითხი მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. სწორედ ამის შესახებ ესაუბრა „ლელოს" კლუბის ტექნიკური დირექტორი თამაზ ცინარიძე.**

- პროფესიული ფეხბურთის ლიგაში 300 ათასლარიანი საგარანტიო წერილი უკვე წარვადგინეთ, მაგრამ ფინანსებთან დაკავშირებით კიდევ იყო დარჩენილი გარკვეული საკითხები, რომლებიც ამ დღეებში გადაწყდა.

**- ეს სავარაუდოდ, იმ 30 ათას ლარს ეხებოდა, რომელიც კლუბმა სანევროს სახით უნდა გადაიხადოს. ამის გარდა, კლუბის ანგარიშზე უნდა იყოს 20 ათასი ლარი...**

- 30 ივლისის დღის 12 საათამდე გვქონდა ვადა და ბათუმის საკრებულოსა და აჭარის მთავრობის თანადგომით ეს პრობლემა უკვე მოგვარდა. ბათუმის „დინამოს" უმაღლესი ლიგიდან მოკვეთა აღარ ემუქრება. გუნდი შეიკრიბა და ვარჯიშიც დაიწყო. სამწუხაროდ, ფინანსური სიძნელეების გამო არ მოხერხდა შეკრების უფრო ადრე დაწყება, მაგრამ ეს დროც საკმარისია, რათა გუნდი დაკომპლექტდეს.

**- გინდათ თქვათ, რომ ამ მოკლე პერიოდში მოასწრებთ გუნდის საბოლოო დაკომპელქტებას?**

- მწვრთნელები ამ ეტაპზე ფეხბურთელების შერჩევით არიან დაკავებულნი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ბათუმელი, ვინც გასულ სეზონში „დინამოში" თამაშობდა, გუნდში დარჩა. მათ გარდა, გიორგი თურმანიძე, გია ნერგაძე, შოთა ბაბუნაშვილი და ირაკლი თოთლაძე დაგვემატნენ. ბათუმელ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ წარსულში „დინამოს" მეკარე იური მამინაშვილი, რომელიც ბოლო დროს რუსეთში მოღვაწეობდა. ის ბათუმშია და მეკარეების გაწვრთნაში დაგვეხმარება. მისი ვაჟი, შოთაც ჩვენს გუნდში ჩაირიცხა. ისიც მამამისივით მეკარეა და ვიმედოვნებ, გამოგვადგება. რამდენიმე ფეხბურთელს ვაკვირდებით და არ არის გამორიცხული, ისინიც დავიმატოთ. განსაკუთრებით დაცვისა და თავდასხმის ხაზის გაძლიერება გვინდა.

**- საუბარია უჩა ლობჟანიძის დაბრუნებაზეც...**

- დიახ, არის საუბრები და არ გამოვრიცხავ, რომ უჩამ ბათუმში ითამაშოს.

**- თავდასხმისთვის ვინ შეიგულეთ?**

- მოდით, ამ ეტაპზე დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ.

**- გიორგი თურმანიძესა და ირაკლი თოთლაძეს წინა სეზონი, ფაქტობრივად, გაუცდათ...**

- მესმის, რისი კითხვაც გინდათ, მაგრამ მერწმუნეთ, ისინი ჩვეულ ფორმასთან ახლოს არიან და გუნდისთვის სარგებლის მოტანაც შეუძლიათ.

**- სამწვრთნელო შტაბში რა ცვლილებაა?**

- ფაქტობრივად, იგივე შემადგენლობა იმუშავებს. მთავარი მწვრთნელი ამირან გოგიტიძე იქნება, თანაშემწეები კი ალექსანდრე კანტიძე და სოსო ნასუაშვილი. იური მამინაშვილის შესახებ კი უკვე მოგახსენეთ, ის მეკარეების მწვრთნელი იქნება.

**- ხომ არ ემუქრება გუნდს ის, რაც გასულ სეზონში დაემართა, როდესაც მეორე წრეში სპონსორის გარეშე დარჩა და ლამის დაიშალა?**

- არა მგონია, მსგავს, პრეცენდენტი განმეორდეს. რაც შეეხება გუნდის მომავალს, სანამ ჩვენი სტადიონი არ გვექნება, მანამ დიდ მიზნებს ვერც დავისახავთ. სავარაუდოდ, სტადიონის მშენებლობა მომავალ წელს დაიწყება და 2010 წლისთვის დასრულდება. ამ დროს კი გუნდის საბოლოო შეკრასა და დაკომპლექტებას მოვანდომებთ.

**- როგორი გუნდის, რომელიც ევროთასებზე ითამაშებს?**

- რატომაც არა?!

**- ხომ შეგიძლიათ, ევროზონაში მოხვდეთ და სტუმრებს სხვა, თუნდაც თბილისის ეროვნულ სტადიონზე უმასპინძლოთ?**

- ამისთვის ძლიერი და გამოცდილი ფეხბურთელების ყოლაა საჭირო, ამ ეტაპზე კი ჩვენ არ გაგვაჩნია ის თანხები, ასეთი ფეხბურთელები მოვიწვიოთ.

**- ანუ გამოდის, რომ ამ ორი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებთ?!...**

- ადგილის შესანარჩუნებლად და გუნდის ჩამოსაყალიბებლად. მეორე გუნდი რეგიონალლიგაში თამაშობს და ჩვენი მიზანი ადგილობრივი კადრების მომზადებაცაა. მუდამ სხათა იმედზე ხომ ვერ ვიქნებით?!

**- სახელფასო დავალიანება ჯერ კიდევ გასასტუმრებელი გაქვთ...**

- როგორც უკვე აღვნიშნე, ყველა საკითხი მალე გადაწყდება.

**- საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ საგანგებო კომისია შექმნა, რომელსაც კლუბებისა და სტადიონის მდგომარეობის შემოწმება ევალებოდა. რა შთაბეჭდილებით დატოვეს მათ ბათუმი?**

- პროფლიგის გენერალური მდივანი პაატა ბურჯალიანი იმყოფებოდა ბათუმში, დაათვალიერა „ადელის" სტადიონი, გაეცნო კლუბის სტრუქტურას და ჩემპიონატში თამაშის ნება დაგვრთო.

**„ლელომ" მეკარეების მწვრთნელისგან, იური მამინაშვილისგან სცადა ინტერვიუს აღება, თუმცა როგორც მან განაცხადა, ინტერვიუს იმ უბრალო მიზეზის გამო არ მოგვცემდა, რომ სათქმელი არაფერი იყო. მიუხედავად ამისა, მცირე კომენტარი მაინც გააკეთა.**

- რა გითხრათ?! ძალიან დიდი სამუშაოა შესასრულებელი, რომ გუნდი გუნდად ჩამოყალიბდეს. რაც შეეხება მეკარეებს, დარწმუნებული ვარ, რომ მათ შორის დიდი კონკურენცია იქნება. ორივეს თითო წელი გაუცდა და ჩვეულ ფორმაში არ არიან. მოკლედ, სამუშაო ბევრია.

**- ბათუმში რჩებით თუ რუსეთს დაუბრუნდებით?**

- სამუშაო ვიზასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები შეიქმნა. სანამ ვითარება გამოსწორდება, ბათუმში ვიმუშავებ. შემდეგ კი, ალბათ წავალ.

**- თქვენს ვაჟს შოთას, რომელიც რუსეთში თამაშობდა, დატოვებთ თუ წაიყვანთ?**

- იქ სეზონი მთავრდება და პრაქტიკისთვის, აჯობებს აქ დარჩეს და ბათუმში ითამაშოს, მაგრამ ამისთვის ძირითადში ადგილის მოპოვებაა საჭირო.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან


ბათუმს უმაღლესი ლიგიდან მოკვეთა აღარ ემუქრება

## მუჯირი კაპიტნობიდან გადადგა


დავით მუჯირი

სამარელი გულშემატკივრები გაოცებულები არიან. მათ კერპს **დავით მუჯირს** "კრილია სოვეტოვის" მთავარმა მწვრთნელმა **სერგეი ობორინმა** ძირითადში გარანტირებული ადგილი წაართვა, ახლა კი დათო კაპიტნობიდან საკუთარი სურვილით გადადგა. ბოლო ტურში რამენსკოეს "სატურნთან" კაპიტნის სამკლაურით **ანტონ ბაბიორი** გამოჩნდა. სამარული "კომსომოლსკაია პრავდას" ჟურნალისტმა გაარკვია, ჯერ კიდევ გასულ კვირაში ქართველმა ლეგიონერმა თავად გადაწყვიტა, კაპიტნობაზე უარი ეთქვა და ეს ვარჯიშზე გამოაცხადა.

*"მიმაჩნია, რომ კაპიტანი უნდა იყოს ის ადამიანი, რომლის ძირითადში მოხვედრაც საეჭვო არაა. კაპიტანი 90 წუთი მოედანზე, გუნდთან ერთად უნდა იყოს. არ იფიქროთ, რომ გადაწყვეტილება დაუფიქრებლად მივიღე და თანაგუნდელების ნდობა წამში დავივიწყე. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ ეს გადაწყვეტილება ისევ გუნდს წაადგება. არც ის მსურს, რომ ეს ნაბიჯი მწვრთნელთან ფარული კონფლიქტით ახსნან. ობორინთან ნორმალური სამუშაო ურთიერთობა მაქვს"*, - განაცხადა მუჯირმა.

ახალი კაპიტნის არჩევაზე სერგეი ობორინმაც ისაუბრა და თქვა, რომ ბაბიორს ლიდერისთვის აუცილებელი თვისებები გააჩნია.

ამასობაში, "სატურნთან" მწვრთნელმა მუჯირი ისევ შეცვალა და არა მეორე ტაიმში, არამედ პირველი ნახევრის ბოლოს.

*"დათომ წლეულს ბევრი მატჩი სათანადო დონეზე ვერ ჩაატარა. მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე აჩვენებს, რომ ოპტიმალურ ფორმაშია. მუჯირმა "სატურნთანაც" ცუდად ითამაშა და საინტერესოა, ამაზე რეაგირება რატომ არ უნდა მომეხდინა?"* - ცდილობდა ობორინი ვითარების ახსნას.

მიუხედავად ახსნისა, ყველამ მშვენივრად იცის, რომ მოთამაშესა და მწვრთნელს შორის სერიოზული კონფლიქტია. ქართველი ნახევარმცველი სერიოზული ტრავმის შემდეგ ორ კვირაში ათამაშა და მაშინვე გააკრიტიკა, ფორმაში არ არისო. საკითხავია, ასეთ დროს ვინ იბრუნებს ფორმას მაშინვე.

ცეცხლს ნავთი თავად მუჯირმაც დაასხა, ერთი კვირის წინათ ობორინზე სახალხოდ ისაუბრა, მისი ფავორიტი არ ვარ და ამიტომაც ამითვალწუნაო.

## ასათიანს დაცვაში მოითხოვენ


მალხაზ ასათიანი

მოსკოვის "ლოკომოტივი" **ანატოლი ბიშოვეცის** ხელმძღვანელობით ვერა და ვერ ათამაშდა. ტურიდან ტურამდე გუნდი არასტაბილურად გამოიყურება და ბიშოვეცის გადადგომასაც ლამის ყოველ დღე ელიან. გამოცდილი და კონფლიქტური სპეციალისტი კი პოსტის დატოვებას არ აპირებს. გულშემატკივრები და სპეციალისტები კი ამ დროს აანალიზებენ, რა არის წარუმატებლობის მიზეზი.

გაზეთი "სპორტდეის" ჟურნალისტი **ედუარდ ბიროვი** მიიჩნევს, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დაცვის ვარსკვლავის, **მალხაზ ასათიანის** უადგილო ადგილას დაყენებაა.

"საკითხავია, სჭირდება ბიშოვეცსა და "ლოკომოტივს" გამოჯანმრთელებული ქართველი ლეგიონერი? გასაგებია, რომ ის ჯერ ფორმაში არაა და რომ მას მთელი 90 წუთის ჩატარება უჭირს. თუმცა უფრო ადვილი არ იქნება მისთვის ცენტრალური მცველობა, ვიდრე შეცვლაზე გამთამაშებლად შესვლა? რა თქმა უნდა, ეს ბიშოვეცის გადასაწყვეტია, მაგრამ "ლოკომოტივის" დაცვაში ცუდი თამაში ასეთ აზრებს აჩენს. ბიშოვეცის ოპტიმიზმი კი ნაღდად არაა გადამდები. ეტყობა, მან რაღაც ისეთი იცის, რომლითაც ასეთი დაცვის მქონე გუნდს ჩემპიონობამდე მიიყვანს. თუ ასეა, ბიშოვეცი სოკრატესავით ბრძენი ყოფილა", - წერს ჟურნალისტი.

## რევიშვილი ისევ დაშავდა

რუსული საინფორმაციო სააგენტოების მიერ ორიოდე დღის წინათ გავრცელებულმა ინფორმაციამ გაგვახარა - ყაზანის "რუბინისა" და საქართველოს ნაკრების მეკარემ **ნუკრი რევიშვილმა** ვარჯიში განაახლა.

სიხარული ნაჩქარევი აღმოჩნდა. როგორც შევიტყვეთ, 19 წლის ქართველმა მეკარემ ვარჯიშის განახლებიდან ფეხი ისევ იტკინა და კვლავ მკურნალობს. ტერფთან დაზიანებული ძვალი იოლი სამკურნალო არ აღმოჩნდა.

ამის გამო, ნუკრი ვერც "რუბინის" განაცხადში მოხვდა და 22 აგვისტოს ვერც საქართველოს ნაკრებს დაეხმარება ლუქსემბურგთან მატჩში და ვერც ახალგაზრდულ ნაკრებს, რომელსაც პოლონეთში შესარჩევი ციკლის მატჩი ელის.

**მერაბ მამულაშვილი**


ნუკრი რევიშვილი

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს XIX ჩემპიონატი. პირველი წრის კალენდარი

**I ტური**

**10 აგვისტო. პარასკევი**
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
მესხეთი-მგლები
ლოკომოტივი-ამერი

**11 აგვისტო. შაბათი**
ტორპედო- ბათუმი
სიონი-სპარტაკი
ოლიმპი-დინამო

**12 აგვისტო. კვირა**
ბორჯომი-მერანი

**II ტური**

**17 აგვისტო. პარასკევი**
მგლები-მერანი
სპარტაკი-ბორჯომი

**18 აგვისტო. შაბათი**
მესხეთი-ზესტაფონი
ბათუმი-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი

**19 აგვისტო. კვირა**
დინამო-სიონი
ამერი-ტორპედო

**III ტური**

**24 აგვისტო. პარასკევი**
ტორპედო-ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი-მესხეთი
სიონი-ბათუმი
მერანი-სპარტაკი

**25 აგვისტო. შაბათი**
ოლიმპი-ამერი
ზესტაფონი-მგლები
ბორჯომი-დინამო

**IV ტური**

**31 აგვისტო. პარასკევი**
ზესტაფონი-ლოკომოტივი

**1 სექტემბერი. შაბათი**
ბათუმი-ბორჯომი
მგლები-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-ოლიმპი

**2 სექტემბერი. კვირა**
მესხეთი-ტორპედო
ამერი-სიონი
დინამო-მერანი

**V ტური**

**14 სექტემბერი. პარასკევი**
ლოკომოტივი-მგლები
ტორპედო-ზესტაფონი
სიონი-ვიტ ჯორჯია
ოლიმპი-მესხეთი

**15 სექტემბერი. შაბათი**
სპარტაკი-დინამო
მერანი-ბათუმი
ბორჯომი-ამერი

**VI ტური**

**22 სექტემბერი. შაბათი**
ლოკომოტივი-ტორპედო
ბათუმი-ცხინვალი
ზესტაფონი-ოლიმპი

**23 სექტემბერი. კვირა**
მესხეთი-სიონი
ვიტ ჯორჯია-ბორჯომი
ამერი-მერანი
მგლები-დინამო

**VII ტური**

**28 სექტემბერი. პარასკევი**
სიონი-ზესტაფონი
ბორჯომი-მესხეთი
მერანი-ვიტ ჯორჯია
ტორპედო-მგლები

**29 სექტემბერი. შაბათი**
ოლიმპი-ლოკომოტივი
სპარტაკი-ამერი
დინამო-ბათუმი

**VIII ტური**

**5 ოქტომბერი. პარასკევი**
მესხეთი-მერანი

**6 ოქტომბერი. შაბათი**
მგლები-ბათუმი
ტორპედო-ოლიმპი
ამერი-დინამო

**7 ოქტომბერი. კვირა**
ზესტაფონი-ბორჯომი
ვიტ ჯორჯია-სპარტაკი
ლოკომოტივი-სიონი

**IX ტური**

**19 ოქტომბერი. პარასკევი**
დინამო-ვიტ ჯორჯია
ბათუმი-ამერი
ბორჯომი-ლოკომოტივი
სიონი-ტორპედო

**20 ოქტომბერი. შაბათი**
სპარტაკი-მესხეთი

**21 ოქტომბერი. კვირა**
ოლიმპი-მგლები
მერანი-ზესტაფონი

**X ტური**

**27 ოქტომბერი. შაბათი**
მგლები-ამერი
ტორპედო-ბორჯომი
მესხეთი-დინამო

**28 ოქტომბერი. კვირა**
ზესტაფონი-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-ბათუმი
ლოკომოტივი-მერანი
ოლიმპი-სიონი

**XI ტური**

**9 ნოემბერი. პარასკევი**
ბორჯომი-ოლიმპი
ბათუმი-მესხეთი

**10 ნოემბერი. შაბათი**
ამერი-ვიტ ჯორჯია
სპარტაკი-ლოკომოტივი
სიონი-მგლები

**11 ნოემბერი. კვირა**
დინამო-ზესტაფონი
მერანი-ტორპედო

**XII ტური**

**11 ნოემბერი. პარასკევი**
სიონი-ბორჯომი
მგლები-ვიტ ჯორჯია
ტორპედო-სპარტაკი
ოლიმპი-მერანი

**12 ნოემბერი. შაბათი**
ლოკომოტივი-დინამო
ზესტაფონი-ბათუმი
მესხეთი-ამერი

**XIII ტური**

**1 დეკემბერი. შაბათი**
სპარტაკი-ოლიმპი
ამერი-ზესტაფონი
ბათუმი-ლოკომოტივი

**2 დეკემბერი. კვირა**
ბორჯომი-მგლები
დინამო-ტორპედო
მერანი-სიონი
ვიტ ჯორჯია-მესხეთი

შენიშვნა: აგვისტოში თამაშები დაიწყება 17 საათზე, სექტემბერში - 16 საათზე, ოქტომბერში - 15 საათზე, ხოლო ნოემბერსა და დეკემბერში - 14 საათზე.

## ბორჯომი უსახსროსთანაც გაკონტროლდა

გუშინ "ბორჯომმა" უმაღლესი ლიგიდან უსახსრობის გამო პირველში ჩაქვეითებული საჩხერის "ჩიხურა" ისტუმრა და 2:1 მოუგო. ბორჯომელთაგან გოლები **ყველაშვილმა** და **ნასყიდაშვილმა** გაიტანეს, "ჩიხურადან" კი **შარვაძე** გამოირჩა.

ბორჯომელები საამსეზონოდ რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდნენ, მათ შორის დინამოელებით - **ლევან აკობია, ზვიად სტურუა,** ხოლო ასევე დინამოელ **შოთა გრიგალაშვილთან** საიჯარო ხელშეკრულება გააგრძელეს. "ბორჯომი" ისევ აგრძელებს მოლაპარაკებას "დინამოდან" კიდევ ერთი-ორი მოთამაშის თხოვებაზე.

# ქართული ტრანსფერები

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ | გეგმები |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | ძოძუაშვილი (მწვრთნელი), რ. გოცირიძე (ამერი), ჩხარტიშვილი, ბერუაშვილი, ძამსაშვილი g. ონიანი (კარლ ცაისი), სეთურიძე (კარლ ცაისი), ხუბუა | ვ. კილასონია (მთავარი მწვრთნელი გახდა), ქასრაშვილი (მწვრთნელი), აკუასაგა, სილაგაძე (სიონი), კოშკაძე (ბორჯომი), ჟივკოვიჩი, დვალი (ჩიხურა), რ. ჯიქია (არენდით მგლებიდან), ჯილდასი, გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | შეკრება ურეკში, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი |
| დინამო | იაშვილი (თუნი), შაშიაშვილი (შტურმი), სირბილაძე (GMFF შვედეთი) | გველესიანი (ვიტ ჯორჯია), გონჩაროვი (დილა), ოვონო, აკირემი, ვუკუე, დობეში, ლობჟანიძე (ბათუმი) | შეკრება ბაკურიანსა და გერმანიაში. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი |
| ამერი | სევასტოპულო (მერანი) | კობაური (სიონი), ბ. ცხადაძე (სიონი), ა. ალავიძე (სიონი), შალამბერიძე (ბათუმი), რ. გოცირიძე (ოლიმპი), ვარდოსანიძე (დილა) | შეკრება ჩეხეთში. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი |
| ზესტაფონი | ბ. ნოზაძე (მერანი), გ. ჭელიძე, ბ. გოცირიძე, ლეანდრო, პარამონოვი, დოლონაძე | — | შეკრება ურეკსა და ანკარაში |
| ვიტ ჯორჯია | გელაშვილი (ოლიმპი), გველესიანი (დინამო), თ. კობიაშვილი (ბორჯომი) | — | შეკრება ყირიმში |
| სიონი | კ. ცხადაძე, ბ. კვარაცხელია (მწვრთნელები), კობაური (ამერი), ბ. ცხადაძე (ამერი), ა. ალავიძე (ამერი), დარასელია, სილაგაძე (ოლიმპი), მამალაძე, ბაბუნაშვილი, ექონია (მგლები), ლ. კორღალიძე, ორბელაძე (ოლიმპი) | აკობია (მწვრთნელი), გ. იაშვილი (კახეთი), რეხვიაშვილი, ქუთათელაძე (ტორპედო) | შეკრება ბოლნისში შეკრება ურეკში |
| ტორპედო | ჭედია (მგლები), ლაღაძე (ლოკომოტივი), გურული (ჟეტისუ, ყაზახეთი), ქუთათელაძე (სიონი) | — | შეკრება ქუთაისში |
| ლოკომოტივი | გოჩაშვილი, სოსელია, ჩომახიძე | გ. ყიფიანი (დინამო), გ. მიქაძე (ჩიხურა), ხოხონიშვილი (ბათუმი), ლაღაძე (ტორპედო) | შეკრება ურეკში |
| ბათუმი | ლობჟანიძე (დინამო), შალამბერიძე (ამერი), ხოხონიშვილი (ლოკომოტივი), ვ. კვარაცხელია, სომხიშვილი (მესხეთი), ნერგაძე, კერესელიძე, თურმანიძე | — | შეკრება არ დაწყებულა |
| ბორჯომი | კაიდარაშვილი (მესხეთი) შ. ჯიქია (?), კოშკაძე (ოლიმპი), ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, კოდალაევი, ნადირაშვილი, ავალიანი | ვ. ხორგუაშვილი (ტირასპოლი), პ. ხორგუაშვილი (შერიფი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ზ. სტურუა (დინამო), ლ. აკობია (დინამო), ზ. ჯანაშია (დინამო) | შეკრება ბორჯომში |
| მერანი | ბალაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი, გაგუა (ცხინვალი), გლუნჩაძე (ცხინვალი) | კოსტავა (მწვრთნელი, ნ/დინამო), მამარდაშვილი (მეკარეთა მწვრთნელი), თევდორაძე (დილა), ავალიანი (მეშაქრე), სევასტოპულო (ამერი), ბ. ნოზაძე (ზესტაფონი), მგალობლიშვილი (გაგრა), ტყეშელაშვილი (გაგრა), ბოკუჩავა (ნ/დინამო), ლოლაძე (ნ/დინამო), ქობალია (ნ/დინამო), ტორონჯაძე (ნ/დინამო), ქემუხტაშვილი (ნ/დინამო), ლობჟანიძე (ნ/დინამო) | შეკრება კოჯორსა და ურეკში |
| ცხინვალი | — | ჟორჟიკაშვილი (მწვრთნელი) | — |
| მგლები | გ. თოდუა (მტზ-რიპო), რ. ჯიქია (იჯარით ოლიმპი) | ექონია (სიონი), ჭედია (ტორპედო) | შეკრება ზუგდიდში |
| მესხეთი | მუშკუდიანი, კუკულაძე, გამცემლიძე (მაღაროელი), ილურიძე (მაღაროელი), მგელაძე, ა. ჩომახიძე (სამტრედია) | აფრიამაშვილი (გაგრა), მამუკაშვილი (გაგრა), კაიდარაშვილი (ბორჯომი), სომხიშვილი (ბათუმი) | შეკრება ახალციხეში |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჟულიო ბაპტიშტა

ყოფნა თუ არყოფნა?

# კალდერონი ისევ კაკასთვის: ჟულიო ბაპტიშტას კასანოც დაემატა



ანტონიო კასანო

**კაკა** "რეალში". მოხდება თუ არა? განწირულთა სულისკვეთებაა თუ რეალურად განხორციელებადი ტრანსფერი? თვალთმაქცობს პრეზიდენტი **რამონ კალდერონი** თუ მართლა არის 50 მილიონი გირვანქის გადამხდელი. ამაზე რა გითხრათ და, უკვე მოსაბეზრებელი ამბავია, ჩვენთვისაც და, ალბათ, მკითხველისთვისაც. თუმცა მაინც უნდა წერო. უნდა წერო იმიტომ, რომ საქმე "მილანს", "რეალს" და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს ეხება...

აჰა, დღესაც დავწერთ და ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ მოგვიწევს ამაზე თხრობა. ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს "რეალმა" იტალიურ გრანდს ახალი წინადადებით მიმართა. ახალი კი ისაა, რომ კალდერონი 60 მილიონი გირვანქიდან 50-ზე ჩამოვიდა, თუმცა **ჟულიო ბაპტიშტას** უკვე **ანტონიო კასანოც** დაამატა. რეალურად, ეს შეთავაზება 60 მილიონზე მეტია. ბაპტიშტასა და კასანოს ფასი, ერთად აღებული, 10 მილიონ გირვანქას გვარიანად აჭარბებს. ახლა ისაა საკითხავი, უნდა თუ არა "მილანს" ან ერთი, ან მეორე. "მილანს" თუ არა, **სილვიო ბერლუსკონის** ნამდვილად უნდა. პრეზიდენტს რომელიმე მეგავარსკვლავის ყიდვა სწადია, ტიფოზებისთვის პირობა აქვს მიცემული და იმიტომ, ან თუნდაც იმიტომ, რომ სხვა იტალიური გრანდები სერიოზულ შენაძენებს აკეთებენ. მაშ ბერლუსკონი რატომ უნდა ჩამორჩეს მოვლენებს?

...იმაზე ვსაუბრობდით, უნდა თუ არა "როსონერის" ბაპტიშტა და კასანო. დღევანდელი სიტუაციით თუ ვიმსჯელებთ, "მილანი" შესანიშნავადაა დაკომპლექტებული. ერთადერთი, ვინც **კარლო ანჩელოტის** ძლიერ სურდა, **ტიერი ანრი** იყო, მაგრამ ანრი უკვე "ბარსელონაშია". კატალონიელებმა მაგრად იყოჩაღეს. ეს კასანო კი არავის უნდა. "რეალმა" ის შეკრებაზეც არ წაიყვანა, ერთი სული აქვს, როდის მოიშორებს. იტალიელებს რაც შეეხებათ, გრანდებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჭირვეული ანტონიო რიგითმა კლუბებმაც დაიწუნეს. "სამპდორიამ", "ნაპოლიმ", "ფიორენტინამ" და "ტორინომ" შორს დაიჭირეს. ბაპტიშტაზე კი რა მოგახსენოთ... ის 12 მილიონი გირვანქა ღირს. გუშინ მან იტალიის მოქალაქეობაც მიიღო და არაევროკავშირელ ლეგიონერებზე არსებული ლიმიტი აღარ შეეხება...

"მილანს" კი კაკას გაყიდვაზე სიტყვის გაგონებაც არ სურს. ეს კი არა, იტალიური წყაროები ამტკიცებენ, სადაცაა "როსონერი" ბრაზილიელს კონტრაქტს 2011 წლამდე გაუგრძელებსო. წინააღმდეგი, თითქოს, არც კაკაა. არადა, ესპანური "მარკა" ამტკიცებს, რომ "მილანის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** და "რეალის" სპორტული დირექტორი **პრედრაგ მიატოვიჩი**, თურმე, იტალიურ კურორტ ფორტე დი მარმიში შეხვდნენ ერთმანეთს და ახალი შეთავაზებაც განიხილეს. დააკვირდით, მითითებულია კონკრეტული პერსონები და კონკრეტული ადგილი. რატომ ხვდება გალიანი მიატოვიჩს? ისე, კაცმა რომ თქვას, როგორი ამბავია 50 მილიონ გირვანქაზე უარის თქმა?

---



## სისინიოს პირველი ჩვენება შეცვალა

სისინიომ არც ტოტის დაუჯერა

უცნაური შემობრუნება

# არანაირი რომა, რეალში ვრჩები!

**შაბათს, ფრანჩესკო ტოტიმ** "გაძეტა დელო სპორტისთვის" პატარა კომენტარი გააკეთა, რომელშიც **სისინიოს** "რომაში" გადასვლას ურჩევდა. მეტიც, "პუპონემ" თავად ბრაზილიელსაც დაურეკა და თავისი მხრიდან ტრანსფერის სურვილი დაუდასტურა. რა შუაშია ტოტი? როგორც ჩანს, მან ერთგვარი შუამავლის როლი იკისრა "რომას" დირექტორებსა და ფეხბურთელს შორის, მაგრამ...

მაგრამ სისინიომ ფირფიტა გადააბრუნა. ორიოდ დღის წინათ, მან გულისამაჩუყებლად ისაუბრა თავის მომავალზე - **ბერნდ შუსტერი** მარცხენა ფლანზე მაყენებს, მე კი ჩამოყალიბებული "მემარჯვენე" ვარო, თუ ასე გაგრძელდა "რეალში" აღარ დამედგომებაო, არადა, ვატყობ, მწვრთნელს მხოლოდ მაშინ ვჭირდები, როცა რომელიმე მოთამაშე აკლიაო და ასე შემდეგ... მერე, ისიც დაამატა, "რომას" თუ ვუნდივარ, დროზე იმოქმედოსო. და კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც "რეალის" სატრანსფერო კონსულტანტ **ერნესტო ბრონცეტისგან** მოდის: ეს კაციც ადასტურებს, რომ სისინიოს "რომაში" გადასვლა სწადია...

დღეს კი ბრაზილიელი as-სთან ინტერვიუში ამას ამბობს: *"ხალხი ამბობს, თითქოს "რეალიდან" წასვლა მსურს. რა სისულელეა?! სადღაც წავიკითხე, ვითომ "რომა" მეპატიჟება. მაგრამ არც ეს არის მართალი. სამეფო კლუბი არსადაც არ მიშვებს. ისე, "რომაში" მართლაც მყავს მეგობრები, მაგალითად, მეკარე ალეშანდრე დონი... სხვათა შორის, დამირეკა ფრანჩესკო ტოტიმ და მკითხა, თუ როგორ ვგრძნობდი თავს მადრიდში. ვუთხარი, რომ აქ ბედნიერი ვარ... მერე, ჩემს მეუღლეს ვკითხე, რას იტყოდი, იტალიაში რომ წავსულიყავით-მეთქი. მან პირდაპირ მომახალა - შეგიძლია, მარტო წახვიდეო... ვიცი, რომ მას ძალიან მოსწონს ესპანეთი. რაც შეეხება ჩემს სათამაშო პოზიციას, სადაც მწვრთნელი დამაყენებს, იქ ვითამაშებ. "რეალის" ფეხბურთელი ვარ და ჩემი ვალია, კლუბს ნებისმიერ სიტუაციაში და პოზიციაზე დავეხმარო"*.

ესეც, ასე. მერე სისინიომ ისიც დაამატა, რომ მოუთმენლად ელის **კაკას** და რომ ისინი დიდი მეგობრები არიან. დაგვეთანხმებით, ზემოთ მოყვანილ კომენტარში ფეხბურთელი რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავ ფრაზას ამბობს, მაგრამ ახლა ამის გარჩევას არ დავიწყებთ. რაც უნდა, ის უქნია...

---

## ბრაზილიამ მუნდიალი დაადასტურა

ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციამ ოფიციალური განაცხადი შეიტანა ფიფაში, მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის თაობაზე. დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში გახლდათ **რომარიოც** (ფიფას ტექნიკური და განვითარების კომიტეტის წევრი), ციურიხში ნახევარსაათიანი პრეზენტაცია მოაწყო. მაგრამ ეს მხოლოდ წინასწარი განაცხადია. სრული ფორმატით მას 29 ოქტომბერს წარადგენენ. მანამდე კი, სტადიონებისა და ინფრასტრუქტურის ექსპერტიზისთვის, ბრაზილია ფიფას სპეციალურ ჯგუფს უმასპინძლებს.

## იუვე კიელინის არ უშვებს

"იუვენტუსის" პრეზიდენტმა **ჯოვანი კობოლი ჯილიმ** განაცხადა, რომ კლუბი **ჯორჯო კიელინის** არ გაყიდის. მოგეხსენებათ, "ბებერი ქალბატონის" მარცხენა მცველი "მანჩესტერ სიტის" სამიზნეა. ინგლისელები მასში 7 მილიონ გირვანქას იძლევიან. სამწუხაროდ, პრეზიდენტი არ აკონკრეტებს, რითია გამოწვეული მისი უარი: ფასია მიუღებელი თუ კიელინია "იუვენტუსისთვის" საჭირო ფეხბურთელი?

## ჰიდინკს რუსეთი არ ეთმობა

**გუს ჰიდინკი** მზადაა, რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად 2008 წლის შემდეგაც დარჩეს, იმისდა მიუხედავად, მოხვდება თუ არა მისი გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ჰოლანდიელ სპეციალისტს მიაჩნია, რომ "რუსული ფეხბურთის აღორძინება" გაცილებით ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე ეს მისი ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. *"მინდა, ჩემი სამუშაო ბოლომდე მივიყვანო. რუსულ ფეხბურთს უმდიდრესი ტრადიციები აქვს და აქედან გამომდინარე, ის გაცილებით მეტს იმსახურებს. მჯერა, ამ წარმატებებს ერთად მივაღწევთ"* - აცხადებს ჰიდინკი.

---



რეიესის პრეზენტაცია ვისენტე კალდერონზე

ტრანსფერი

# რეიესი ნამდვილი როხიბლანკოა

### ის, რაც მიგელ ანხელ ხილმა ვერ შეძლო, ენრიკე სერესომ სამ დღეში მოაგვარა...

"ატლეტიკოს" ინჩასებს ასეთი დატვირთული სატრანსფერო ზაფხული არ ახსოვთ. კლუბის პრეზიდენტი **ენრიკე სერესო** ცდილობს, გულშემატკივრებს **ფერნანდო ტორესის** წასვლით გამოწვეული წყენა დაავიწყოს. ისე კი, რომ არა "ელ ნინიოს" "ლივერპულში" გადაბარგება, საეჭვოა, "როხიბლანკოს" ამხელა სატრანსფერო კამპანია ჰქონოდა...

**...რაულ გარსია, დიეგო კოსტა, კრისტიან აბიატი, ლუის გარსია, დიეგო ფორლანი, კლებერ სანტანა, სიმაო საბროსა** და ბოლოს **ხოსე ანტონიო რეიესი** - აი, სერესოს გარჯის ნაყოფი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამ წელიწადში "ატლეტიკოს" 73-ათასიანი ახალი სტადიონიც ექნება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დონ ენრიკეს კლუბის ნათელი მომავლისთვის თავი აქვს გადადებული...

რეიესი "ვისენტე კალდერონზე" გუშინ წარადგინეს. შეგახსენებთ, რომ მან "ატლეტიკოსთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ეს სიამოვნება კლუბს 12 მილიონი ევრო დაუჯდა. აი, პატარა ფრაგმენტი რეიესი პრესკონფერენციიდან: *"ვიცი, რომ "ატლეტიკოს" დიდი ხანია, სურდა ჩემი შეძენა. არ დამავიწყდება, როცა მიგელ ანხელ ხილი ჩემს აყვანას ცდილობდა, მხოლოდ 13 წლის ვიყავი... და აი, დღეს აქ ვარ და ახლა ისღა დამრჩენია, კარგი თამაშით კლუბსა და ფანებს სიხარული მოვგვარო"*.

---

## ბრიგი ნაპოლიში ვერ გადავა

"კიევოდან" "რომაში" გადასული **მატეო ბრიგი** "ნაპოლიში" აპირებდა გადაბარგებას, მაგრამ უკანასკნელი ინფორმაციით, ტრანსფერი არ შედგება. სამხრეთული კლუბი მას მეტ სათამაშო პრაქტიკას ჰპირდებოდა, ვიდრე "რომა", სადაც ნახევარდაცვაში მძაფრი კონკურენციაა. თუმცა ფეხბურთელის აგენტი **ვანი პუცოლო** იმედიანადაა და გვარწმუნებს, რომ "ჯალოროსის" მწვრთნელი **ლუჩანო სპალეტი** მისი კლიენტით კმაყოფილია. ბრიგისაც უკვე სჯერა, რომ მწვრთნელი თავის გამოჩენის შანსს მისცემს.

## დეკუ: ჟოზესთან მინდა!

"ბარსელონის" ფლეიმეიქერი **დეკუ სოუზა** აღიარებს, რომ **ჟოზე მოურინიოსთან** კვლავაც სიამოვნებით ითანამშრომლებდა. რა თქმა უნდა, გახსოვთ, რომ დეკუ მთავარი ფიგურა იყო იმ "პორტუსი", რომელმაც მოურინიოს ხელმძღვანელობით ევროპა დაიპყრო: მოიგო ჯერ უეფას თასი, მერე კი ჩემპიონთა ლიგაც. პორტუგალიელი ნახევარმცველის სიტყვები ზრდის იმის შანსს, რომ ამ ზაფხულს "ჩელსიში" გადაბარგდეს, რასაც მიმომხილველები დიდი ხანია, წინასწარმეტყველებენ.

## შინავატრას წინააღმდეგ

ბრიტანელმა სამართალდამცველებმა პრემიერლიგის ხელმძღვანელობას მიმართეს წერილით, რომელშიც გამოთქმულია შეშფოთება და პროტესტი, ტაილანდის ექსპრემიერ **ტაქსინ შინავატრას** მიერ "მანჩესტერ სიტის" შეძენასთან დაკავშირებით. ისინი მიიჩნევენ, რომ შინავატრა კანონდამრღვევი და ადამიანის უფლებათა შემლახავია, და შესაბამისად, მას დემოკრატიულ სახელმწიფოში მოღვაწეობისთვის ასპარეზი არ უნდა ჰქონდესო. რა თქმა უნდა, ბრალდებებს უმალ გამოეხმაურა ტაქსინის ადვოკატი და ყველაფერი უარყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი გარიგება

# რობენი: ვადა კვირის ბოლომდე

## ახალი კონტრაქტი ჩელსისთან ან ტრანსფერი რეალში

**არიენ რობენს** "ჩელსიდან" აზარგება მოუწევს, თუ ახალ კონტრაქტს კვირის ბოლომდე არ მოაწერს ხელს. ჰოლანდიელ გარემარბს მადრიდის "რეალი" ეპატიჟება. სამეფო კლუბს ტრანსფერი 25 მილიონი გირვანქა დაუჯდება. ესპანელთა დაინტერესების შესახებ გასული სეზონის მიწურულს გახდა ცნობილი. ლონდონელებმა ფეხბურთელს დაუყოვნებლივ შესთავაზეს ახალი კონტრაქტი და კვირაში 90 ათასი გირვანქა. რობენი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს. "ჩელსის" მოთმინების ფიალა კი იწურება. "რეალს" "არისტოკრატებისთვის" ოფიციალური წინადადებით ჯერ არ მიუმართავს. **ჟოზე მოურინიო** ფეხბურთელის შენარჩუნების იმედს არ კარგავს. დღევანდელ ხელშეკრულებაში ორი წელიწადია დარჩენილი. ახალი შეთანხმება ხუთწლიანია. გადამწყვეტი მოლაპარაკებები უახლოეს დღეებში გაიმართება. მადრიდული სააგენტოების ცნობით, "რეალი" "ჩელსის" მოთხოვნილზე ხუთი მილიონით ნაკლებს შესთავაზებს. არისტოკრატები შეიძლება ამ წინადადებასაც დათანხმდნენ. რობენს ქრონიკული ტრავმები აწუხებს. ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ბოლო სამ სეზონში მან მხოლოდ მატჩების 50 პროცენტი ითამაშა. არასტაბილურობის გამო ფეხბურთელის ფასი, შეიძლება, კიდევ დაეცეს. გარიგების ალბათობა საკმაოდ დიდია.



არიენ რობენი

ამასობაში, ბრაზილიელი **ალექსი**, რომელსაც "ჩელსიში" ვარჯიში უნდა დაეწყო, ბრიტანეთში შესვლას ვერ ახერხებს. გასულ უქმეებზე ის ლონდონში გადაფრინდა, მაგრამ სასაზღვრო პოლიციამ ქვეყანაში არ შეუშვა. ფეხბურთელი ბრაზილიაში დაბრუნდა და საკითხის გარკვევას იქ ელოდება. პრობლემა პროზაულია: ალექსი არაევროკავშირელია, ესე იგი, ბრიტანეთის სამუშაო ვიზა სჭირდება. სამუშაო ვიზის მისაღებად კი საჭიროა, ნაკრების მატჩების 75 პროცენტი ჰქონდეს ნათამაშები. ალექსმა პენტაკამპეონთა ბოლო 14 მატჩიდან მხოლოდ 8-ში ითამაშა. ეს 60 პროცენტზე ნაკლებია. ბრაზილიელი მცველი "ჩელსის" 2004 წლიდან ეკუთვნის. იმავე ზაფხულიდან ის იჯარით "ეინდჰოვენში" თამაშობდა. საიჯარო ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ, ჩელსიმ მისი დაბრუნება მოისურვა, მაგრამ პრობლემას წააწყდა. "ჩელსი" პრობლემის მოგვარებას უმოკლეს დროში აპირებს.



მიკაელ სილვესტრი

მანჩესტერ იუნაიტედი

# სილვესტრი ლიონში, სამ მილიონად

## ჰაინცეს ადგილს ვიგანელი ბაინესი დაიჭერსო...

"სანის" ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედის" საწვრთნელ ბაზაზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ბაზის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გააფართოვოს მანქანების გასაჩერებელი ადგილი და გასახდელები. ბოლო დროს "ეშმაკების" ვარსკვლავები იმხელა ავტომობილებს ყიდულობენ, რომ სტანდარტულ პარკინგზე მათი მოთავსება შეუძლებელი ხდება. მაგალითად, **უეინ რუნის** "ჰამერი H2" ჰყავს. **გარი ნევილმა** და **რაიან გიგზმა** ეს-ესაა ახალი "რეინჯ როვერები" შეიძინეს. ფეხბურთელთა შორის ჩუმი კონკურენცია მძვინვარებს. ყველა ცდილობს, თანაგუნდელზე უკეთესი და უძვირფასესი ავტომობილი ჰყავდეს. რაც შეეხება გასახდელებს, "იუნაიტედის" თანამშრომელთა მტკიცებით, მოთამაშეები ვარჯიშებზე უზარმაზარი ჩანთებით დაიარებიან. ზოგიერთ ფეხბურთელს კოსმეტიკისთვის ცალკე ჩანთაც კი აქვს. ასეთ რამეს მოდების ჩვენებისას, მანეკენების გასახდელშიც კი ვერ ნახავთო, ამბობენ ისინი.

აქვე ორი სატრანსფერო ამბავი მანჩესტერელთა ბანაკიდან. **მიკაელ სილვესტრი**, ალბათ, "ლიონში" ჩაირიცხება. მას "ნიუკასლის" ვარიანტიც ჰქონდა, მაგრამ ფრანგმა მცველმა ჯორდებს უარი შეუთვალა, რაკი ამ გუნდში პრემიერლიგის ყველაზე ცუდი ბიჭი **ჯოი ბარტონი** თამაშობს. სილვესტრის მანჩესტერული კონტრაქტი ორ წელიწადში იწურება. "ოლდ ტრეფორდზე" დარჩენის შემთხვევაში, მას სკამზე ჯდომა ელის. საფრანგეთის ჩემპიონებს ფეხბურთელის ტრანსფერი სულ რაღაც 3 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ.

და კიდევ, თუ **გაბრიელ ჰაინცე** "ლივერპულში" გადავა, "იუნაიტედი" მის ადგილზე ვიგანელ **ლეიტონ ბაინესს** იყიდის. ბაინესი 22 წლისაა და მარცხენა ფლანგის გარდა, დაცვის ცენტრში თამაშიც შეუძლია. ის ინგლისის ნაკრების კანდიდატია. ლეიტონის ხელში ჩაგდებას "ნიუკასლი" ცდილობდა, მაგრამ ვიგანელებმა ფეხბურთელის ტრანსფერზე ცივი უარი განაცხადეს. "მანჩესტერს" მათთვის ოფიციალური წინადადებით ჯერ არ მიუმართავს.

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ბარსელონიდან ინგლისში

## გუდიონსენი ვესტ ჰემს, დეკუ კი ჩელსის უმიზნებს

"ვესტ ჰემი" **ეიდურ გუდიონსენთან** ინტენსიურ მოლაპარაკებებშია ჩაბმული. ისლანდიელმა თავდამსხმელმა კარლოს ტევესი უნდა შეცვალოს. მოგეხსენებათ, არგენტინელ ვარსკვლავს "მანჩესტერ იუნაიტედი" ეპატიჟება. გუდიონსენს ბარსელონურ კონტრაქტში რამდენიმე წელიწადი აქვს დარჩენილი, მაგრამ **ტიერი ანრის** ტრანსფერის შემდეგ ძირითადში მოხვედრაზე, შეუძლია, აღარ იოცნებოს. საინტერესო დეტალი: ეიდურმა კარიერა რეიკიავიკის "ვალურში" დაიწყო. "ვესტ ჰემის" დღევანდელი მფლობელი **ეგერტ მაგნუსონი** 90-იანი წლების დასაწყისში სწორედ ამ კლუბის პრეზიდენტი გახლდათ.

"ბარსელონიდან" ინგლისში შეიძლება კიდევ ერთი ფეხბურთელი გადავიდეს. საუბარია **დეკუ სოუზაზე**, რომელსაც "ჩელსი" ეპატიჟება. პორტუგალიელი ვარსკვლავი "სანს" გაესაუბრა და აუწყა, რომ **ჟოზე მოურინიოს** გუნდში კვლავ სიამოვნებით ითამაშებდა. მოურინიოსა და დეკუს პორტუში გატარებული წლები აკავშირებთ. 2004 წელს მწვრთნელმა და ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვეს, ერთი წლით ადრე კი უეფას თასი დაისაკუთრეს. დეკუს "ჩელსიში" ტრანსფერს **ფრენკ ლემპარდის** "ბარსელონაში" გადასვლას უკავშირებდნენ. საუბრობდნენ ფეხბურთელების გაცვლაზე, მაგრამ გასულ უქმეებზე ინგლისურმა მედიამ გვაუწყა, რომ "არისტოკრატებმა" ლემპარდს ხელფასი მოუმატეს და მის გაშვებას არ აპირებდნენ. ამიტომ 29 წლის დეკუს ტრანსფერი არარეალურად გამოიყურება.

ტოტენჰემი

# იოლი ჰოლანდიის ნაკრებში?

## მამლების სატრანსფერო ამბიციებს ბოლო არ უჩანს

უახლოეს დღეებში "ტოტენჰემი" "ჰერტის" ნახევარმცველ **კევინ პრინს ბოატენგს** გაუფორმებს კონტრაქტს. ამ ინფორმაციას კიკერი ავრცელებს. ბერლინელებს კომპენსაციის სახით 4.5 მილიონ ევროს გადაუხდიან. ბოატენგი გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია.

"მამლების" სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. ლონდონელებს 8 მილიონი გირვანქა აქვთ გამზადებული, რათა ლიონელი **კიმ კალსტრიომი** შეიძინონ. კალსტრიომი შვედეთის ნაკრების წევრია. ის 24 წლისაა და "ტოტენჰემის" მთავარი მწვრთნელის **მარტინ იოლის** ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება.

სხვათა შორის, იოლთან დაკავშირებით ჰოლანდიურმა სააგენტოებმა საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს. ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაცია მას **მარკო ვან ბასტენის** შემცვლელად მოიაზრებსო, იუწყებიან ნიდერლანდელი კოლეგები. ვან ბასტენის კონტრაქტი საგაისო ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე იწურება. მარკოს საკლუბო ფეხბურთში მუშაობა სურს. იოლს ლონდონურ კონტრაქტში სამი წელიწადი აქვს დარჩენილი. მოსალოდნელ დანიშვნასთან დაკავშირებით, არც ფეხბურთის ფედერაციასა და არც იოლის წარმომადგენელს კომენტარი არ გაუკეთებიათ.



მარტინ იოლი

### ოთხი იტალიელი ტოტალიზატორის მახეში

"ტორინოს" თავდამსხმელ **დავიდე დი მიკელეს** და კიდევ სამ ფეხბურთელს ტოტალიზატორში უკანონო ფსონების გაკეთებისთვის სამთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. დი მიკელეს ჯარიმის სახით 27 ათასი ევროს გადახდაც დაეკისრა. მისი ბედი გაიზიარა ატალანტელმა **ტომას მანფრედინიმ**. მანტოველ **ვინჩენცო სომეზეს** ხუთთვიანი დისკვალიფიკაცია და 14-ათასიანი ჯარიმა გამოუწერეს. ფრიზონონელი **მასიმო მარჯოტა** ოთხი თვით ჩამოაშორეს მინდორს და ასევე 14 ათასი ევროთი დააჯარიმეს. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ უკანონო ფსონებთან დაკავშირების მასშტაბური გამოძიება შარშან დაიწყო. მან 20 ფეხბურთელი გამოავლინა, რომელიც 1998-2005 წლებში ამ საქმით იყო დაკავებული და სულ ცოტა 14 მილიონი ევროს ფსონი გააკეთა. საქმე ისაა, რომ იტალიელ ფეხბურთელებს ტოტალიზატორში თამაში მხოლოდ 2005 წლის ნოემბერში აეკრძალათ. ზემოთ ჩამოთვლილებს საქმე იმან გაურთულა, რომ ისინი ფსონებს იატაკქვეშა ტოტალიზატორებში დებდნენ, ყველასგან მალულად და სავსებით შესაძლებელია, იმ თამაშებზე, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობდნენ. ამ ოთხეულმა დანაშული სრულად აღიარა. საჯარო მონანიებამ კი მათი სასჯელები საგრძნობლად შეამსუბუქა. პასუხი მოსთხოვეს კლუბებსაც, სადაც ეს ფეხბურთელები ირიცხებიან. "ვიჩენცასა" და "მანტოვას" 10-10 ათასი ევროს გადახდა დაეკისრათ. "უდინეზეს", რომელმაც დი მიკელელს დანაშაულთან კავშირი კატეგორიულად უარყო, 20 500 დოლარის გადახდა მოუწევს.

### რიკელმე ვილიარეალში ბრუნდება?

დაბრუნდება თუ არა **ხუან რომან რიკელმე** "ვილიარეალში"? ესპანური კლუბის პრეზიდენტმა **ფერნანდო როიგმა** განაცხადა, რომ არგენტინელი ნახევარმცველი მისი კლუბის საკუთრებაა. სენიორ როიგმა საზოგადოებას ისიც შეახსენა, რომ ხუან რომანის კონტრაქტი მხოლოდ ორი წლის შემდეგ იწურება. მთავარ მწვრთნელ **მანუელ პელეგრინისთან** უთანხმოების გამო რიკელმემ გასული სეზონის მეორე ნახევარი "ბოკა ხუნიორსში" გაატარა. მან უმალ ლიბერტადორესის თასი მოიგო. საიჯარო ხელშეკრულება ამოიწურა. "ბოკას" მისი გახანგრძლივება სურს. ხუან რომანს არგენტინაშიც შთამბეჭდავი სეზონი ჰქონდა და კოპა ამერიკაზეც საუცხოოდ იასპარეზა. გასაკვირი არ არის, რომ პრეზიდენტმა როიგმა მის დაბრუნებაზე დაიწყო ფიქრი. მაგრამ პელეგრინის რიკელმეს მიმართ დამოკიდებულება არ შეუცვლია. ესპანელ მიმომხილველებს ამ მწვრთნელისა და ფეხბურთელის თანამშრომლობა ძნელად წარმოუდგენიათ. უფრო სავარაუდოა, რომ "ბოკა ხუნიორსს" მოთამაშის გამოსყიდვა მოუნიოს. ან რიკელმემ სხვა რომელიმე ევროპულ კლუბთან გააფორმოს კონტრაქტი.

### აგუერო: მადრიდიდან მოსკოვში?

"ფკ მოსკვამ" მადრიდის "ატლეტიკოს" გარიგება შესთავაზა. რუსული კლუბი მზადაა, 19 წლის თავდამსხმელის **სერხიო აგუეროს** სანაცვლოდ 16 მილიონი ევრო გადაიხადოს. აგუერო ახლახანს დასრულებული ახალგაზრდული მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მოსკოვში ტრანსფერის შემთხვევაში, თინეიჯერის ანაზღაურება რამდენჯერმე გაიზრდება. რა თქმა უნდა, მას სატრანსფერო თანხიდანაც სოლიდური წილი შეხვდება. მაგრამ "ატლეტიკოს" შეთავაზებული თანხა არ აკმაყოფილებს. არცაა გასაკვირი: ერთი წლის წინათ მადრიდელებმა არგენტინულ "ინდეპენდიენტეს" 23 მილიონი ევრო მიუთვალეს. "ფკ მოსკვას" თანამფლობელი და უმთავრესი სპონსორია რუსეთის ერთ-ერთი უმსხვილესი და უმდიდრესი კომპანია "ნორილსკი ნიკელი". სპონსორი სატრანსფერო თანხის გაზრდაზე ფიქრობს.

### იუვენტუსმა კოვაჩი მოიკითხა

"იუვენტუსმა" მოსკოვის "სპარტაკის" ნახევარმცველ **რადოსლავ კოვაჩს** დაადგა თვალი. "ბებერმა ქალბატონმა" 8 მილიონი ევრო გაამზადა. სახალხო გუნდმა "ინტერს" კოვაჩის სანაცვლოდ სწორედ ეს თანხა მოსთხოვა. იტალიის ჩემპიონებმა იანვრამდე მოცდა გადაწყვიტეს. ახლა კი საქმეში "იუვენტუსი" ჩაერია. მოსკოვური კლუბი გარიგებაზე თანახმაა, მაგრამ ჩეხი ლეგიონერის შემცვლელი ჯერ არ უპოვნია. თანაც ჩემპიონთა ლიგის გათამაშება კარსაა მომდგარი. თუ კოჩავი "სპარტაკში" იანვრამდე დარჩება, მისმა ფასმა, შეიძლება, რამდენიმე მილიონით მოიმატოს.

### სელტიკის საკადრო გასაჭირი

"სელტიკის" მეკარე **არტურ ბორუცი** სამი კვირა ვერ ითამაშებს. გასულ ოთხშაბათს "ნიუკასლთან" ამხანაგური მატჩისას (1:4) მან მხარი დაიზიანა. ტრავმა მოსალოდნელზე რთული აღმოჩნდა. პოლონელ გოლკიპერს შოტლანდიის ჩემპიონატის პირველი ტურების გამოტოვება მოუწევს. "სელტიკი" ახალ სეზონს სამი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე დაიწყებს. ბორუცის გარდა, ტრავმა აქვს გასული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელ **შუნსუკე ნაკამურას**. ის აზიის თასზე დაშავდა და ინტენსიურად მკურნალობს. ახალწვეულ **სკოტ მაკდონალდს** კი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდა მართებს.

### შახტარი: 20 მილიონი კასტილიოს სანაცვლოდ

დონეცკის "შახტარმა" მექსიკელი თავდამსხმელი **ნერი კასტილიო** შეიძინა. პირეოსის "ოლიმპიაკოსს" მის სანაცვლოდ 20 მილიონი დოლარი გადაუხადეს. 23 წლის ლათინოამერიკელმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეთანხმება დღეიდან შევა ძალაში. ახალწვეული უკრაინულ გრანდს დღესვე შეუერთდება. "შახტარის" გარდა, ამ ფეხბურთელზე "მანჩესტერ სიტიც" აცხადებდა პრეტენზიას. დონეცკელებმა ივლისის მეორე ნახევარში მეორე ხმაურიანი გარიგება სრულჰყვეს. ათი დღის წინათ მათ "ლივორნოს" თავდამსხმელი **კრისტიანო ლუკარელიც** შეიძინეს. ტოსკანურმა კლუბმა 8 მილიონი ევრო მიითვალა. 31 წლის ლუკარელიმ კი სამწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. ამასობაში, ბრაზილიელ ნახევარმცველ **ელანო ბლუმერს** "შახტარიდან" აზარგება სურს. მიზეზი მთავარ მწვრთნელ **მირჩა ლუჩესკუსთან** კონფლიქტია. ელანომ ბრაზილიის ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკა მოიგო. მისი შეძენა დასავლეთი ევროპის რამდენიმე მეორეხარისხოვან კლუბს სურს.

### ადუმ ბენფიკას მიაშურა

ამერიკული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი **ფრედი ადუ** "ბენფიკაში" გადადის. ფორვარდი პორტუგალიაში ჩავიდა, რათა კონტრაქტის პერსონალური დეტალები შეათანხმოს. დაგეგმილია სამედიცინო შემოწმების გავლაც, რის შემდეგაც ყმაწვილი ლისაბონელთა საკუთრებად გამოცხადდება. მისი ყოფილი კლუბი, "ვაშინგტონ იუნაიტედი" კომპენსაციის სახით 2 მილიონ დოლარს მიიღებს. ადუ ამერიკის 20-წლამდელთა ნაკრების კაპიტანია. ის "იუნაიტედში" 2003 წელს, 14 წლისა ჩაირიცხა. ადუს ევროპაში ადრეც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მისი ტრანსფერი მხოლოდ წელს გახდა შესაძლებელი, რადგან ფეხბურთელს 18 წელი შეუსრულდა.



ჯუზეპე როსი

ტრანსფერი

# როსის უარი იტალიას!

## შემდეგი გაჩერება: ვილიარეალი

იტალიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად წოდებული **ჯუზეპე როსი** სამშობლოში თამაშს არ აპირებს. ეს განცხადება მისმა აგენტმა **ფედერიკო პასტორელომ** გააკეთა. 21-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ბრწყინვალედ ჩაატარა გასული სეზონის ნახევარი და "პარმა" რომ სერია A-ში დარჩა, სწორედ მისი უდიდესი დამსახურებაცაა. 19 თამაშში 7 გოლი, ნახევარმცველის კვალობაზე, დაგვეთანხმებით, ჩინებული შედეგია.

როსი შეერთებულ შტატებშია დაბადებული და ამჟამად "მანჩესტერ იუნაიტედის" საკუთრებაა. ცოტა ხნის წინათ, მან განაცხადა, რომ არც "პარმაში" სურდა დარჩენა და "მენიუშიც" არ აპირებდა თამაშს. სერ **ალექს ფერგიუსონს** ის ძალიან მოსწონს, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა იცის, რომ "იუნაიტედის" ძირითადში ფეხის მოკიდება ძალიან გაუჭირდება. ეს კი მის ზრდას ხელს შეუშლის. და რა წამსაც როსიმ "პარმასა" და "მანჩესტერზე" უარი თქვა, სხვა იტალიური კლუბები დაფაცურდნენ. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს 21 წლის მოთამაშით "ფიორენტინა" იყო დაინტერესებული, მაგრამ აგენტი პასტორელო ამას კატეგორიულად უარყოფს:

*"დარწმუნებული ვარ, ჯუზეპეს როსიზე შექმნილ "საპნის ოპერას" მალე დავასრულებთ. არის რამდენიმე არაიტალიური კლუბი, რომელიც მისით სერიოზულადაა დაინტერესებული. ალბათ, დღე-დღეზე დავასახელებთ კიდეც იმ გუნდის ვინაობას, სადაც როსი გააგრძელებს კარიერას. ეს შეიძლება იყოს ინგლისური ან ესპანური კლუბი. "ფიორენტინა"? სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ფლორენციიდან ჩვენთვის არავის მოუმართავს. ამიტომ, ეს ხმები უსაფუძვლოა".*

ცალკეული წყაროების ინფორმაციით, ამ ტრანსფერის განსახორციელებლად ყველაზე დიდი შანსი "ვილიარეალს" აქვს. ეს კლუბი "მანჩესტერ იუნაიტედს" 7 მილიონ გირვანქას შესთავაზებს. როსის, რომელიც ამპლუით ნახევარმცველია, თავდასხმაშიც შეუძლია თამაში და ამიტომ, "ვილიარეალს" ის შეიძლება **დიეგო ფორლანის** შემცვლელადაც გამოადგეს.

გუშინ, გვიან ღამით გავრცელებული ინფორმაციით, როსიმ "ვილიარეალთან" კონტრაქტის დეტალები შეათანხმა.

## იტალია. სერია A 2007/08. კალენდარი

**I წრე**

**I ტური**

**25 აგვისტო**

ლაციო-ტორინო

**26 აგვისტო**

ფიორენტინა-ემპოლი
ჯენოა-მილანი
ინტერი-უდინეზე
იუვენტუსი-ლივორნო
ნაპოლი-კალიარი
პალერმო-რომა
პარმა-კატანია
რეჯინა-ატალანტა
სიენა-სამპდორია

**II ტური**

**1 სექტემბერი**

ატალანტა-პარმა
კალიარი-იუვენტუსი
კატანია-ჯენოა
ემპოლი-ინტერი
ლივორნო-პალერმო
მილანი-ფიორენტინა
რომა-სიენა
სამპდორია-ლაციო
ტორინო-რეჯინა
უდინეზე-ნაპოლი

**III ტური**

**16 სექტემბერი**

ფიორენტინა-ატალანტა
ჯენოა-ლივორნო
ინტერი-კატანია
იუვენტუსი-უდინეზე
ლაციო-ემპოლი
ნაპოლი-სამპდორია
პალერმო-ტორინო
პარმა-კალიარი
რეჯინა-რომა
სიენა-მილანი

**IV ტური**

**23 სექტემბერი**

ატალანტა-ლაციო
კალიარი-პალერმო
კატანია-ფიორენტინა
ემპოლი-ნაპოლი
ლივორნო-ინტერი
მილანი-პარმა
რომა-იუვენტუსი
სამპდორია-ჯენოა
ტორინო-სიენა
უდინეზე-რეჯინა

**V ტური**

**26 სექტემბერი**

კატანია-ემპოლი
ფიორენტინა-რომა
ჯენოა-უდინეზე
ინტერი-სამპდორია
იუვენტუსი-რეჯინა
ლაციო-კალიარი
ნაპოლი-ლივორნო
პალერმო-მილანი
პარმა-ტორინო
სიენა-ატალანტა

**VI ტური**

**30 სექტემბერი**

კალიარი-სიენა
ემპოლი-პალერმო
ლივორნო-ფიორენტინა
მილანი-კატანია
ნაპოლი-ჯენოა
რეჯინა-ლაციო
რომა-ინტერი
სამპდორია-ატალანტა
ტორინო-იუვენტუსი
უდინეზე-პარმა

**VII ტური**

**7 ოქტომბერი**

ატალანტა-უდინეზე
კატანია-ლივორნო
ფიორენტინა-იუვენტუსი
ჯენოა-კალიარი
ინტერი-ნაპოლი
ლაციო-მილანი
პალერმო-რეჯინა
პარმა-რომა
სიენა-ემპოლი
ტორინო-სამპდორია

**VIII ტური**

**21 ოქტომბერი**

ატალანტა-ტორინო
კალიარი-კატანია
ფიორენტინა-სიენა
იუვენტუსი-ჯენოა
ლივორნო-ლაციო
მილანი-ემპოლი
რეჯინა-ინტერი
რომა-ნაპოლი
სამპდორია-პარმა
უდინეზე-პალერმო

**IX ტური**

**28 ოქტომბერი**

კატანია-სამპდორია
ემპოლი-ატალანტა
ჯენოა-ფიორენტინა
ლაციო-უდინეზე
მილანი-რომა
ნაპოლი-იუვენტუსი
პალერმო-ინტერი
პარმა-ლივორნო
სიენა-რეჯინა
ტორინო-კალიარი

**X ტური**

**31 ოქტომბერი**

ატალანტა-კალიარი
ფიორენტინა-ნაპოლი
ინტერი-ჯენოა
იუვენტუსი-ემპოლი
პალერმო-პარმა
რეჯინა-ლივორნო
რომა-ლაციო
სამპდორია-მილანი
სიენა-კატანია
უდინეზე-ტორინო

**XI ტური**

**4 ნოემბერი**

კალიარი-სამპდორია
კატანია-ატალანტა
ემპოლი-რომა
ჯენოა-პალერმო
იუვენტუსი-ინტერი
ლაციო-ფიორენტინა
ლივორნო-უდინეზე
მილანი-ტორინო
ნაპოლი-რეჯინა
პარმა-სიენა

**XII ტური**

**11 ნოემბერი**

ატალანტა-მილანი
ფიორენტინა-უდინეზე
ინტერი-ლაციო
პალერმო-ნაპოლი
პარმა-იუვენტუსი
რეჯინა-ჯენოა
რომა-კალიარი
სამპდორია-ემპოლი
სიენა-ლივორნო
ტორინო-კატანია

**XIII ტური**

**25 ნოემბერი**

კალიარი-მილანი
ემპოლი-ტორინო
ჯენოა-რომა
ინტერი-ატალანტა
იუვენტუსი-პალერმო
ლაციო-პარმა
ლივორნო-სამპდორია
ნაპოლი-კატანია
რეჯინა-ფიორენტინა
უდინეზე-სიენა

**XIV ტური**

**2 დეკემბერი**

ატალანტა-ნაპოლი
კალიარი-ლივორნო
კატანია-პალერმო
ფიორენტინა-ინტერი
მილანი-იუვენტუსი
პარმა-ემპოლი
რომა-უდინეზე
სამპდორია-რეჯინა
სიენა-ლაციო
ტორინო-ჯენოა

**XV ტური**

**9 დეკემბერი**

ემპოლი-კალიარი
ჯენოა-სიენა
ინტერი-ტორინო
იუვენტუსი-ატალანტა
ლაციო-კატანია
ლივორნო-რომა
ნაპოლი-პარმა
პალერმო-ფიორენტინა
რეჯინა-მილანი
უდინეზე-სამპდორია

**XVI ტური**

**16 დეკემბერი**

ატალანტა-პალერმო
კალიარი-ინტერი
კატანია-უდინეზე
ემპოლი-ჯენოა
ლაციო-იუვენტუსი
მილანი-ლივორნო
პარმა-რეჯინა
სამპდორია-ფიორენტინა
სიენა-ნაპოლი
ტორინო-რომა

**XVII ტური**

**23 დეკემბერი**

ფიორენტინა-კალიარი
ჯენოა-პარმა
ინტერი-მილანი
იუვენტუსი-სიენა
ლივორნო-ატალანტა
ნაპოლი-ტორინო
პალერმო-ლაციო
რეჯინა-კატანია
რომა-სამპდორია
უდინეზე-ემპოლი

**XVIII ტური**

**13 იანვარი, 2008**

ატალანტა-რომა
კალიარი-უდინეზე
კატანია-იუვენტუსი
ემპოლი-რეჯინა
ლაციო-ჯენოა
მილანი-ნაპოლი
პარმა-ფიორენტინა
სამპდორია-პალერმო
სიენა-ინტერი
ტორინო-ლივორნო

**XIX ტური**

**20 იანვარი**

ფიორენტინა-ტორინო
ჯენოა-ატალანტა
ინტერი-პარმა
იუვენტუსი-სამპდორია
ლივორნო-ემპოლი
ნაპოლი-ლაციო
პალერმო-სიენა
რეჯინა-კალიარი
რომა-კატანია
უდინეზე-მილანი

**II წრე**

**XX ტური**

**27 იანვარი**

ტორინო-ლაციო
ემპოლი-ფიორენტინა
მილანი-ჯენოა
უდინეზე-ინტერი
ლივორნო-იუვენტუსი
კალიარი-ნაპოლი
რომა-პალერმო
კატანია-პარმა
ატალანტა-რეჯინა
სამპდორია-სიენა

**XXI ტური**

**2 თებერვალი**

პარმა-ატალანტა
იუვენტუსი-კალიარი
ჯენოა-კატანია
ინტერი-ემპოლი
პალერმო-ლივორნო
ფიორენტინა-მილანი
სიენა-რომა
ლაციო-სამპდორია
რეჯინა-ტორინო
ნაპოლი-უდინეზე

**XXII ტური**

**10 თებერვალი**

ატალანტა-ფიორენტინა
ლივორნო-ჯენოა
კატანია-ინტერი
უდინეზე-იუვენტუსი
ემპოლი-ლაციო
სამპდორია-ნაპოლი
ტორინო-პალერმო
კალიარი-პარმა
რომა-რეჯინა
მილანი-სიენა

**XXIII ტური**

**17 თებერვალი**

ლაციო-ატალანტა
პალერმო-კალიარი
ფიორენტინა-კატანია
ნაპოლი-ემპოლი
ინტერი-ლივორნო
პარმა-მილანი
იუვენტუსი-რომა
ჯენოა-სამპდორია
სიენა-ტორინო
რეჯინა-უდინეზე

**XXIV ტური**

**24 თებერვალი**

ემპოლი-კატანია
რომა-ფიორენტინა
უდინეზე-ჯენოა
სამპდორია-ინტერი
რეჯინა-იუვენტუსი
კალიარი-ლაციო
ლივორნო-ნაპოლი
მილანი-პალერმო
ტორინო-პარმა
ატალანტა-სიენა

**XXV ტური**

**27 თებერვალი**

სიენა-კალიარი
პალერმო-ემპოლი
ფიორენტინა-ლივორნო
კატანია-მილანი
ჯენოა-ნაპოლი
ლაციო-რეჯინა
ინტერი-რომა
ატალანტა-სამპდორია
იუვენტუსი-ტორინო
პარმა-უდინეზე

**XXVI ტური**

**2 მარტი**

უდინეზე-ატალანტა
ლივორნო-კატანია
იუვენტუსი-ფიორენტინა
კალიარი-ჯენოა
ნაპოლი-ინტერი
მილანი-ლაციო
რეჯინა-პალერმო
რომა-პარმა
ემპოლი-სიენა
სამპდორია-ტორინო

**XXVII ტური**

**9 მარტი**

ტორინო-ატალანტა
კატანია-კალიარი
სიენა-ფიორენტინა
ჯენოა-იუვენტუსი
ლაციო-ლივორნო
ემპოლი-მილანი
ინტერი-რეჯინა
ნაპოლი-რომა
პარმა-სამპდორია
პალერმო-უდინეზე

**XXVIII ტური**

**16 მარტი**

სამპდორია-კატანია
ატალანტა-ემპოლი
ფიორენტინა-ჯენოა
უდინეზე-ლაციო
რომა-მილანი
იუვენტუსი-ნაპოლი
ინტერი-პალერმო
ლივორნო-პარმა
რეჯინა-სიენა
კალიარი-ტორინო

**XXIX ტური**

**19 მარტი**

კალიარი-ატალანტა
ნაპოლი-ფიორენტინა
ჯენოა-ინტერი
ემპოლი-იუვენტუსი
პარმა-პალერმო
ლივორნო-რეჯინა
ლაციო-რომა
მილანი-სამპდორია
კატანია-სიენა
ტორინო-უდინეზე

**XXX ტური**

**22 მარტი**

სამპდორია-კალიარი
ატალანტა-კატანია
რომა-ემპოლი
პალერმო-ჯენოა
ინტერი-იუვენტუსი
ფიორენტინა-ლაციო
უდინეზე-ლივორნო
ტორინო-მილანი
რეჯინა-ნაპოლი
სიენა-პარმა

**XXXI ტური**

**30 მარტი**

მილანი-ატალანტა
უდინეზე-ფიორენტინა
ლაციო-ინტერი
ნაპოლი-პალერმო
იუვენტუსი-პარმა
ჯენოა-რეჯინა
კალიარი-რომა
ემპოლი-სამპდორია
ლივორნო-სიენა
კატანია-ტორინო

**XXXII ტური**

**6 აპრილი**

მილანი-კალიარი
ტორინო-ემპოლი
რომა-ჯენოა
ატალანტა-ინტერი
პალერმო-იუვენტუსი
პარმა-ლაციო
სამპდორია-ლივორნო
კატანია-ნაპოლი
ფიორენტინა-რეჯინა
სიენა-უდინეზე

**XXXIII ტური**

**13 აპრილი**

ნაპოლი-ატალანტა
ლივორნო-კალიარი
პალერმო-კატანია
ინტერი-ფიორენტინა
იუვენტუსი-მილანი
ემპოლი-პარმა
უდინეზე-რომა
რეჯინა-სამპდორია
ლაციო-სიენა
ჯენოა-ტორინო

**XXXIV ტური**

**20 აპრილი**

კალიარი-ემპოლი
სიენა-ჯენოა
ტორინო-ინტერი
ატალანტა-იუვენტუსი
კატანია-ლაციო
რომა-ლივორნო
პარმა-ნაპოლი
ფიორენტინა-პალერმო
მილანი-რეჯინა
სამპდორია-უდინეზე

**XXXV ტური**

**27 აპრილი**

პალერმო-ატალანტა
ინტერი-კალიარი
უდინეზე-კატანია
ჯენოა-ემპოლი
იუვენტუსი-ლაციო
ლივორნო-მილანი
რეჯინა-პარმა
ფიორენტინა-სამპდორია
ნაპოლი-სიენა
რომა-ტორინო

**XXXVI ტური**

**4 მაისი**

კალიარი-ფიორენტინა
პარმა-ჯენოა
მილანი-ინტერი
სიენა-იუვენტუსი
ატალანტა-ლივორნო
ტორინო-ნაპოლი
ლაციო-პალერმო
კატანია-რეჯინა
სამპდორია-რომა
ემპოლი-უდინეზე

**XXXVII ტური**

**11 მაისი**

რომა-ატალანტა
უდინეზე-კალიარი
იუვენტუსი-კატანია
რეჯინა-ემპოლი
ჯენოა-ლაციო
ნაპოლი-მილანი
ფიორენტინა-პარმა
პალერმო-სამპდორია
ინტერი-სიენა
ლივორნო-ტორინო

**XXXVIII ტური**

**18 მაისი**

ტორინო-ფიორენტინა
ატალანტა-ჯენოა
პარმა-ინტერი
სამპდორია-იუვენტუსი
ემპოლი-ლივორნო
ლაციო-ნაპოლი
სიენა-პალერმო
კალიარი-რეჯინა
კატანია-რომა
მილანი-უდინეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფრანკ რიბერისთან

# ჩემს დამტვრევას ბევრი შეეცდება

## ...მაგრამ ფრანგ ნახევარმცველს არავისი ეშინია



ფრანკ რიბერი

**"ბაიერნმა" ამ ფეხბურთელში 25 მილიონი ევრო გადაიხადა. ვინც გერმანულ ფეხბურთში კარგად ერკვევა, აუცილებლად ეცოდინება, რომ მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელები ასეთ თანხებს ფეხბურთელებში იშვიათად იხდიან ხოლმე. მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რიბერი მოლოდინს არა მარტო გაამართლებს, არამედ გადააჭარბებს კიდეც. ხუმრობა იქით იყოს და თვითონაც ამბობს, ჩემი ფასი 100 მილიონი ევროა, მე რომ რომელიმე გუნდის ბოსი ვიყო, რიბერიში 25 მილიონზე ოთხჯერ მეტსაც დაუფიქრებლად გადავიხდიდიო. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ეს ხუმრობა თავიდან ვერ გაიგეს და ერთი გაფიქრება გაიფიქრეს, ემანდ ამ ბიჭს თავში ხომ არაფერი აუვარდაო, მაგრამ ფაქტია, რომ არ აუვარდა. რიბერის "შპორტ აინსის" კორესპონდენტი გაესაუბრა.**

**- ჰერ რიბერი, "ბაიერნმა" გერმანიის ლიგის თასზე ის სამი გუნდი დაამარცხა, რომლებმაც გასულ სეზონში ბუნდესლიგის საუკეთესო სამეული შეადგინეს. და რაც მთავარია, რეკორდმაისტერს არცერთი მატჩის მოგება არ გასჭირვებია. ყველაფერი ასე მარტივად წარმოგედგინათ?**

- გარედან, შესაძლოა, ყველაფერი მარტივი ჩანს, მაგრამ დამიჯერეთ, ამ მატჩების მოგება არც ისე იოლი იყო. მთავარი და გადამწყვეტი ის გახლდათ, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ზედმიწევნით ზუსტად იცოდა, რა უნდა ეკეთებინა მოედანზე. მთელი სეზონის განმავლობაში ასეთი განწყობა უნდა გვქონდეს და ასეთ შემთხვევაში სერიოზულ წინააღმდეგობას ვერავინ გაგვიწევს.

**- ამ შეხვედრებში გამოჩნდა, ადაპტაციის პერიოდი ძალიან მალე მოიტოვეთ უკან. ისე თამაშობთ, თითქოს "ბაიერნში" მინიმუმ ორი სეზონი გქონდეთ ჩატარებული. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ფრანკ რიბერი "ბაიერნს" იდეალურად მოერგო და პირიქით?**

- მაქსიმალურად ვეცადე, რომ დასაწყისი კარგი ყოფილიყო და ვფიქრობ, ეს გამომივიდა კიდეც. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ პირველსავე დღეებში ახალ თანაგუნდელებთან, მწვრთნელთან და უბრალოდ აქაურებთან კარგი ურთიერთობა დამემყარებინა და ძალიან მიხარია, რომ ეს შევძელი. ჩვენ პირველ რიგში ხომ ადამიანები ვართ და მხოლოდ ამის შემდეგ ფეხბურთელები - მე მინდა, რომ ბოლომდე ჩვეულებრივ ადამიანად დავრჩე და მხოლოდ მოედანზე ვიყო სასწაულმოქმედი.

**- ჰო, მაგრამ ამ "ჩვეულებრივი ადამიანის" გარშემო უკვე დიდი ამბებია ატეხილი. მთელი მიუნხენი ეიფორიაშია, ფანებს გული ძალიან მალე მოიგეთ...**

- სხვათა შორის, ეიფორიას მიჩვეული ვარ. მარტივად ვხვდები, როდის არის იმის დრო, რომ ყველამ ერთად გავიცინოთ და როდის იმის დრო, რომ საქმეს სერიოზულად მივუდგეთ. მოედანზე ყოფნის დროს, ყოველთვის მაქსიმუმის გაღებას ვცდილობ და მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობ ხოლმე. ამასთან ერთად, მინდა, რომ ჩემი თამაშით ფანებიც ვასიამოვნო და რაღაც ისეთი გავაკეთო, რაც ყველას აღაფრთოვანებს.

**- ოტმარ ჰიტცფელდმა თქვენზე თქვა, რიბერი ბუნდესლიგის ატრაქციონი იქნებაო. იქნებ არ გსიამოვნებთ ის ფაქტი, რომ სეზონი ჯერ არ დაწყებულა, მწვრთნელს კი უკვე ქებით ცაში აყევხართ?**

- თუ მწვრთნელი ასე ფიქრობს და ამას ღიად ამბობს, რა პრობლემაა. პირიქით, ეს ძალიან სასიამოვნოა. ჰიტცფელდი ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია და მას ჩემგან არ ესწავლება, სად, რა და როგორ უნდა თქვას. როგორც ჩანს, მან უკვე ისე კარგად გამიცნო, რომ თავს ასეთი განცხადების გაკეთების უფლება მისცა.

**- ული ჰიონესი შიშობს, რომ მეტოქე გუნდის ფეხბურთელები თქვენ წინააღმდეგ ძალიან უხეშად ითამაშებენ, რადგან მხოლოდ ასე თუ მოახერხებენ თქვენს შეჩერებას. თქვენ არ გეშინიათ, რომ სერიოზულ ტრავმას მიიღებთ?**

- არა, სხვა ფეხბურთელების არ მეშინია! ამაზე რომ ვიფიქრო, მაშინ კარგად ველარ ვითამაშებ.

**- დავიჯეროთ, არ ფიქრობთ იმაზე, რომ ტრავმას მოგაყენებენ?**

- როგორ არ ვფიქრობ, მაგრამ აი, იმაზე კი ნამდვილად არ მიფიქრია, თუ როგორი უნდა იყოს ჩემი რეაქცია. ცხადია, იქნებიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც მხოლოდ ორთაბრძოლაში კი არ შემოვლენ, არამედ გამიზნულად შეეცდებიან, რომ ფეხები მატკინონ. ეს ჩემთვის მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ უფრო ფრთხილად და ფხიზლად უნდა ვიყო.

**- მოსამზადებელ პერიოდში ჰიტცფელდმა ორი ტაქტიკა გამოცადა. პირველი ვარიანტი ასეთი იყო: ორი შემტევი ნახევარმცველი და ორი ფორვარდი. მეორე კი ასეთი: სამი შემტევი ნახევარმცველი და ერთი ფორვარდი. თქვენ რომელ ტაქტიკას ანიჭებთ უპირატესობას?**

- ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად იყოს. ისე ვითამაშებთ, როგორც მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლის - ანუ, მთავარია, რომელი ტაქტიკა ურჩევნია ჰიტცფელდს. მთავარია, წარმატებას მივაღწიოთ.

**- შესანიშნავი იუმორი გაქვთ და ეს უკვე არაერთხელ დამტკიცდა. ბოლოს ვის გაეხუმრეთ?**

- დანიელ ვან ბუიტენს. შხაპის მიღების შემდეგ, როცა ჩაცმა დაიწყო და ფეხსაცმლიდან წინდები ამოიღო, ერთ წინდას თითების ადგილი მოჭრილი ჰქონდა. მაკრატლით მოვაჭერი...

გოტფრიდ ლენცი

---




**ჩემპიონ "შტუტგარტის" შემდეგ, მარიო ბასლერმა მიზანში ლევან კობიაშვილის "შალკე" ამოიღო და გელზენკირხენულ კლუბზე წერს. სუპერმარიოსთვის გაუგებარია, თუ რატომ ზოგავენ "შალკეს" ბოსები "გაზპრომის" ფულს...**

ბუნდესლიგა. სეზონის წინ. მარიო ბასლერის ექსპერტიზა

# ნახევარი საუკუნე სინის გარეშე

## შალკე 04 ბასლერისთვის შალკე 02 გახლავთ...

"შალკე 04"? არაფერიც! დროა, ამ გუნდს "შალკე 02" შევარქვათ. გელზენკირხენელები ხომ ყოველთვის პირველ ადგილზე გადიან, ოღონდ, პირველი ადგილის შემდეგ და ეს მათი ზენიტია. აი, ახლაც, ლიგის თასის ფინალში დამარცხდნენ და თანაც იმ "ბაიერნთან", რომელსაც ვარსკვლავები არ ჰყავდა. თითქოს ეს გუნდი მუდმივად მეორეობისთვის არის განწირული.


კევინ კურანი

ლაიპციგში აშკრად გამოჩნდა, რომ "შალკეს" მინიმუმ ერთი მაღალი კლასის ნახევარმცველი აკლია. ეს არის ადგილი, სადაც ამ გუნდს ყველაზე მეტად სტკივა. თუ შალკელები მეტოქის კართან ხიფათს ქმნიან, მაშინ მხოლოდ სტანდარტული სიტუაციების დროს და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა **კევინ კურანი** თამაშობს. გენერალურ მენეჯერ **ანდრეას მიულერზე** ახლა ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. ბიჭო, მიულერ, ნაღდად სოლიდურად მუშაობ და ამას ვერავინ უარყოფს, მაგრამ მაინც, ერთი რჩევა უნდა მოგცე. ჩაიხედე გერმანიის სატელეფონო ცნობარში და აუცილებლად მოძებნე ერთი პიროვნების ნომერი. ეძებე რურში, გელზენკირხენში, კაცი, რომელსაც **რუდი ასაუერი** ჰქვია. დაურეკე და ის მოგცემს საუკეთესო რჩევას. გეტყვის, როგორ უნდა დახარჯო ფულის რუსული ტომარის, "გაზპრომის" მილიონები. ალბათ ჯერაც ვერ ხვდები, რაოდენ დიდ პოტენციალს ვერ იყენებ - "გაზპრომი" სპონსორად გყავს, **სტეფან აპიას** კი 500 000 ევროზე ევაჭრები. მილიონები კი იმისთვისაა, რომ იყიდო ფეხბურთელი, რომელიც ძალიან გჭირდება. მნიშვნელობა არა აქვს, აპია იქნება თუ ვინმე სხვა - ნახევარდაცვაში კაცი გჭირდება.

კურანი დიდი ხანია ითხოვს ერთ ისეთ შუამარბს, რომელიც მას პასებით მოამარაგებს. კევინიც მიხვდა, რომ შვეიცარიელი **რაკიტიჩი** ტალანტია, მაგრამ ის აშკარად ვერ შეცვლის **ლინკოლნს**, რომელიც თავის მხრივ ნამდვილად არ იყო საუკეთესო. და მით უმეტეს, რომ რაკიტიჩი ლინკოლნის დონეც კი არ არის. ამასთან, **ალთინთოფ** მეორესაც უნდა პასებით მომარაგება, სჭირდება მომმარაგებელი, მაგალითად ისეთი, როგორიც ალთინთოფ პირველია "ბაიერნში". ჰმ, როგორ უაზროდ დაკარგეთ ეს ძალიან კარგი ფეხბურთელი...

ანდრეას მიულერი ფრთხილი კაცია და არ უნდა, რომ შეცდომა დაუშვას. "გაზპრომის" მილიონებს ამიტომაც ვერ ხარჯავს თამამად. მისთვის დიდი პატივია ის, რომ "შალკეს" მენეჯერი ჰქვია და უნდა, რომ ფული დაზოგოს, მაგრამ ისიც უნდა ახსოვდეს, რომ აქ საქმე ფეხბურთს ეხება, ბუნდესლიგას და ჩემპიონთა ლიგას.

"შალკემ" გერმანიის ჩემპიონობა უკანასკნელად 1958 წელს იზეიმა. თუკი გელზენკირხენელები აპიას ან ვინმე ამდაგვარს არ შეიძენენ, 50 წლიან იუბილეს ისევ "ვერცხლის სინის" გარეშე იზეიმებენ. ნახევარი საუკუნე სინის გარეშე - დიდებული წვეულება იქნება. და ვინ მოვა სტუმრად? რა თქმა უნდა, დორტმუნდის "ბორუსიის" ფანები! ასევე "ბოხუმისა" და დუისბურგისა". აი, მაშინ კი მოუწევს მიულერს რუსული არყის შეკვეთა და იძულებული იქნება, რომ ერთი კარგად გამოთვრეს. ფულს თუ ვერა, "გაზპრომს" ხარისხიან არაყს მაინც გამორჩება...

ერთადერთი, ვინც არაყს არ გაეკარება, **მირკო სლომკაა** - კაცი წესიერების განსახიერება, რომელსაც სწორედ ეს წესიერება ღუპავს. სლომკამ რა არ მოიმოქმედა - ახლა სპორტის მეცნიერები და კვების მეცნიერებიც მიიწვია გუნდში, რათა სწორი პოლიტიკა განსაზღვროს. ამბობს, ეს ხალხი იმაში დამეხმარება, რომ გუნდში ერთსულოვნება სუფევდესო. ამას წინათ, ერთმა შალკელმა მითხრა, უცხო ქალებს ველარ ველაპარაკები, მეშინია, სლომკას ერთ-ერთი მეცნიერი არ აღმოჩნდესო. თანაც, ეს მეცნიერები სულ ქალები ყოფილან.

ჰეი, მირკო, რომელ საუკუნეში ცხოვრობ? გაიხსენე, სად მუშაობ - ეს "შალკეა", რურია, გელზენკირხენია, მუშათა ქალაქი. თუ გინდა, რომ შენს გუნდში ერთსულოვნება იყოს და გუნდი ერთ მუშტად შეიკრას, ფეხბურთელები კვირაში ერთხელ რესტორანში გარეკე - შნიცელი, ფრიტები, შემწვარი სარდელი და კათხა ლუდი - აი, რა სჭირდებათ "შალკეს" ფეხბურთელებს იმისათვის, რომ მოედანზე ყველა ყველას ძმაკაცი იყოს. ასე მეორე ადგილზე გასვლაც სასიამოვნო იქნება. რადგან ამ "შალკეს" მეტი მაინც არაფერი შეუძლია...

მარიო ბასლერი
ბილდი




ეს საინტერესოა

### შალკე ახალი სეზონის წინ

**ადგილები წინა სამ სეზონში:** 2, 4, 2.

**მწვრთნელი:** მირკო სლომკა (39 წლის, კონტრაქტი 2009 წლამდე).

**მივიდნენ:** რაკიტიჩი (ბაზელი, 3 მილ), ვესტერმანი (არმინია, 2.8 მილ), ჯონსი (აინტრახტი, უფასოდ), შობერი (ჰანზა, უფასოდ), აზაუაგი (მაინცი, განათხოვრებული იყო), აბელი (ჰამბურგი, განათხოვრებული იყო), ჰიოვედესი (მეორე გუნდიდან).

**წავიდნენ:** ლინკოლნი (გალათასარაი, 5 მილ), ჰამით ალთინთოფი (ბაიერნი, უფასოდ), ლამშიკი (კასელი, უფასოდ), დელურა (პანიონიოსი, 250 000), ჰოოგლანდი (მაინცი, 200 000), ბუნგერტი (ოფენბახი, 150 000).

**მიზანი:** ჩემპიონთა ლიგის საგზური, ანუ, საუკეთესო სამეული.

**პირველი ორი მატჩი:** შტუტგარტი (სტუმრად), დორტმუნდი (შინ).


სტეფან აპია

შალკე

# აპია ჩაიშალა

## თურქებს განელის სანაცვლოდ კურანი სურდათ...

26 წლის განელი ნახევარმცველი **სტეფან აპია** "შალკეში" არ გადავა! **ლევან კობიაშვილის** გუნდის ხელმძღვანელები "ფენერბაჰჩეს" ბოსებს სატრანსფერო დეტალებზე ვერ მოურიგდნენ. შესაბამისად, გელზენკირხენული კლუბის ოფიციოზმა დაადასტურა, რომ ტრანსფერი ჩაიშალა და არ შედგება. თურქულმა კლუბმა "შალკეს" აპიას სანაცვლოდ **კევინ კურანი** მოსთხოვა და არცაა გასაკვირი, რომ გელზენკირხენელები ამ გარიგებაზე არ წავიდნენ. ამრიგად, "შალკეს" მენეჯერ **ანდრეას მიულერისთვის** ეს თემა უკვე დახურულია.

ორშაბათს, კობის გუნდის ბოსმა თურქეთიდან ფაქსი მიიღო, სადაც ეწერა, რომ "ფენერბაჰჩე" აპიას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუშვებდა, თუ გელზენკირხენელები განის ნაკრების კაპიტნის სანაცვლოდ კურანის დათმობდნენ. ამ ფაქტმა მიულერი საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ აპიას ტრანსფერი არ შედგებოდა. *"ჩვენ მივხვდით, რომ "ფენერბაჰჩესთან" ფულზე ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. მათ მხოლოდ კურანი მოითხოვეს. რას ვიზამთ, იმედგაცრუება ხშირია,"* - ამბობს მიულერი. არადა, წინა ოთხშაბათს "შალკეს" შეფებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ აპიასთან შეთანხმებას მიაღწიეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა



## წმინდა ილიას დღე

### საქართველოს ნაკრები საფრანგეთს გაემგზავრა



საქართველოს მორაგბეთა ნაკრები დღეს გეზს საფრანგეთისკენ აიღებს. სექტემბრიდან ქართველი ბორჯღალოსნები ზედიზედ მეორედ მიიღებენ მონაწილეობას მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმში. გუშინ რაგბის ქომაგებმა და ვეტერანმა მორაგბეებმა საქართველოს ნაკრებს გზა დაულოცეს.

მიხეილ მესხის სტადიონზე უამრავ ადამიანს - მორაგბეებს, ვეტერანებს, მათი ოჯახის წევრებს, რაგბის ქომაგებს მოეყარათ თავი. სალამოს წამყვანმა ვეტერანმა მორაგბემ, **ნიაზ მამრიკიშვილმა** მოედანზე ვეტერან მორაგბეთა ორ გუნდს უხმო. ქართული რაგბის ოდინდელი ვარსკვლავები დასავლეთი და ალმოსავლეთი საქართველოს ნაკრებებად განაწილდნენ. **ირაკლი კიზირია, თემურ ბენდიაშვილი, ბართლომე ხამაშურიძე, ვლადიმერ აბაშიძე, ლევან მგელაძე, ავთანდილ ღიბრაძე, ბესარიონ ლილუაშვილი, ნუგზარ ძაგნიძე** და ბევრი სხვა დიდოსტატი, მართალია, ძველებურად ვერ ჩაუქრობდა, მაგრამ ჟინითა და თავდადებით დღევანდელ მორაგბეებს არ ჩამოუვარდებოდა.

თამაშის დასრულების შემდეგ ვეტერანებმა საქართველოს ნაკრებს დერეფანი მოუწყვეს. ბორჯღალოსნებმა წინ საქართველოს დროშა წაიმძღვარეს და მოედანზე შევიდნენ. მორაგბეებს გზა **მამა ილია ნასიძემ** დაულოცა. მან წმინდა ილიას ხსენების დღეს კაპიტან **ილია ზედგინიძეს** წმინდა ილიას ხატი გადასცა.

დღესასწაული კონცერტით დასრულდა რომელშიც ვოკალური ანსამბლი "ფესვები" და მომღერალი **ნიაზ დიასამიძე** მონაწილეობდნენ.

**მერაბ კვირიკაშვილი:** - ეს ყოველივე ძალიან ამაღელვებელია. რაგბის ქომაგებისგან, ვეტერანი მორაგბეებისგან ძალიან დიდი სითბო, მხარდაჭერა ვიგრძენით. პასუხისმგებლობას, ცხადია, აქამდეც ვგრძნობდით, მაგრამ ასეთი გაცილების შემდეგ ის გაგვიათკეცდება.

**მამუკა გორგოძე:** - საწვრთნელი პროცესი მალე უკვე საფრანგეთში გაგრძელდება. ვეცდებით, სათანადოდ მოვემზადოთ, რათა ის ნდობა რაც დღეს ქართველმა ქომაგებმა და რაგბის ვეტერანებმა გამოგვიცხადეს, მთლიანად გავამართლოთ.

**რატი ურუშაძე**: - ცერემონიალის დაწყების წინ საპატრიარქოში ვიყავით. პატრიარქთან ერთად გზა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემაც დაგვილოცა. ამას ეს ბრწყინვალე ღონისძიება მოჰყვა. ასეთი ყურადღება ძალიან სასიამოვნოა. წინ ძნელი ბრძოლები გველის. ურთულეს ჯგუფში მოვხვდით. ვეცდებით მაქსიმალურად გამოვავლინოთ ჩვენი შესაძლებლობები, რა შედეგისთვის იქნება ეს საკმარისი, საფრანგეთში გამოჩნდება.

**ილია ზედგინიძე**, გუნდის კაპიტანი: - საქართველოს ნაკრების სახელით, მინდა, ყველას, რაგბის ქომაგებს, ვეტერან მორაგბეებს, რაგბის კავშირის ხელმძღვანელებს, ჩვენ მხარდასაჭერად სტადიონზე მოსულ ახალგაზრდა პატრიოტებს მადლობა გადავუხადო. ეს ამაღელვებელი გრძნობა, რაც დღეს განვიცადეთ საფრანგეთში უკანასკნელ მატჩამდე გაგვყვება და მეტ ძალას, ენერგიას შეგვმატებს. ძალიან ვეცდებით, ჩვენს ქომაგებს იმედები არ გავუცრუოთ.

**ბესიკ ჟანგავაძე**

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: გოდერძი შველიძე, დავით ხინჩაგიშვილი, აქვსენტი გიორგაძე, დავით დადუნაშვილი, დავით ზირაქაშვილი, ავთანდილ კოპალიანი, მამუკა მაგრაქველიძე, დავით გასვიანი

მეორე ხაზი: ილია ზედგინიძე, მამუკა გორგოძე, ლევან დათუნაშვილი, ვიქტორ დიდებულიძე, ზურაბ მჭედლიშვილი

მესამე ხაზი: ილია მაისურაძე, ზვიად მაისურაძე, გია ლაბაძე, რატი ურუშაძე, გიორგი ჩხაიძე, ბესიკ უდესიანი, დავით ბოლღაშვილი, შალვა სუთიაშვილი

9: ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, გიორგი კაჭარავა

10, 15: მერაბ კვირიკაშვილი, პავლე ჯიმშელაძე, ოთარ ბარკალაია, თემურ სოხაძე

12,13: ირაკლი გიორგაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, რევაზ გიგაური, დავით კაჭარავა

11,14: ირაკლი მაჩხანელი, გიორგი შკინინი, ბესიკ ხამაშურიძე, ოთარ ელოშვილი, გიორგი ელიზბარაშვილი



ალექსანდრე კოჭლამაშვილის ფოტოები



## ტენდენციები: დადებითი და საგანგაშოც...

გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში, ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის მედალოსნებს მიღება გაუმართეს. შეგახსენებთ, რომ ამ ფესტივალს წინა კვირაში ბელგრადმა უმასპინძლა და ჩვენებმა სამივე სინჯის 2-2, ჯამში 6 მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ ძიუდოისტი **ზებედა რეხვიაშვილი** (66) და ჩოგბურთელთა შერეული წყვილი - **ეკატერინე გორგოძე, გიორგი ხმიადაშვილი**. გორგოძემ ერთეულებში ვერცხლის მედალიც მოიპოვა, მეორე ასეთივე ჯილდო კი ძიუდოისტ **ზვიად კაპანაძის** (60) ანგარიშზეა. ბრინჯაოებიც ძიუდოისტებმა მოიპოვეს - **ოთარ კაიდარაშვილმა** (50) და **გიორგი მერმანიშვილმა** (73). აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ რეხვიაშვილმა, კაპანაძემ და მემარნიშვილმა სულ რალაც ერთი თვის ნინათ მალტაში, ჭაბუკთა ევროპირველობაზე ზუსტად იმავე სინჯის მედლები მოიპოვეს. საერთო ჩათვლაში ჩვენებმა ხარისხობრივი მაჩვენებლებით, 49 ქვეყანას შორის 16-ე ადგილი დაიკავეს, რაოდენობრივად - 19-ე.

ფესტივალში 49 ქვეყნის 2300 მხოლოდ სპორტსმენი გამოდიოდა, მომსახურე პერსონალი და მწვრთნელ-მსაჯთა დამატებით კი მონაწილეთა რაოდენობა 5 ათას კაცამდე ადიოდა. შედარებისთვის - 2010 წელს უკვე მსოფლიოს ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს დაედება სათავე და იქ მხოლოდ... 3000 სპორტსმენი გამოვა. აუტანელი კლიმატური პირობებისა თუ მცირე ხარვეზების მიუხედავად, ბელგრადმა ღონისძიებას მაინც დამაკმაყოფილებლად უმასპინძლა. ფესტივალს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჟაკ როგიც** ესწრებოდა.

სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა **ემზარ ზენაიშვილმა** ჩვენი გუნდის გამოსვლა წარმატებულად შეაფასა. ფესტივალში 49 ქვეყნის 2300 სპორტსმენი გამოდიოდა. ბელგრადში 12 ქვეყანა საერთოდ უმედლოდ დარჩა, რამდენიმე



კი ან მხოლოდ ერთი მედლით, ანაც მარტო ბრინჯაოებით იწონებს თავს. რაოდენობრივად ვერა, მაგრამ ხარისხობრივად გავუსწარით შვედეთს, სლოვაკეთს, სლოვენიას, ესპანეთს; ორივე მაჩვენებლით ვაჯობეთ თურქეთს, პორტუგალიას, შვეიცარიას, ნორვეგიას, ბულგარეთს, დანიას, ბელარუსს, ჩეხეთს... ზენაიშვილმა ისიც კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სახეობების მიხედვით მედალოსანთა გეოგრაფია გაიზარდა და თუ აქამდე ძიუდოს, ფეხბურთისა და მძლეოსნობის იმედად ვიყავით, ახლა რუკაზე ჩოგბურთიც გამოჩნდა. მედალოსანმა ფედერაციებმა მადლობაც დაიმსახურეს. მეტიც - ჩოგბურთელთა წარმატების შემდეგ ოლიმპიური ფონდი მათ შეკრებების მოწყობას და მზადებაში დახმარებას შეჰპირდა.

თუმცა გუშინდელი შეხვედრის ლაიტმოტივად მაინც ის საგანგაშო ტენდენციები იქცა, რაც ბელგრადულმა ფესტივალმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა - ზენაიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკვე ისეთ ქვეყნებსაც ჩამოვრჩებით, რომლებსაც ადრე საგრძნობლად ვუსწრებდით და რადიკალური რეფორმების საჭიროებაზე ალაპარაკდა. თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მეხუთეზე ვართ, მაგრამ რუსეთი (ეს სულაც პირველია 18 ოქროსა და ჯამში 32 მედლით) და უკრაინა ჯანდაბას, პრესკონფერენციის მასპინძლებისთვის აზერბაიჯანსა და ლატვიასთან ჩამორჩენა დიდი დარტყმა აღმოჩნდა. მართალია, ლატვიელთა მონაგარი ხუთი მედალია, მაგრამ აქედან 3 ოქროა და სწორედ ამით გვაჯობეს, აზერბაიჯანმა კი მართლაც სასწაული მოახდინა - 7 მედალი მოიპოვა და ყველა ოქროსი! ისიც საინტერესოა, რომ ამ 7-დან 4 ძიუდოისტების მონაგარია. აზერბაიჯანელები გუნდურში მეექვსეზე გავიდნენ.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე არ თქმულა, მაგრამ ფესტივალის კულუარებში დაუფარავად საუბრობდნენ იმაზე, რომ აზერბაიჯანელებმა ეს წარმატება გადაზრდილთა ხარჯზე მოიპოვეს, თუმცა მსგავსი ეჭვები სხვების მიმართაც გაჩენილა. სამწუხაროდ, საბოლოოდ საქმე ოფიციალურ შემოწმებამდე არ მისულა.

ეჭვიც არ შეგეპაროთ, ამ ჭორებში სიმართლეც ბევრი იქნება - აზერბაიჯანში და, საერთოდ, ყოფილი სოცბანაკის ქვეყნებში ასაკის გადაკეთება ჩვეულებრივი, მანკიერი მოვლენაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ აზერბაიჯანიც და იგივე ლატვიაც სპორტის გასავითარებლად გეგმაზომიერად მუშაობენ, სპორტში დიდი ფულიც ჩადეს, ინფრასტრუქტურითაც ბევრად გაგვისწრეს და მედლებში გადასწრებაც კანონზომიერია. ამიტომ განაცხადა ზენაიშვილმა, რომ ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე თუ შავი ზღვის თამაშებზე მოპოვებული მედლები კარგია, მაგრამ მოწინავე პოზიციებზე გასასვლელად ძირეული რეფორმებია საჭირო.

სამწუხაროდ, ამ თამაშებზე ძირითადად ძიუდოსი გვეიმედება და ბელგრადშიც ასე იყო. თუმცა ამ ფესტივალმა ის სამუხარო რეალობაც გამოავლინა, რომ ზოგიერთ სახეობაში - ტანვარჯიშში, ცურვაში, მაგიდის ჩოგბურთში, ველოსპორტში - ევროპული სტანდარტებისგან იმდენად შორს ვართ, რომ ზენაიშვილმა არც ის გამორიცხა, მომავალი ანალოგიური თამაშებისადმი მიდგომას გადახედონ და ასეთი სახეობებიდან არავინ წაიყვანონ.

**ირაკლი თავაძე**

# სპორტული ნარდი

საქართველოს ნარდის ეროვნული ასოციაციის ჩანართი — აგვისტო, 2007

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭეშმარიტად სახალხო თამაში

მკვლევარებსაც უჭირთ ნარდის წარმოქმნის დროისა და ადგილის ზუსტი განსაზღვრა. ბევრი არც იმ აზრს ეთანხმება, თითქოს ეს თამაში აზიურია და იქიდან გავრცელდა მთელ მსოფლიოში. დიახ, ნარდს ყველგან თამაშობენ და, სადაც თამაშობენ, ისე გაითავისეს, თითქოს მათსავე წარსულში აქვს გადგმული ფესვები, მათი წინაპრებიდან მომდინარეობს. ასეთი რამ ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო თამაშებისთვისაა დამახასიათებელი. მის წარმომავლობას არც საქართველოში შეუქმნია რაიმე პრობლემა - გავრცელდა და მორჩა. ალბათ, წარსულშიც, ჩვენში ძნელად მოიპოვებოდა სახლობა ჭადრაკთან ერთად ნარდიც რომ არ ჰქონოდა ოჯახში, განსაკუთრებით ქალაქებში. შეიქმნა თამაშის ნაირსახეობები. ზოგიერთ ხალხში გაჩნდა ნარდის თამაში ეროვნული ნიშნითაც კი.

ამ თამაშის პოპულარობამ დღის წესრიგში თავისთავად დააყენა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებისა და ტურნირების გამართვა. ხაზგასასმელია სამი ძირითადი ასპარეზობა - ეროვნული, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები.

საბჭოთა პერიოდში ნარდის თამაში ოფიციალურად არ იკრძალებოდა, მაგრამ არც შეჯიბრებები ტარდებოდა. მხოლოდ 1990 წელს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიბაძვით, ნარდის ფედერაციამ ერთ-ერთმა პირველმა წამოიწყო ბრძოლა საერთაშორისო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად და მიაღწია კიდეც მიზანს. არ დაგავიწყდეთ, ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა კავშირის დაშლა ჯერ კიდევ არ არის გამოცხადებული ოფიციალურად.

საქართველოში სისტემატურად ტარდებოდა და ტარდება ეროვნული ჩემპიონატები, რჩეულები კი დიდ საერთაშორისო ტურნირებში გამოდიან წარმატებით თავისი ქვეყნის სახელით.

ჭეშმარიტად სახალხო გასართობ თამაშს ჩვენში მასობრიობის კიდევ უფრო მეტი პერსპექტივა გააჩნია. ამის გარანტიას იძლევა სპონსორების გააქტიურება, ტურნირების მომრავლება, გამარჯვებულთა და პრიზიორთა ძვირფასი ჯილდოებით, მათ შორის სოლიდური ფულადი პრემიით წახალისება.

საქართველოს ნარდის სამყაროში ღირსახსოვარი მოვლენა დაფიქსირდება ამ დღეებში. პირველად ჩატარდება ნარდის დიდი ქომაგისა და ქველმოქმედის, ცნობილი ჟურნალისტის, გოგი ბუკიას მემორიალური ღია საერთაშორისო ტურნირი. უკვე ცნობილია, რომ ტურნირი ტრადიციული გახდება და ახალ სტიმულს მისცემს სპორტული ნარდის შემდგომ ალმავლობას საქართველოში.



უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სპორტულ ნარდს საქართველოში თავისი ელიტა ჰყავს. ეს სპორტის ნებისმიერი სახეობის, გნებავთ, ხალხური თამაშების ავტორიტეტსა და პრესტიჟს ამაღლებს. თანაც ნარდი ისეთი თამაშია, ნებისმიერი ასაკისა და პროფესიის ადამიანებისთვის რომაა ხელმისაწვდომი. გატაცებით თამაშობენ ქალებიც. გვესაუბრება საქართველოს ნარდის აოსციაციის პრეზიდენტი თემურ ქურციკიძე, რომელიც გ. ბუკიას საერთაშორისო მემორიალის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე რედაქციაში გვესტუმრა.

## არის ელიტა? ესე იგი ელიტარულია...

**- ბატონო თემურ, თუ გიფიქრიათ, რომ ნარდის თამაშს ჩვენში ამდენი მიმდევარი გამოუჩნდებოდა?**

- გასაკვირი არაფერია. საქართველოში ეს თამაში ყოველთვის პოპულარული იყო. ორგანიზებულმა ღონისძიებებმა, საერთო კოორდინაციამ კიდევ უფრო მეტ და მეტ ადამიანში გაალვივა მისწრაფება. ფაქტობრივად, ნარდის თამაში შეიძლება ყველგან, არც ბაზები საჭირო, არც ძვირადღირებული ინვენტარი, ტრავმები კი, საერთოდ, გამორიცხულია, გამორიცხულია აგრეთვე მიკერძოება მსაჯობაში და ა.შ.

**- "თამაში შეიძლება ყველგან", თქვით და იქვე გაგვახსენდა ტურნირი, რომელიც ადრე სასჯელაღსრულების ერთ-ერთ დაწესებულებაში ჩაატარეთ. როგორი იყო მონაწილეთა რეაქცია?**

- ნარდს ხომ თითქმის ყველა თამაშობს. აქედან გამომდინარე, თქვენ მიერ ხსენებულმა ტურნირმაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მაშინ არ მითქვამს ჟურნალისტებისთვის და ახლა გავამხელ: ტურნირის დამთავრების შემდეგ ნარდის 16 კომპლექტიდან 5 დაგვაკლდა, უბრალოდ გაქრა.

**- ეს როგორ?**

- აი, ასე. მოვიკითხეთ და პატიმრებმა გვიპასუხებს - ძებნით ტყუილად ნუ შეწუხდებით. იმ 5 კომპლექტის დამბრუნებელი არავინაა, სამახსოვროდ დაგვიტოვეთო. დავუტოვეთ. რას ვიზამდით, ან სხვა რა გზა გვქონდა, ჩხრეკის ჩატარებას ხომ არ მოვითხოვდით. მთავარია, ის ხალხი ძალიან კმაყოფილი დაგვრჩა და იმ "შეწირილი" ნარდით, ალბათ, შემდეგაც გარკვეულწილად იმსუბუქებდნენ სასჯელს პატიმრები.

**- საქართველოს ჩემპიონატებს სისტემატურად ატარებთ, თანაც წელიწადში ორჯერ - ზამთრისას და ზაფხულისას, არის სხვა ტურნირე-**



ომარ დვალი

**ბიც. საზოგადოებრივი ორგანიზაცია როგორ ახერხებს ამდენს?**

- ვახერხებთ. თავიდან უფრო გვიჭირდა. ახლა გრძელვადიანი, ანუ თვეებგადაბმული ტურნირიც რომ ჩავატაროთ, მონაწილეები არ დაგვაკლდება. პირიქით, დიდი ინტერესით მოელიან ახალ-ახალ შეჯიბრებებს. აი, ამჟამად კუს ტბის პირველობა მიმდინარეობს. ასპარეზობას გოგი ბუკიას მემორიალის პარალელურადაც გავაგრძელებთ, გამარჯვებულებსა და პრიზიორებს კი მემორიალის დახურვის დღეს დავაჯილდოვებთ.

გაგრძელება მომდევნო გვერდზე

## მემორიალი გოგი ბუკიას სახელობისაა



გოგი ბუკია

გოგი ბუკია დაიბადა 1954 წელს, ხობის რაიონში. წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

წლების განმავლობაში მუშაობდა გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" საქინფორმისა და საქართველოს ტელევიზიის საკუთარ კორესპონდენტად სამეგრელოს რეგიონში. იყო ხობის რაიონული გაზეთის რედაქტორი.

გოგი ბუკიას სტატიები, წერილები და სიუჟეტები ყოველთვის გამოირჩეოდა პრინციპული მოქალაქეობრივი პოზიციითა და ღრმა ანალიზით, რასაც ხელს უწყობდა მისი ფართო ერუდიცია და მაღალი ინტელექტი. ამასთან, თავის ნიჭსა და შესაძლებლობებს იგი უშურველად ახმარდა კეთილშობილურ და ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეებს. იყო ხობის საერთაშორისო ფესტივალის - "სიმღერა სამეგრელოზე" - აქტიური მხარდამჭერი და ერთ-ერთი ორგანიზატორი.

გოგი იყო თავისი ერისა და მშობლიური კუთხის, განსაკუთრებული თვისებების მატარებელი, შთამბეჭდავი, კოლორიტული პიროვნება, რომლის ფაქიზი სულიც ყველაზე კარგად პოეზიისადმი ტრფიალში, გამარჯვებისაკენ სწრაფვა კი ნარდით გატაცებაში ვლინდებოდა.

ამ გატაცებამ, მის მშობლიურ მხარეში ნარდს ბევრი მიმდევარი და თაყვანისმცემელი შემატა.

გოგი ბუკია მოულოდნელად გარდაიცვალა 2007 წლის მარტში.

2007 წლის 3 - 5 აგვისტოს
სასტუმრო საქართველოს შენობაში
(მელიქიშვილის გამზირი 12. მეხუთე სართულზე)
ტარდება

**გოგი ბუკიას სახელობის პირველი მემორიალური ღია საერთაშორისო ტურნირი ნარდში**

ორგანიზატორები:

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი "ხობი" და საქართველოს ნარდის ასოციაცია.

ტურნირი გაიმართება ნარდის საერთაშორისო წესების დაცვით, როგორც პროფესიონალებში, ასევე მოყვარულებში.

დამატებითი ფულადი პრემია

**10 000 აშშ. დოლარი**

მონაწილეთა რეგისტრაცია 3 აგვისტოს.

დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება
ტელ: 45 11 66; 899 25 63 56
38 08 91; 29 10 74
E-mail: fondikhobi1@yahoo.com www.khobi.org



ნარდის ნონად ნოდებული - ნანა ხაზიური (მარცხნივ)

## მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოდის...

ნოდარ გაგუა მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენია, მაგრამ მჭიდრო კავშირი აქვს სამშობლოსთან და მხარში უდგას ქველმოქმედებით.

ბატონი ნოდარი ნარდთან გამიჯნურებული ყოფილა და, აბა ისე როგორ იქნება, მრავალი საერთაშორისო ტურნირის მონაწილე, გოგი ბუკიას მემორიალზე არ ჩამოვიდეს, მით უმეტეს, ამ ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორი და კომისარია. მისგანვე შევიტყვეთ, რომ თბილისში ზემოხსენებულ ტურნირში რუსეთის ნაკრებიც იასპარეზებს.



ნოდარ გაგუა



# სპორტული ნარდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არის ელიტა? ესე იგი ელიტარულია...

*წინა გვერდიდან*

**- დიდი ხანი არაა, რაც მონტე-კარლოში დასრულდა მსოფლიო პირველობა...**

- სიამაყით-შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა გუნდმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა 64 ქვეყნის რჩეულ მონარდეთა შორის. ფინალი ჩვენებმა დანიელებთან დათმეს 1:2.

**- ჩვენი ნაკრების შემადგენლობას ხომ არ გაგვაცნობდით?**

- დიდი სიამოვნებით. ესენია: კახა ნაჭყებია, აკაკი კიკალეიშვილი, ბადრი ცერცვაძე და ნოდარ მელია. დავძენ, რომ ნაჭყებია 2001 წლის მსოფლიო პირველობაზეც მეორე იყო. ასე რომ, იგი მსოფლიოს გუნდური პირველობის ორგზის ვერცხლის პრიზიორია.

**- სამიოდე დღეა, რაც საქართველოს ჩემპიონატი დამთავრდა. გავაცნოთ მკითხველებს ჩემპიონი და პრიზიორები.**

- სპორტულ ნარდში გაიმარჯვა საქართველოს შვიდგზის ჩემპიონმა გრძელ ნარდში ომარ დვალმა. სხვათა შორის, ფინალი მომიგო. მესამე ადგილზე გავიდნენ კიმი თაბუკაშვილი და ანზორ გუჯაბიძე (ყველა - თბილისი). მოკლე ნარდში პირველი იყო ლანჩხუთელი ელგუჯა კალანდარიშვილი, მეორე - ანზორ გუჯაბიძე, მესამე - კიმი თაბუკაშვილი და მიშიკო ნიკოლაიშვილი (სამივე - თბილისი). გამარჯვებულებს გადაეცათ ოქროს კამათლები.

**- საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეებს ვინ აფინანსებს?**

- მეტწილად უცხოეთში ყველა საკუთარი ხარჯებით მიემგზავრება. საქართველოში გამართულ ასპარეზობებში, მათ შორის გოგი ბუკიას ტურნირზე ორგანიზაციებს და სპონსორებსაც შეუძლიათ საშეჯიბროდ მოავლინონ მონარდეები, გაიღონ მათთვის მონაწილეობის ხარჯები.

**- ქალ მონარდეებზე რას იტყვით?**

- ისინი საკმაოდ არიან და წარმატებითაც მონაწილეობენ სხვადასხვა დონისა და რანგის შეჯიბრებებში. განსაკუთრებით გამოვყოფ მრავალგზის გამარჯვებულსა და პრიზიორს, თბილისელ ქალბატონ ნანა ხაზიურს, რომელიც ჩვენმა სამყარომ "ნარდის ნონად" აღიარა. ამაზე მეტი დაფასება რა იქნება.

**- გოგი ბუკიას მემორიალურ ტურნირთან დაკავშირებით რას იტყვით?**

- ამ ტურნირის ჩატარების იდეა, უდროოდ დაღუპული თავისი ძმის ხსოვნის უკვდავსაყოფად გაუჩნდა საქართველოს პარლამენტის წევრს, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ "ხობის" ხელმძღვანელს, ბრწყინვალე პიროვნებას გოდერძი ბუკიას. ფაქტობრივად, იგია ამ ტურნირის ორგანიზატორიც ჩვენ ასოციაციასთან ერთად. დამატებითი ფულადი ჯილდოც მან გამოყო. მისი ფონდია მთავარი სპონსორიც. ტურნირი ამიერიდან ტრადიციული გახდება - ჩატარდება ყოველწლიურად. რაც მთავარია, შესულია საერთაშორისო კალენდარში.

**- რამდენ მონაწილეს მოელით გოგი ბუკიას პირველ საერთაშორისო ტურნირზე?**

- ველით 80-მდე მონაწილეს 5-6 ქვეყნიდან.

**- რა წესებით ჩატარდება ტურნირი?**

- ქართულ მოკლე ნარდთან შედარებით შეჯიბრება ჩატარდება საერთაშორისო წესებით. გაგორებული კამათლის აღებამდე, მოთამაშეს უფლება აქვს, თუ სურს, მანამდე ნათამაშები სვლები შეცვალოს. დასაშვებია აგრეთვე ქვის "მოკვლა" და "გამოსვლა". მონაწილეები ყველა დეტალს ადგილზე გაეცნობიან შეჯიბრების წინ, ან მანამდე.

ესაუბრა
**თენგიზ თომაშვილი**



თამაშობენ კოტე გაბაშვილი (მარცხნივ) და ნუგზარ ჯულელი



ელგუჯა კალანდარიშვილი (მარცხნივ)

## ნარდი, ჩვენი სიყვარული...

### დაისვენეთ და გაიხარეთ ნარდით...

ნარდი ქართული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია! იფიქრე და სცადე ბედი ერთდროულად! თუ შენ ვერ იგებ, მხარი დაუჭირე მოგებულ შენიანს! ნარდი გაჩაღდა საქართველოში, დიდი ნარდი! დავისვენოთ და გავიხაროთ ნარდით.

**კოტე გაბაშვილი,**
საქართველოს პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე

### ჩვენი ტრადიციული თამაში

ოდითგან ქართველი ამბობს: "რა ქნას კარგმა მონარდემა, დროზე შაში თუ არ მოვა". შაში რომ მოგივიდეს, უნდა ითამაშო. კარგი თამაში ქართულ ნარდში, გნებათ ევროპულში, ნიშნავს, როცა კამათელი არ მოგდის, ივაჟკაცო და მოიგო. ნარდი ქართული ტრადიციული თამაშია და ამიტომაც დასაფასებელია პიროვნება, რომელიც მისი განვითარებისთვის ილვწის.

**ნუგზარ ჯულელი,**
ნარდის ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

### ახალი ტურნირი დიდი მონაპოვარია

უზომოდ მიხარია, რომ ნარდმა ჩვენში არა მხოლოდ საყოველთაო აღიარება მოიპოვა, არამედ ელიტარული გახდა და საერთო ყურადღების ცენტრში მოექცა.

შესანიშნავი პიროვნებისა და ქველმოქმედის, პარლამენტარ გოდერძი ბუკიას თანადგომით ახალი საერთაშორისო ტურნირის დამკვიდრებამ, რომელიც გოდერძის ძმის, უდროოდ დაღუპულ გოგი ბუკიას სახელობისაა, ახალი სტიმული მისცა საქართველოში სპორტული ნარდის შემდგომ განვითარებას.

მადლობა ყველას, ვინც ნარდის თამაშს, მის სოციალურ მნიშვნელობას ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში ჯეროვნად აფასებს და მხარში გვიდგას.

**ვახტანგ ცხადაძე,**
ნარდის ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი



ვახტანგ ცხადაძე

### ნარდი ცოცხალი ორგანიზმივითაა...

ნარდი ტრადიციული კავკასიური თამაშია, რომელიც ცოცხალი ორგანიზმივით გრძნობს მონარდის გუნებაგანწყობას, მის შემართებას. როგორც წესი, იგებს ძლიერი მონარდე (უფრო ხშირად უმართლებს ძლიერს). რაც მთავარია, ნარდის თამაში ხელს უწყობს ფსიქოლოგიურ განტვირთვას.

**ირაკლი ფაღავა,**
ექიმი, აკადემიკოსი



ირაკლი ფაღავა



საქართველოს ნარდის ასოციაციის მთავარი შტაბი. მარცხნიდან: პრეზიდენტი თემურ ქურციკიძე, ვიცე-პრეზიდენტები ნუგზარ ჯულელი და ცისანა მჭედლიძე



2001 წელი, მონტე კარლო. მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზირი საქართველოს ნაკრები. მარცხნიდან: კახა ნაჭყებია, არჩილ ოდიშარია, აკაკი კიკალეიშვილი, გოჩა მაღალდაძე და ლაშა კიკვაძე

**გოგი ბუკიას პირველ მემორიალურ ტურნირზე ველით მონაწილეებს.**

**გისურვებთ წარმატებას!**




**გოგი ბუკიას მემორიალური, ტრადიციული, ყოველწლიური საერთაშორისო ტურნირი დააინტერესებს, სტიმულს მისცემს და მიიზიდავს საზღვარგარეთელ ბიზნესმენებსა და ნარდის თამაშის ცნობილ ოსტატებს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩოგბურთი** TBILISI CITY HALL CUP

# ჭანტურიას ტრილერი



გიორგი ჭანტურია

ილან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსში გუშინ ძირითადი ბადის მატჩები გაიმართა. ჩვენს მთავარ იმედს, **ლადო ჩიხლაძეს** არ უთამაშია - იგი კორტზე დღეს გავა, სხვათა შორის, დღეს ითამაშებენ რეიტინგფავორიტებიც - ხორვატი **ივან სეროვიჩი**, რუსი **მიხაილ ელგინი** და ფრანგი **კლემან მორელი**.

ქართველებს საგულშემატკივრო პირველ დღეს საკმაოდ გვყავდა - ოთხი ჩვენებური თამაშობდა, აქედან ორი - **გიორგი ხრიკაძე** და **ნიკოლოზ ქურდაძე** ერთმანეთთან. ქართულ დერბიში მოულოდნელად იოლად გაიმარჯვა ხრიკაძემ - 6:2, 6:1 და სეროვიჩისა და რუს **ალექსეი ფელნიკოვს** შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება მეორე წრეში.

სამწუხაროდ, დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მოწინააღმდეგეს **რეზო ოსაძემ** - მეხუთე ნომრად განთესილ უკრაინელ **ვლადისლავ ბონდარენკოსთან** 2:6, 2:6 დამარცხდა.

ყველაზე საინტერესოდ **გიორგი ჭანტურიასა** და ებრაელი **გაი კუბის** ორთაბრძოლა წარიმართა. შეხვედრა ნამდვილ ტრილერს დაემსგავსა - სამი სეტი გახდა საჭირო გამარჯვებულის გამოსავლენად და სამივე სეტი თავისებურებებით გამოირჩა: პირველში ქართველმა ისე იოლად მოიგო, რომ ებრაელი თუ რამეს მოიმოქმედებდა, ნამდვილად არ გვეგონა - ქართველმა "მშრალად" - 6:0 გაიმარჯვა. თუმცა დაიწყო მეორე სეტი და, კუბი თითქოს გამოცვალესო, ალარაფერს თმობდა, - სეტის ბედი ტაი-ბრეიკზე გახდა გადასაწყვეტი და ჭანტურიას დიდი მონდომების მიუხედავად კუბიმ მაინც იმარჯვა - 7:6.

მესამე სეტიც მეორის ანალოგიურად წარიმართა, - გადამწყვეტ უპირატესობას ვერცერთი დაეუფლა და კვლავ ტაი-ბრეიკის გათამაშება გახდა საჭირო. ამჯერად, საბედნიეროდ, გიორგიმ იმარჯვა და თუმც კი გაუჭირდა, მაგრამ მაინც აჯობა მეტოქეს და 8:6 მოიგო; საერთო ანგარიში კი 2:1 გახდა და მეორე წრეში გააღწია. მერვედფინალში გიორგის ალბათ მრისხანე მეტოქესთან მოუწევს დაპირისპირება - ფრანგი კლემანია მისი სავარაუდო მეტოქე, რომელიც დღეს კვალიფიკაციაგავლილ სომეხ **ჰოვანეს დავთიანს** ხვდება. ფრანგი აშკარა ფავორიტია და ამადაც გვჯერა, რომ ჭანტურიამ მასზე უნდა გააკეთოს სწორება...

ლადო ჩიხლაძის თამაშის ხილვა გულშემატკივრებს დღეს ცენტრალურ კორტზე შეეძლებათ. მისი მეტოქე ქართველი **ჯერალდ ოგანეზოვია**. ისინი კორტზე ივან სეროვიჩის და ალექსეი ფელნიკოვის შეხვედრის დასრულების შემდეგ გავლენ. სლავები ერთმანეთს 10 საათზე დაუპირისპირდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული დერბი დაახლოებით 12 საათზე დაიწყება.

**ზვიად შათირიშვილი**

# ჩახნაშვილი ასეულთან

WTA-ს ახალ რეიტინგ-ლისტში საქართველოს პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** კარიერის საუკეთესო შედეგი აჩვენა - 24 წლის ქართველი მსოფლიოს 134-ე ჩოგანია (ორი საფეხურით მაღლაა, ვიდრე გასულ კვირას). მაკას 244 ქულა აქვს მოპოვებული, წლის რბოლაში ის 182-ე ადგილზეა, წყვილების რეიტინგში კი - 156-ეზე. ჩახნაშვილს პროფესიულ კარიერაში 120 ათასი დოლარი აქვს მიღებული. ასეულში მოსახვედრად ქართველმა ჩოგბურთელმა ქულათა მარაგი დაახლოებით 80 ქულით უნდა გაიმდიდროს. ლუქსემბურგში პეტანჟის ტურნირში (75 ათასი დოლარი) მაკა ჩახნაშვილმა მერვედფინალში წააგო **ბარბარა ზაჰლალოვასთან**. ქართველი ახლა იტალიურ რიმინიში იმყოფება, სადაც 75-ათასიანი საპრიზო ფონდის საერთაშორისო ტურნირი დაიწყო. მაკას პირველი მეტოქე 30 წლის ტუნისელი **სელიმა სფარია** (178).

წინ მიიწევს 17 წლის **ანა ტატიშვილიც**. ანამ ორი საფეხურით ზემოთ გადაინაცვლა და ის 85 ქულით მსოფლიოს 289-ე ჩოგანია. მარტში ტატიშვილი 267-ე ჩოგანი იყო, რაც მისი საუკეთესო შედეგია. წლის რბოლაში ანა 175-ე პოზიციაზეა, მისმა საპრიზო მონაგარმა კი 50 ათას დოლარს მიაღწია. ანა სან დიეგოში "აკურა კლასიკში" (საპრიზო ფონდი მილიონ 340 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში ჩაერთო და პირველ წრეში ამერიკელ **ლილია ოსტერლოსთან** (106) ორ სეტში დამარცხდა - 3:6, 5:7.

სხვა ქართველები მსოფლიო კლასიფიკაციაში: 566 (+1) **სალომე დევიძე** - 25 ქ, 608 (+1) **სოფიო შაფათავა** - 22, 681 (-28) **სოფიო მელიქიშვილი** - 16, 725 (+4) **მანანა შაფაქიძე** - 14, 768 (+2) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 12,5, 781 (+5) **ეკა გორგოძე** - 12, 948 (+11) **სოფიო ქვაცაბაია** - 7, 1042 (+10) **თინათინ ყავლაშვილი** - 5, 1064 (+12) **სალომე ჩაჩხუნაშვილი** - 4, 1237 (+12) **მარიამ ქურდაძე** - 3 და 1259 (+10) **თეონა ცერცვაძე** - 2,5.

ვაჟთა შორის **ლადო ჩიხლაძეს** ერევნის ტურნირის მეოთხედფინალში გასვლისთვის მიღებული 3 ქულა დაერიცხა. ქართველს 43 ქულა დაუგროვდა, მან რეიტინგში წინ 17 საფეხურით წაიწია და ახლა მსოფლიოს 537-ე ჩოგანია. როდესაც ლადოს თბილისის "კოკა კოლას თასის" მოგებისთვის კუთვნილი 12 ქულა დაერიცხება, ის მსოფლიო კლასიფიკაციაში მნიშვნელოვნად დაწინაურდება. **ირაკლი ლაბაძე** 812-ე ჩოგანია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**





მაკა ჩახნაშვილი

**თავისუფალი ჭიდაობა** ინტერვიუ ოთარ თუშიშვილთან

# ბრინჯაო, ვერცხლი, ახლა ოქროს დროა



**თავისუფალი** სტილით მოჭიდავე ოთარ თუშიშვილი 1999 წლიდან საქართველოს ნაკრების წევრია. ოთარს ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ნაკრებში ჰქონდა წარმატებები და 1996 წელს მსოფლიო ჩემპიონიც იყო. გორელი ფალავანი უფროსებში ამ ტიტულამდე ჯერ არ მისულა, მაგრამ უკანასკნელი ორ მსოფლიო ჩემპიონატზე ჯერ ბრინჯაო, შემდეგ ვერცხლი მოიგო. ოთარს წელს ოქროს მოპოვების იმედიც აქვს. გასული წლის შემოდგომით დაწყებული შესვენება ოთარს ზამთარში მიღებულმა ტრავმამ გაუგრძელა, თუმცა დღეს ყველაფერი რიგზეა - თუშიშვილი ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირზე გამარჯვებით დაბრუნდა.

- საერთოდ, ყველა ტურნირისთვის დიდი მონდომებით ვემზადები. ბუნებრივია, შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატისთვის კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვიმუშავე და გადამღლელი შეჯიბრების შემდეგ, გადავწყვიტე, კარგად დამესვენა, თუმცა ისეთი ხანგრძლივი პაუზა, როგორიც გამომივიდა, არ დამიგეგმავს. შესვენების შემდეგ ვარჯიში ჩვეულებრივ განვაახლე. მართალია, წონა არ დამიკლია, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატზე მაინც ვიჭიდავე, ოღონდ 73 კგ-ში. სპორტული ფორმიდან გამომდინარე, იქ გამარჯვებისთვის არ ვიბრძოდი. ფორმის აღსადგენად ბორჯომის შეკრებაზე გავემგზავრე და იქ გარეთა იოგი გამიწყდა. ამან გეგმები გვარიანად ამირია. საბედნიეროდ, ოპერაცია არ დამჭირდა. ახლა სრული დატვირთვით ვვარჯიშობ.

**- შარშან, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალამდე მიხვედით, რასაც დასანანი მარცხი მოჰყვა...**

- გუანჯოუში საფინალო შერკინება მართლაც დრამატული გამოდგა. პირველი პერიოდი მოვუგე ამერიკელ ბილ ზადეკს, მეორეში გაფრთხილებით წავაგე, გადამწყვეტ მესამე პერიოდში კი... მონეტა მეტოქეს დაუჯდა და...

**- ფინალის შემდეგ სეკუნდანტების სიმრავლესა და ყოველი მხრიდან შეძახილებისგან უარყოფით ზემოქმედებაზეც საუბრობდით...**

- რასაკვირველია, წარუმატებლობას ამას ვერ დავაბრალებ. უბრალოდ, ვის სასარგებლოდაც ჯდება მონეტა, ის რეალურად სერიოზულ უპირატესობას იღებს. ამიტომაც დავიძაბე ზადეკთან ბრძოლის დროს და ყურადღება გადავიტანე სეკუნდანტების შეძახილებზე, რომლებიც, რატომღაც, ძალიან ბევრნი იყვნენ და როცა სხვადასხვა მხრიდან ყველა სხვადასხვა რამეს გეუბნება, ვეღარაფერს იგებ, უფრო იბნევი...

**- არადა, ამ ტურნირზე დიდი ჟინით მიიწევდით გამარჯვებისკენ. თუნდაც, სომეხ ფალავან ოგანესიანთან 0:5 წაგებული პირველი პერიოდის შემოტრიალება რად ღირს...**

- გეთანხმებით, არც ბრძოლის ჟინი მაკლდა და არც საკუთარი თავის რწმენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი შედეგის შემობრუნება შეუძლებელი იქნებოდა... სხვათა შორის, იმ პაექრობისას სეკუნდანტი მხოლოდ ორი იყო - ნაკრებისა და ჩემი პირადი მწვრთნელი. არც მათგან მიგრძვნია დაძაბულობა და არც მე დავეჭვებულვარ, რომ უნდა მომეგო. პრაქტიკულად, ყველას გვჯეროდა, რომ ამ პაექრობაში უთუოდ გავიმარჯვებდი და ასეც მოხდა.

**- ჩინეთში, მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული ვერცხლის მედალი თქვენის კარიერის საუკეთესო შედეგი იყო. როგორ ფიქრობთ, მოახერხებთ წელს მის გაუმჯობესებას?**

- შარშანწინ ბრინჯაო მოვიპოვე, შარშან ვერცხლი, ახლა ოქროსაც უნდა შევწვდე. საამისოდ, თავდაუზოგავად ვემზადები და თუ ღვთის წყალობით ყველაფერი კარგად იქნა, ნამდვილად მაქვს ჩემპიონობის იმედი. მაგრამ მთავარია, ტრავმები ავიცილო. დავიტანჯე მთელი კარიერის განმავლობაში, არადა, როცა მოსამზადებელ ეტაპზე ნაყოფიერად ვმუშაობ, საკუთარ შესაძლებლობებში ვრწუნდები. ასეა ახლაც, იმედიანად ვარ და ვნახოთ...

**- ვის მიიჩნევთ უშუალო კონკურენტად? იმავე ზედიკს, უკრაინელ სტადნიკს, ბულგარელ ბარზაკოვს, თუ ვინმე სხვას?**

- ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე განსაკუთრებით გამორჩეულია და სხვებთან შედარებით, ბევრით წინაა. ადვილი შესაძლებელია, მათ ნაცვლად სულ სხვა დააყენონ მწვრთნელებმა. იქ კონკურენცია ძალიან დიდია.

**- რის ბრალია, რომ მსოფლიო ჩემპიონატებისგან განსხვავებით, ოლიმპიადებზე წარმატება არ გქონიათ?**

- სამწუხაროდ, ისე ხდება ხოლმე, რომ ოლიმპიადებს ცუდ ფორმაში ვხვდები, თორემ მსოფლიო ჩემპიონატი არც წარმომადგენლობით ჩამოუვარდება მას და არც დაძაბულობით. მით უფრო, სისულელე იქნებოდა მოტივაციის ნაკლებობაზე საუბარიც. აქედან გამომდინარე, სხვა მიზეზს ვერ დავაბრალებ. უნდა აღვნიშნო, რომ როცა ოლიმპიადა მთავრდება, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რაღაც ძალიან დიდი დასრულდა - ოთხწლიანი ციკლი, რომლითაც ცხოვრობდი და იწყება ხელახალი მზადება მორიგი ოლიმპიური თამაშებისათვის. მისი მოგება ნებისმიერი სპორტსმენის სანუკვარი ოცნებაა! ოლიმპიურ მედალს განსაკუთრებული ხიბლი აქვს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, კახეთში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს გია ნაცვლიშვილს

მამის გარდაცვალების გამო

პანაშვიდი 1 აგვისტოს 17 სთ. გამოსვენება 2 აგვისტოს 15 სთ.
მისამართი: საგარეჯო, მამისაშვილის ქ. 9



## კახაბერ ზარნაძის გამოსათხოვარი

გარდაიცვალა ქართული საბრძოლო ხელოვნების კვლევისა და აღორძინების მესვეური კახაბერ ზარნაძე.

მკვლევარის იშვიათი ალღოთი დაჯილდოებულმა სრულიად ახალგაზრდა კაცმა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, არც თუ უხიფათო პირობებში, დაიწყო ამ დროისათვის შემორჩენილი ცოდნის მოკრება.

ეძებდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ეძებდა ხანდაზმულთა მეხსიერებაში და ეთნოლოგიურ მასალაში.

და არ არსებობდა მისთვის ამ გზაზე დაბრკოლება – არც უსახსრობა, არც მუქარა, არც ქილიკი, არც გულგრილობა...

შედეგად კი პრაქტიკულად შეუძლებელი შეძლო - ურთულეს პირობებში მოიძია, შეისწავლა და მოწაფეებს გადასცა საბაზო ცოდნა ქართული ჭიდაობის, კრივის, იარაღით რკინების არაერთი სახეობის შესახებ.

საოცარი თავმდაბლობით გამორჩეულს არასდროს უზრუნია საკუთარი თავის წარმოჩენაზე. მის მიერ დაფუძნებული „ხრიდოლის" ფედერაციის პრეზიდენტიც კი არასდროს ყოფილა.

ინტერვიუზეც მხოლოდ მაშინ თანხმდებოდა, თუ მეგობრები დაარწმუნებდნენ, რომ საქმისთვის იყო სასარგებლო.

ხუთიოდე წლის წინათ კი იარაღის ჭედვის აღორძინებას მიჰყო ხელი და საოცარ შედეგებსაც მიაღწია. რამდენიმე გამოფენის მოწყობაც მოასწრო და აქაც ცდილობდა პირველ პლანზე მოწაფეები წამოეწია. გამოფენის ყველა სტუმარს პირველყოვლის სწორედ მათი ნამუშევრებისკენ მიუძღვებოდა და ამაყად მოუთხრობდა ახალგაზრდების წარმატების შესახებ.

ისეთი ენთუზიაზმით დამუხტა მან თანამოაზრენი, რომ წლების განმავლობაში, გათოშილი დარბაზის შიშველ იატაკზე, სანთლის შუქზე, განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ექსპედიციებში მოპოვებული მასალის სისტემატიზაცია, თავიდან იბადებოდა დასავიწყებლად განწირული ილეთები და სახეობები, რომელთა შექმნასა და დახვეწას საუკუნეები მოანდომა ჩვენმა წინაპარმა.

თუ კი რაიმე დიდ საქმეს შეიძლება ეწოდოს ერთი კაცის სახელი, ესაა სწორედ ამ საოცარი პიროვნების მიერ გაწეული უანგარო ღვაწლი, რამაც ჩვენს მომავალს შემოუნახა მართლაც საამაყო, უნიკალური ცოდნა, ისეთივე უნიკალური, როგორიცა ქართული სიმღერა თუ ცეკვა, ხუროთმოძღვრება თუ ანბანი.

და ვინ იცის, კიდევ რამდენ ქართულ საქმეს დააკლდა მისი ნათელი გონება და დაუღალავი მარჯვენა.

დიდი გული ჰქონდა კახას, ყველას გვამყოფინა და, თურმე, თავისთვის ნამცეციც არ დაიტოვა...

სულ ორმოცდაერთი წელი იცოცხლა მან. ჩვენ დავკარგეთ თავდადებული მეგობარი და მასწავლებელი, ხოლო საქართველომ ერთგული, მის სიყვარულში დაფერფლილი შვილი, რომლის დანატოვარის ჯეროვნად შეფასებასაც, როგორც ჩანს, მხოლოდ ჩვენი თაობა ვერ გასწვდება.

ეს არის დავიწყებას გამოგლეჯილი ქართული საბრძოლო ხელოვნება, ერთ-ერთი უდიდესი საგანძური ჩვენი ერის და მსოფლიო კულტურისა.

მეგობრების ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## ჭადრაკი



# რუსებს თეთრი ეტლი ავართვით!

საბჭოთა კავშირის დროს უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ყოველწლიური საჭადრაკო ტურნირი, რომელსაც "თეთრი ეტლი" ("ბელაია ლადია") ეწოდებოდა. ეს ანალოგი იყო საფეხბურთო "ტყავის ბურთის" გათამაშების, სადაც მთელი ქვეყნის საუკეთესო გუნდები და სპორტსმენები მონაწილეობდნენ. უამრავი დიდი სახელი გამოჩენილა პირველად მსგავს შეჯიბრებებშიც და ამიტომაც აქცევდნენ გამორჩეულ ყურადღებას. ჭადრაკშიც ასე იყო: მსოფლიოში შემდეგ სახელდაგდებულ მოჭადრაკეთა მთელი კოჰორტის მოხმობა შეიძლება, ვინც ის სკოლა გამოიარა; ცხადია, მათ შორის ქართველებიც იყვნენ და როგორც ქართულ საჭადრაკო სკოლას შეეფერებოდა, ასეთივე წარმატებით მოივლიდნენ ხოლმე ტურნირს. მიუხედავად ამისა, ჩემპიონები არასდროს გამხდარან ქართველები - საპრიზო ადგილებზე კი ხშირად დაუსრულებიათ ასპარეზობა.

რაც საბჭოეთი დაიშალა, "თეთრმა ეტლმაც" დაკარგა ძველებური ხიბლი, თუმცა რუსები თავიანთი ქვეყნის ფარგლებში კი ატარებდნენ; ბოლო ხუთი წელიწადია კი, ესეც შეწყვიტეს. რუსული საჭადრაკო სკოლა უძლიერესი კი არის, მაგრამ ბოლო ათწლეულია აშკარად დათმო პოზიციები და ისინი ველარც მსოფლიო ჩემპიონატებს იგებენ გუნდურში და ველარც ოლიმპიადებს; ინდივიდუალურში **ვლადიმერ კრამნიკი** კი ატარებს მსოფლიო ჩემპიონის წოდებას, მაგრამ ტიტული მან მოსკოვში ფრიად საეჭვო გარემოებებში მოიპოვა, ყოველ შემთხვევაში, დღემდე არ წყდება საუბრები ტოპალოვი-კრამნიკის მატჩის ირგვლივ...

პოზიციების დათმობა ვერ იგუეს რუსებმა და როგორც ჩანს, აღორძინებას ბავშვთა დონიდან იწყებენ და ამ გზაზე ძველი და სასიამოვნო ტრადიციის აღდგენაც მოუფიქრებიათ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ "თეთრი ეტლი" ახლა საერთაშორისო ტურნირია, რაც უდავოდ იქცევს ყურადღებას. ორგანიზატორებმა რამდენიმე ქვეყნის ფედერაციას მიმართეს და მოსკოვში დაპატიჟეს; გაგიკვირდებათ და ქართველებსაც კი გამოუგზავნეს მოწვევა, სადაც მათი მოუთმენელი მოლოდინი გამოსჭვიოდა. ასეთი მიწვევის უყურადღებოდ დატოვება არ იქნებოდა და ქართველებმა გუნდიც შეკრეს, სპონსორიც მოიძიეს და რუსეთის დედაქალაქსაც ეწვივნენ. სტუმრობა მასპინძელთა ძლევით და ქართველთა ტრიუმფით დასრულდა - გრიგოლ ხანძთელის სახელობის საჯარო სკოლის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში (დაფების მიხედვით) **გიორგი ნიკოლაშვილი, ზურაბ ჯავახაძე, ირაკლი ბერაძე და ნინო ანაკიძე** იყვნენ, ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა.

გუნდსა და საერთოდ დელეგაციასაც ფედერაციის გენერალური მდივანი **მიხეილ კეკელიძე** ხელმძღვანელობდა. ბატონი მიხეილი "ლელოს" ტურნირზე ვრცლად ესაუბრა.

- რუსებმა გამოგვიგზავნეს თუ არა მოწვევა, სპონსორის ძიება და გუნდის შეკრება უმალ დავიწყეთ. სამწუხაროდ, ფედერაციას არ გააჩნია თავისუფალი თანხა, რათა ასეთი ტურნირები დააფინანსოს. საბედნიეროდ გულშემატკივარი გამოგვიჩნდა და მოსკოვში გამგზავრება შევძელით. ჩვენი მხარდამჭერის სურვილი სადაზღვევო კომპანია ჯი-პი-აი-მ გამოთქვა, რისთვისაც მის ხელმძღვანელს ირაკლი კვირიკაძეს უდიდეს მადლობას მოვახსენებ. მართალია მასპინძლები სასტუმროთი და კვებით უზრუნველგვყოფდნენ, მაგრამ გზის ხარჯი ჩვენ უნდა გაგვეწია, რაც საკმაოდ ძვირი გამოდგა - ორ ქვეყანას შორის არსებულმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ თავისი ქნა, - იძულებული გავხდით კიევის გავლით ჩავსულიყავით მოსკოვში. მოსკოვის აეროპორტში გვარიანად კი გაგვაწვალეს - გაუგებარი მიზეზით სამი საათი გვაყურყუტეს, მაგრამ მასპინძელთა ჩარევის შემდეგ მოსკოვში შეგვიშვეს. ამ ფაქტმა ჩვენს მოჭადრაკეებზე გამაღიზიანებლად იმოქმედა და გამარჯვების წყურვილით უფრო აენთნენ.

**- რამდენი გუნდი მონაწილეობდა და როგორი ფორმატით ჩატარდა ტურნირი?**

- 10 ქვეყნის 12 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც ორ ჯგუფში თანაბრად გადანაწილდნენ; ნახევარფინალში პირველ ორ ადგილზე გასულნი გადიოდნენ, მხოლოდ ქულები ყოველი პარტიის შედეგის მიხედვით იწერებოდა, ამიტომ დიდი ანგარიშით გამარჯვება პრიორიტეტი იყო; ერთი განსხვავებულიც წესიც მოქმედებდა: ნახევარფინალში ქულები გადაყვებოდა გუნდებს.

ტურნირზე ჩვენი და რუსეთის სამი გუნდის გარდა მონაწილეობდნენ ჩეხეთის, სლოვაკეთის, სერბეთის, უკრაინის, მოლდოვის, ლატვიის, ყაზახეთისა და ბელარუსის გუნდები.

ქვეჯგუფში რუსეთის ორი გუნდი, სლოვაკეთი, სერბეთი და მოლდოვა მოხვდნენ. ყველას მოვუგეთ. ნახევარფინალში ჩეხეთის ძლიერი ნაკრები დავამარცხეთ 3:1 და ბოლოს უკრაინასაც 3,5:0,5 ვძლიეთ. უკრაინასთან 2,5-ით 1,5 მოგებაც გვაწყობდა, მაგრამ ჩვენებურებმა არაფერი დათმეს და ბოლომდე იბრძოლეს.

საოცარია, რომ ქართველმა ბიჭებმა თავიანთ დაფებზე ოქროს მედლები აიღეს: ნიკოლაშვილმა შვიდიდან 6 ქულა მოაგროვა - 5 მოგება და ორი ყაიმი; ჯავახაძემ 6,5 ქულას მოუყარა თავი, საუკეთესო შედეგი კი მესამე დაფაზე მყოფმა ირაკლი ბერაძემ აჩვენა - შვიდიდან შვიდი. ირაკლი საქართველოს 10 და 12 წლამდე ჩემპიონტებს მაქსიმალური შედეგით კი იგებდა, მაგრამ ამ ტურნირზეც თუ 100%-იანი შედეგით ითამაშებდა, ნამდვილად არ გვეგონა. შესანიშნავი მაჩვენებელი ჰქონდა ნინო ანაკიძესაც - 7-დან 6 - მხოლოდ ერთი პარტია წააგო ძლიერ ჩეხ მოჭადრაკესთან. სხვათა შორის, ჩეხეთს უძლიერესი გუნდი ჰყავდა - პირველ დაფაზე ჩეხეთის 20- წლამდელთა ჩემპიონს აჯობა გიორგი ნიკოლაშვილმა; მანვე დაამარცხა რუსეთის 14-წლამდელთა ჩემპიონიც. ქართული გუნდი ასაკითაც ერთ-ერთი ყველაზე პატარა იყო: ირაკლი ბერიძე მხოლოდ 11 წლისაა, დანარჩენები კი - 13-ის.

**- ასეთი ტრიუმფის ფონზე რუსთა განწყობა თქვენდამი უარყოფითისკენ ხომ არ შეიცვალა; როგორ მოგილოცეს?**

- არავითარი ანტაგონიზმი არ გვიგრძვნია, პირიქით, აღნიშნავდნენ, რომ ჩვენ პოლიტიკას არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, სპორტსმენები ვართ და სპორტულ ასპარეზობებში გამოვავლინოთ გამარჯვებულები. გულითადადაც მოგვილოცეს - ღირსეულად და დამსახურებულად გაიმარჯვეთო.

დახურვის ცერემონიალი საკმაოდ თვალსასეირო გამოდგა. ცერემონიალზე რუსეთის სპორტის მინისტრი, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი ვიაჩესლავ ფეტისოვი მობრძანდა, მე კი მის გვერდით, პრეზიდიუმშიც მიმიჩინეს ადგილი.

საერთო ატმოსფერო ძალიან კარგი იყო - კვებაც და საცხოვრებელი პირობებიც შესანიშნავი გახლდათ და მეტად კმაყოფილები დავბრუნდით საქართველოში. თუმცა ყველაზე სასიამოვნო გამარჯვებულად დაბრუნებაა!

**ზვიად შათირიშვილი**

## თარიღი

### ქალბატონებს მზია ჯუღელს, ქეთევან ლოსაბერიძეს!

მოხარული ვართ, რომ კიდევ ერთხელ გვეძლევა შესაძლებლობა მოგილოცოთ დაბადების დღე და გისურვოთ ყოველივე სიკეთე, დიდხანს და დიდხანს ჯანმრთელი სიცოცხლე.

ორივე ქალბატონი პირველი ოლიმპიური ჩემპიონები ბრძანდებით სპორტის სახეობაში, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ. ამასთან, ქალბატონო მზია, თქვენ დაუდეთ სათავე ქართველ ქალთა წარმატებებს ოლიმპიურ სარბიელზე, ესტაფეტა კი თქვენგან პირველმა სწორედ ქეთევან ლოსაბერიძემ მიიღო. ბედნიერია ქვეყანა, სადაც თქვენნაირი ქალბატონები აღიზარდნენ ოლიმპიურ ჩემპიონებად, საქართველო სამართლიანად ამაყობს თქვენით. ამ სიამაყის სულისკვეთებით, მიჰყვება თქვენს გაკვალულ გზას თაობები და ეჭვიც არ არის, რომ ქართველ ქალთა ოლიმპიური წარმატებებით კვლავ იამაყებს დედასაქართველო და ქართველი ხალხი.

კიდევ ერთხელ გილოცავთ!

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი



**მედეა (მზია) ჯუღელი.** დაიბადა 01.08.1926, ქუთაისი. სპორტული ტანვარჯიში. 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ პირველობაში და მეორე პრიზიორი საგნით ჯგუფურ ვარჯიშში. მსოფლიოს სტუდენტური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი (1951 - ბჯენით ხტომებსა და გუნდურ ჩათვლაში; 1954 - ჯგუფურ ვარჯიშსა და გუნდურ პირველობაში), სსრკ რვაგზის ჩემპიონი ბჯენით ხტომებსა (1946, 47, 51-55) და რგოლებზე ვარჯიშში (1953), მეორე პრიზიორი მრავალჭიდში (1952). საქართველოსა (1962-65) და სსრკ ნაკრებების მწვრთნელი (1965-70), საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1991-2005) და საპატიო პრეზიდენტი (2005-იდან). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერი.

**ქეთევან ლოსაბერიძე.** დაიბადა 01.08.1949, ტყიბული. მშვილდოსნობა. 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადის მონაწილე (IV ადგილი), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1973, 81), ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი (1972) და ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1972, 78), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1973, 79) და ხუთგზის მესამე პრიზიორი (1971, 72, 74, 75, 81), სსრკ თასის მფლობელი (1972, 78), სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1979), კიოლნისა (1978) და ლვოვის (1981) საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1980). ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი, საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი (2002-05).





**გიორგი მერკვილაძე.** 01.08.1898, შილდა, ყვარელი - 07.05.1987, თბილისი. ცნობილი ტანმოვარჯიშე და სპორტის მოღვაწე, ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ორგანიზატორი, ბავშვთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ნოვატორი. ვარჯიშობდა გიორგი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით, მუშაობდა მწვრთნელად, აღზარდა არაერთი ცნობილი ტანმოვარჯიშე. იყო აჭარის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე და "შევარდენის" უფროსი, ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს წევრი. მისი თაოსნობით შეიქმნა თსუ-ის ფიზკულტურის ფაკულტეტი (1933), თბილისში გაიხსნა ბავშვთა პირველი სპორტული სკოლა (1934) და სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი (1958), დაინერგა საწარმოო ტანვარჯიში, აშენდა სპორტული ბაზები. 32 წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზაღზრდის ინსპექციის უფროსად და მეთოდკაბინეტის გამგედ, ხელმძღვანელობდა ქართული სპორტული ტერმინოლოგიის დამდგენ მუდმივმოქმედ კომისიას, გამოაქვეყნა 40-მდე სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი. სსრკ სპორტის დამსაურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლის კავალერი.

"ლელოს" რედაქცია დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს ამავე გაზეთის ვეტერან კორესპონდენტს, ცნობილ ჟურნალისტს აფხაზეთიდან დემურ ტორაძეს.

NBA. ტრანსფერი

# გარნეტი ბოსტონში



კევინ გარნეტი

დღეს, "ბოსტონ სელტიქსი" ოფიციალურად გამოაცხადებს, რომ მომავალი სეზონიდან, მის რიგებში ითამაშებს თანამედროვე კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა **კევინ გარნეტი**. ამგვარად, კლუბი აღმოსავლეთის და საერთოდ, ნბა-ს აუტსაიდერთა რიგებიდან, ჩემპიონობისთვის მებრძოლთა რიგებში გადაინაცვლებს.

ბოსტონელთა რიგებში, ერთდროულად სამი სუპერვარსკვლავი - გარნეტი, **პოლ პირსი** და **რეი ალენი** მოიყრის თავს, ეს კი საკმაო ძალაა იმისთვის, რომ გუნდმა მაღალი მიზნები დაისახოს. თუმცა, იმავდროულად, ბოსტონელებს "მინესოტა ტიმბერვულვზისთვის" შვიდი კალათბურთელის მიცემა მოუწევთ.

ბოსტონური კლუბის დატოვება მოუწევთ ფორვარდ **ელ ჯეფერსონს** (ამ ეტაპზე, გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა), მსროლელ **ჯერალდ გრინს**, მცველ **სებასტიან ტელფერსა** და ცენტრ **ტეო რეტლიფს**. მოლაპარაკება ჯერაც არ დასრულებულა დანარჩენი სამი კალათბურთელის თაობაზე. ამასთან, არაა გამორიცხული, რომ ბოსტონელებმა მინესოტელებს მომავალი დრაფტის არჩევის უფლებაც დაუთმონ.

შეგახსენებთ, რომ "ბოსტონ სელტიქსს" ნბა-ს 16 ტიტული აქვს მოპოვებული, რაც სარეკორდო მაჩვენებელია. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ბოლოს გუნდი ჩემპიონი 1986 წელს გახდა. ახლა კი, გარნეტის შეძენით, გუნდს კვლავ უჩნდება ჩემპიონობის იმედი.

31 წლის გარნეტს ნბა-ში 12 სეზონი აქვს გატარებული და ყველა "მინესოტასთან" ერთად. ის გუნდთან კონტრაქტის გაგრძელებას აპირებდა, თუმცა სიტუაცია მოულოდნელად შეიცვალა, რამაც მისი ბევრი თანაგუნდელი სახტად დატოვა.

*"ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ გარნეტი ჩვენს გუნდს დატოვებდა. მაშინაც კი, როცა მე ჯერ ნბა-ში არ ვთამაშობდი, ყოველთვის, როცა გარნეტს ახსენებდნენ, მაშინვე "მინესოტას" წარმოვიდგენდი. თუმცა, მეორეს მხრივ, ნბა დიდი ბიზნესია, დიდ ბიზნესში კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს"*, - ამბობს მინესოტელი **მარკ მადსენი**.

აღსანიშნავია, რომ "სელტიქსმა" პირველად ათგზის ოლსტარელი გარნეტის გადაბირება ერთი თვის წინათ სცადა, მაგრამ მისგან უარი მიიღო. შემდეგ ბოსტონურმა კლუბმა "სიეტლ სუპერსონიქსიდან" შვიდგზის ოლსტარელი, 32 წლის **რეი ალენი** გადაიბირა, რამაც გარნეტთან მოლაპარაკებაც გააადვილა. ამ უკანასკნელის სურვილია, ითამაშოს ისეთ გუნდში, რომელთან ერთადაც, სანუკვარი ტიტულისთვის ბრძოლის საშუალება ექნება. ბოსტონში მისი გადასვლით, "სელტიქსი", რომელმაც წინა რეგულარულში 24 თამაში მოიგო და 58 წააგო, მართლაც ემსგავსება საჩემპიონო გუნდს. არადა, იმ ცხრა სეზონის განმავლობაში, რაც ბოსტონში პირსი თამაშობს, ამ გუნდმა პლეი ოფების მხოლოდ სამი სერიის მოგება შეძლეს. 29 წლის პირსმა გასულ სეზონში, ტრავმის გამო, რეგულარულის მხოლოდ 47 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მაინც გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ალენმა გასული სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა - თამაშში საშუალოდ, თავისი კარიერისთვის სარეკორდო, 26.4 ქულას აგროვებდა. მაგრამ სეზონის შემდეგ, ორივე მუხლზე ოპერაცია გაიკეთა, რომლის დროსაც, ძვლოვანი წანაზარდები მოაშორეს და როგორც ამბობენ, "სელტიქსი" რომ სავარჯიშო ბანაკს გახსნის, ალენიც მაშინვე შეუერთდებაო.

გარნეტი უნივერსალი მოთამაშეა. საჭიროების შემთხვევაში, ის ცენტრალური თავდამსხმელის ფუნქციებსაც ასრულებს და დაცვასაც ხშირად ეხმარება. თუ გუნდს უჭირს, ზუსტი სროლებითაც აგროვებს ქულებს და არც მეტოქის გადაცემების ჩაჭრას თაკილობს. მას მაღალი ნახტომი და სწრაფი დრიბლინგი აქვს. "ტიმბერვულვზმა" ის 1995 წლის დრაფტის დროს, მეხუთე ნომრად აიყვანა. ორი სეზონის შემდეგ კი თავის ახალბედასთან ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც, ამ პერიოდში გარნეტს ხელფასად 126 მილიონი დოლარი დაუდგინა.

თავის მხრივ, გარნეტმა რადიკალურად შეცვალა მინესოტას გუნდი. თუ დრაფტზე მის აყვანამდე, ზედიზედ ოთხი სეზონი გუნდმა 60 ან მეტი წაგებით დაასრულა, გუნდში გარნეტის მისვლიდან მეორე სეზონშივე, "ვულვზი" თავის ისტორიაში პირველად გავიდა ფლეი ოფში. უფრო მეტიც, გუნდმა მომდევნო შვიდ სეზონშიც პლეიოფში ითამაშა.

2004 წელს "ვულვზმა" პიკს მიაღწია. გუნდს ორად-ორი მოგება დააკლდა დიდ ფინალამდე. სამაგიეროდ, გარნეტი, ვისი საშუალო მონაგარი იმ სეზონში 24.2 ქულა და 13.9 მოხსნა იყო, ფლეი ოფის უძვირფასეს მოთამაშედ აღიარეს. თანაც, გარნეტი ლეგენდარული **ლარი ბერდის** შემდეგ სულ მეორე კალათბურთელია, ვინც ზედიზედ ხუთ სეზონში, საშუალოდ თამაშში მინიმუმ 20 ქულას, 10 მოხსნასა და 5 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

მაგრამ "ვულვზისთვის" მწვერვალს დაღმასვლა მოჰყვა. ბოლო სამ სეზონში გუნდი ვერც ფლეი ოფში გასვლას ახერხებს და ამის გამო, მწვრთნელებსაც ხშირად იცვლის. ყველაფრის მიზეზი კი გარნეტის უსაშველოდ მაღალი ანაზღაურებაა, რის გამოც, გუნდის ხელმძღვანელობა სხვა ვარსკვლავების მოწვევას ველარ ახერხებენ. ყოველივეს გამო, გარნეტს "ვულვზის" ვიცე პრეზიდენტ **კევინ მაკჰეილთანაც** დაეძაბა ურთიერთობა.

ჰოდა, ბოსტონში გადასვლა ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება...

ჰოკეი

## უკრაინა მწვრთნელს ეძებს

ცნობილი კანადელი სპეციალისტი **დეივ კინგი** შესაძლოა, უკრაინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნოს. კინგი, ოთხ სხვა კანდიდატთან ერთად მონაწილეობას იღებს კონკურსში, რომელსაც უკრაინის ჰოკეის ფედერაცია ატარებს და რომლის მიზანი, ქვეყნის ნაკრების ახალი დამრიგებლის გამოვლენა გახლავთ.

კანადელის გარდა, უკრაინის ეროვნული გუნდის თავკაცობაზე პრეტენზიას აცხადებენ 47 წლის ფინელი **კარი ჰეიკილია, ვლადიმერ გოლუბოვიჩი, სერგეი ლუბნინი** და **ალექსანდრ კულიკოვი**.

რაც შეეხება ნაკრების წინა ხელმძღვანელობას, **ალექსანდრ სეუკანდი** წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ელიტური დივიზიონიდან გავარდნის შემდეგ გადადგა პოსტიდან.

ჩოგბურთი

## დავენპორტმა თარიღები დააზუსტა

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ლინდსი დავენპორტმა**, შვილის შეძენიდან ორი თვის შემდეგ, დიდ ჩოგბურთში დაბრუნება გადაწყვიტა.

გუშინ, ცნობილი გახდა ამერიკელი ჩოგბურთელის კონკრეტული გეგმები. კერძოდ, დავენპორტი 20 აგვისტოს, Pilot Pen-ის ტურნირში ჩაებმება, სადაც წყვილთა თანრიგში თანამემამულე **ლაიზა რეიმონდთან** ერთად ითამაშებს. რაც შეეხება ერთეულთა თანრიგს, ამერიკელის ხელმეორე დებიუტი სექტემბრის შუა რიცხვებში, Wismilak International-ზეა დაგეგმილი.

## ანენი შტეფი გრაფის წინააღმდეგ

ოქტომბრის ბოლოს, გერმანიის ქალაქ მანჰაიმის მცხოვრებლები მეტად საინტერესო საჩოგბურთო მატჩის მომსწრენი გახდებიან. კორტზე სათამაშოდ გავლენ ამჟამინდელი და ყოფილი პირველი ჩოგნები, ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** და ლეგენდარული გერმანელი **შტეფი გრაფი**.

ეს უკანასკნელი UNICEF-ში შემავალი ორგანიზაციის, Children for tomorrow-ს ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლავთ, რომელიც საქველმოქმედო საქმიანობით არის დაკავებული. გრაფის ქველმოქმედებით მიღებული თანხები ომის დროს დაზარალებული ბავშვების დახმარებისთვის არის განკუთვნილი. ანენისა და გრაფის მატჩიც სწორედ ამ საქველმოქმედო ორგანიზაციის ეგიდით გაიმართება.

ფორმულა 1

## პიკე მანქანის მართვას სწავლობს

ლეგენდარული ბრაზილიელი ავტომრბოლი **ნელსონ პიკე** საგზაო წესების ხშირი დარღვევისთვის მართვის მოწმობის გარეშე დარჩა. იგივე ბედი ეწია ფორმულა 1-ის სამგზის ჩემპიონის მეუღლესაც. ახლა ეს წყვილი მანქანის უსაფრთხო მართვის სკოლაში სპეციალურ კურსებს დაესწრება.

*"ვფიქრობ, საკუთარი შეცდომების გამო, სამართლიანად დავისაჯეთ. საქმე მარტო ის არ არის, რომ ძალიან სწრაფად დავდივარ. ჯარიმის ქვითრებს მიწერდნენ არასწორი პარკირებისა და სხვა უმნიშვნელო დარღვევებისთვის"*, - აცხადებს 54 წლის პიკე.

შეგახსენებთ, რომ ეს ბრაზილიელი 1981, 1983 და 1987 წლებში იყო ფორმულას ჩემპიონი.

## რენოს განვითარებისთვის 50 მილიონი გამოიყო

ამ სეზონში რამდენიმე წარუმატებელი რბოლის შემდეგ, "რენოს" ხელმძღვანელებმა ახალი საინვესტიციო პროგრამის დაწყება გადაწყვიტეს, რომელიც ფორმულა 1-ის გუნდში 50 მილიონი დოლარის დაბანდებას ითვალისწინებს. ამ პროგრამამ ფრანგული კომპანიის მოწონება დაიმსახურა.

*"ეს პროგრამა პირველი ნაბიჯია "რენოს" ახალი გამარჯვებებისკენ"*, - აცხადებს საჯინიბოს შეფი **ფლავიო ბრიატორე**.

კრივი

## ჩემპიონს ესროლეს

მეორე საშუალო წონაში IBF-ის ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი **ანტვუნ ეჰოლსი** კინაღამ ცეცხლსასროლი იარაღის მსხვერპლი გახდა.

ქალაქ დავენპორტის პოლიციამ ერთ-ერთი მაღაზიიდან გამოძახება მიიღო. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ფეხში დაჭრილი მოკრივე და ჩხუბის დროს დაზარალებული ვინმე **სტიკ ჰოჯესი** აღმოაჩინეს. პოლიციის ცნობით, უცნობმა პიროვნებამ ჰოჯესი ჩხუბში გამოიწვია, ხოლო მოჩხუბრების გასაშველებლად მისულ ეჰოლსს პისტოლეტიდან ესროლა და მიიმალა.

35 წლის მოკრივე მსუბუქი ჭრილობით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

# TV სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 1 აგვისტო. ოთხშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-კოტბუსი.
**14:10** ამხანაგური მატჩი. ნიუკასლი-სელტიკი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი 1/4 ფინალი. არსენალი-ჩელსი. საპასუხო მატჩი.
**18:10** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. რომა-მილანი.
**19:55** უკრაინის ჩემპიონატი. ჩერნომორეცი-დინამო (LIVE).
**21:50** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:15** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:00** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-დორტმუნდი.
**08:40** მინი-მოედანი.
**09:00** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**09:10** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-რომა.
**10:55** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ჰართსი-ბარსელონა.
**12:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ხორვატიის ღია. პირველობა. ფინალი. უმაგი. ხორვატია.
**13:45** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**15:10** სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
**15:35** ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ჩივასი-ნიუ იორკი.
**17:25** მინი-მოედანი.
**17:40** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი.
**19:30** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**19:40** ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. ბაფალო-ოტავა.
**21:25** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**21:35** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-სევილია.
**23:25** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**23:35** რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1978 წელი. ქოვენთრი-ტოტენჰემი.
**01:25** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**01:40** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ჰართსი-ბარსელონა.
**03:25** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ხორვატიის ღია. პირველობა. ფინალი. უმაგი. ხორვატია.
**05:30** ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ჩივასი-ნიუ იორკი.

#### EUROSPORT

**10:30** ექსტრემალური სპორტი.
**11:00** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
**11:30** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ფინალი. შვეიცარია.
**12:30** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**13:00** ფეხბურთი. ევრო 2008.
**14:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ლატვიის გრან-პრი.
**15:00** სპიდვეი. მსოფლიო თასი. პოლონეთი.
**17:00** სნუკერი. უელსის ღია ჩემპიონატი. ფინალი. ნიუპორტი.
**19:30** ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
**20:00** მულტისპორტი.
**20:05** ცხენოსნობა. სუპერლიგა. ჰიკსტედი. ბრიტანეთი.
**21:05** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**21:10** მულტისპორტი.
**21:15** გოლფი. US PGA-ის ტური. კანადის ღია პირველობა. მარკჰემი.
**22:15** გოლფი. ევროპის ტური. SAP Open. გუტ კადენი. გერმანია.
**22:45** გოლფი. Evian Masters. საფრანგეთი.
**23:45** გოლფ-კლუბი.
**23:50** აფროსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალია.
**00:50** აფროსნობა. იახტ-კლუბი
**00:55** პოლო. არგენტინის საკლუბო თასი.
**01:25** მულტისპორტი.
**01:30** ექსტრემალური სპორტი.
**02:00** სპიდვეი. მსოფლიო თასი. პოლონეთი.
**03:00** ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.

#### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
**13:00** კალათბურთი. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. მამაკაცები. ფინალი. ბელგრადი. სერბეთი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
**17:30** ბილიარდი. პული. ევროპის ტური. ავსტრია.
**18:30** ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). კონფერენციის ჩემპიონატი. არენა ბოული. სან ხოსე-კოლამბუსი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** სერფინგი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** მულტისპორტი.
**23:00** ბილიარდი. პული. ევროპის ტური. ავსტრია.
**00:00** პრო-რესტლინგი.
**01:30** მულტისპორტი.
**02:00** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ჩემპიონთა ლიგა

| II საკვ. ეტაპი. I მატჩები | |
|---|---|
| პიუნიკი-შახტარი | 0:2 |
| ტამპერე-ლევსკი | 1:0 |
| კოპენჰაგენი-ბეითარი | 1:0 |
| გენკი-სარაევო | 1:2 |
| დებრეცენი-ელფსბორგი | 0:1 |
| ზაგრები-სტიაუა | 0:1 |
| რეინჯერსი-ზეტა | 2:0 |

#### უეფა

| I საკვ. ეტაპი. II მატჩი | |
|---|---|
| კაერიენსი-ლილესტრიომი | 1:0 (1:2) |

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ვატენშაიდი-ბოხუმი | 2:1 |
| ფრაიბურგი-კარლსრუე | 3:0 |
| აალენი-შტუტგარტი | 2:4 |
| ტვენტე-ქსანთი | 2:1 |
| ტოპ ოსი-ნიიმეგენი | 2:2 |
| ჰელმონდი-როდა | 3:1 |
| ბრონდბიუ-ჩელსი | 0:2 |
| კიოლნი-ბაიერნი | 3:1 |
| ბარნლი-უიგანი | 0:2 |
| ჰანოვერი-რეალი | 3:0 |
| ბორნმუთი-პორტსმუთი | 1:4 |
| კარლაილი-მიდლსბრო | 0:2 |
| ქოვენთრი-ესპანიოლი | 1:1 |
| ნორვიჩი-ვესტ ჰემი | 1:2 |
| პიტერბორო-ბირმინგემი | 0:3 |
| კრ. პალასი-ანდერლეხტი | 1:1 |
| ევერტონი-ვერდერი | 2:2 |

#### გერმანია

| რეგიონალლიგა (ჩრ) | |
|---|---|
| ვოლფსბურგი II-ბრაუნშვაიგი | 3:2 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| გიოტებორგი-ერებრუ | 2:0 |

#### ავსტრია

| II დივიზიონი | |
|---|---|
| შვადორფი-ავსტრია II | 1:3 |
| ავსტრია (ლ)-ლეობენი | 2:0 |
| გრატკორნი-ზალცბურგი II | 1:2 |
| კაპფენბერგი-ლუსტენაუ | 2:1 |
| კერნტენი-შვანენშტადტი | 0:1 |
| ბად ოსი-პარნდორფი | 2:3 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ტუნი-სტ. გალენი | 1:0 |

### კალათბურთი

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ჩინეთი-ანგოლა | 63:68 |
| სლოვენია-ახ. ზელანდია | 72:74 |
| თურქეთი-ავსტრალია | 59:64 |
| იტალია-ავსტრია | 86:65 |

### ჩოგბურთი

| ATP. სოპოტი | |
|---|---|
| კალერი-კუბეკი | 6:0, 6:7, 5:7 |
| ჩელა-როიტმანი | 1:6, 2:6 |
| ვასალო არგელო-მ. გონსალესი | 2:6, 6:3, 6:2 |
| ანდრეევი-ლაპენტი | 6:0, 6:4 |
| მასუ-დარცისი | 7:6, 6:7, 4:6 |
| პატიენსი-ოლეჟნიჩაკი | 7:6, 6:4 |
| ორნა-ვლიეგენი | 2:6, 7:6, 3:6 |
| სიმონი-ტროიცკი | 6:0, 7:6 |
| სტარაჩე-პაშანსი | 7:6, 2:6, 1:6 |
| რობრედო-კუბოტი | 6:4, 5:7, 7:5 |
| დავიდენკო-პაველი | 6:3, 6:4 |
| მაიერი-ტიპსარევიჩი | გადაიდო |

| WTA. სან დიეგო | |
|---|---|
| აზარენკა-ჩანი | 4:6, 6:3, 6:0 |
| ბამერი-ბონდარენკო | 6:4, 7:6 |
| საფაროვა-ტუ | 6:4, 6:3 |
| შონესი-პუჩკოვა | 6:3, 6:1 |
| პეერი-მირზა | 3:6, 6:4, 2:6 |
| სუგიამა-ამანმურადოვა | 6:3, 6:2 |
| შვედოვა-რაზანო | 6:7, 4:6 |

| WTA. სტოკჰოლმი | |
|---|---|
| კამერინი-გეორგესი | 5:7, 7:6, 4:6 |
| კანეპი-ფედოსოვა | 6:7, 6:3, 3:6 |
| ციბულკოვა-მიკალაიევა | 5:7, 6:0, 6:3 |
| დომაჩოვსკა-კვიტოვა | 4:6, 6:3, 6:1 |
| ლაინე-ბირნეროვა | 6:2, 6:7, 6:1 |
| მედინა გარიგესი-კლოზელი | 6:3, 7:6 |
| გრონეფელდი-ბენეშოვა | 6:0, 6:2 |
| მოისბურგერი-კოენი | 2:6, 4:6 |
| რუან პასკუალი-ჩანი | 6:4, 3:6, 6:2 |
| ვოზნიაჩკი-სტანჩიუტე | 7:6, 7:5 |
| ვესნინა-არვიდსონი | 6:1, 6:3 |

კალათბურთი

## ლეიკერსმა კარლის შვილი დაიმატა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" კონტრაქტი გააფორმა მცველ **კობი კარლთან**. ჯერჯერობით, ეს კალათბურთელი მხოლოდ იმით არის ცნობილი, რომ "დენვერ ნაგეტსის" მთავარი მწვრთნელის, **ჯორჯ კარლის** შვილი გახლავთ.

კობიმ NBA-ის წლევანდელ საზაფხულო ბანაკში 5 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ შეხვედრაში 12.2 ქულასა და 1.8 მოხსნას აგროვებდა.

## უებერი გაურკვევლობაშია

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ სად გაატარებს მომავალ სეზონს "დეტროიტ პისტონზის" ცენტრალური თავდამსხმელი **კრის უებერი**.

შესაძლოა ეს იყოს "ორლანდო", "დალასი" ან უებერის ამჟამინდელი კლუბი. თავად კალათბურთელის სურვილია, რომ კარიერა "დეტროიტში" გააგრძელოს, თუმცა ყველაფერი კლუბის ხელმძღვანელობაზე იქნება დამოკიდებული.

## დიაოს კირსკე შეცვლის?

ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე, საფრანგეთის ნაკრებში შესაძლოა ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი, **ტარიკ კირსკე** ვიხილოთ.

ორი დღის წინ, ფრანგებმა ამხანაგურ მატჩში დაამარცხეს შვეიცარია (74:56) და იმ შეხვედრაში კირსკემ შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. აი რა განაცხადა მატჩის შემდეგ, საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კლოდ ბერჟომ**: *"ტარიკმა ფანტასტიკური კალათბურთი აჩვენა. ის ყველა მაჩვენებლით საუკეთესო იყო: გადაცემებში, მოხსნებში, სროლებში... გარდა ამისა, მას შესანიშნავად ურთიერთობა აქვს გუნდის წევრებთან"*.

კირსკეს საკითხი ბოლომდე მაინც არ არის გადაწყვეტილი. თუ ნაკრების ხელმძღვანელობა წარმატებით ვერ გადაჭრის "ფინიქს სანსის" ფორვარდ **ბორის დიაოს** დაზღვევის საკითხს, მაშინ ტარიკი ევრობასკეტზე წავა.

## იტალიამ თურქეთს მოუგო

ევროპის ჩემპიონატისთვის იტალიის ნაკრებიც ემზადება, რომელიც ავსტრალიის, ავსტრიის, ხორვატიის, სერბეთისა და თურქეთის გუნდებთან ერთად ბორმიოს საერთაშორისო ტურნირში ჩაება.

პირველ მატჩში "სკუადრა აძურამ" 77:59 მოუგო თურქეთს. ამ გამარჯვებაში მთავარი წვლილი იტალიის ნაკრების ახალგაზრდა კალათბურთელებმა შეიტანეს. წლევანდელი დრაფტის მონაწილემ, "გოლდენ სტეიტის" ახალწვეულმა **მარკო ბელინელიმ** 16 ქულა მოიპოვა. მოედანზე იყო შარშანდელი დრაფტის პირველი ნომერი, "ტორონტოს" შემტევი მცველი **ანდრეა ბარნიანი**. ამ კალათბურთელმა ახლახან მოირჩინა თითის ტრავმა და მწვრთნელმა ის მხოლოდ 16 წუთი ათამაშა, რომლის განმავლობაშიც ბარნიანიმ 7 ქულა დააგროვა.

იტალიური კალათბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა, 18 წლის **დანილო გალინარიმ** 10 ქულა მიითვალა. ამ კალათბურთელს NBA-ში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ამდენივე ქულა მოუტანა იტალიას "სიენის" 23 წლის ცენტრმა **ანდრეა კროსარიოლმა**.

რაც შეეხება თურქეთის ნაკრებს, ის "იუტას" ცენტრის, **მეჰმეთ ოქურის** გარეშე თამაშობდა.

ბორმიოს ტურნირი 4 აგვისტოს დასრულდება.

## ბრაუნი იუტას ტოვებს

"იუტა ჯაზის" მცველმა **დი ბრაუნმა** კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი განაცხადა.

ბრაუნი ამჟამად თავისუფალი აგენტია. მისი უარი იმით არის განპირობებული, რომ რომ "ჯაზმენთა" რიგებში ახალი მცველი, **რონი პრაისი** ჩაირიცხა და ბრაუნს მასთან კონკურენცია აშინებს.

## ქუთლუაის აეკ ეპატიჟება

საბერძნეთის აეკ **იბრაჰიმ ქუთლუაის** გადაბირებას აპირებს. ბერძნულმა კლუბმა თურქ მცველს 500-ათასიანი კონტრაქტი შესთავაზა.

გარდა ამისა, ბერძნები ახალი მთავარი მწვრთნელის ძიებაში არიან. აეკ-ის ხელმძღვანელობა საუკეთესო ვარიანტად სერბი სპეციალისტის **დრაგან შაკოტას** აყვანას მიიჩნევს. ეს უკანასკნელი შარშან, "ცრვენა ზვეზდას" დამრიგებელი იყო. ჭორების მიხედვით, შაკოტასთან კონტრაქტის გაფორმება ამ კვირას არის დაგეგმილი.

## ბარსამ ნავაროს შემცვლელი იპოვნა

როგორც ცნობილია, "ბარსელონამ" თავის ლიდერს, **ხუან კარლოს ნავაროს** NBA-ში გადაბარგების ნება დართო. ამიტომაც, კატალონური კლუბი გამთამაშებლის პოზიციაზე ახალ კალათბურთელს ეძებს და ამ მიზნით "ოლიმპიაკოსში" მოთამაშე ამერიკელ **ალექს აკერს** დაუკავშირდა.

გაზეთ "სპორტის" ცნობით, "ბარსასა" და აკერს შორის კონტრაქტის დეტალები უკვე შეთანხმებულია. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ კალათბურთელს პარალელურად NBA-ის ერთ-ერთი კლუბი ეპატიჟება. თუმცა ესპანური პრესა დარწმუნებულია, რომ აკერი სწორედ "ბარსელონაში" გააგრძელებს კარიერას.

## ტაუ სპაჰიას ჩააბარეს

მომავალ სეზონში ესპანეთის "ტაუგრესს" ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. ULEB-ის ევროლიგის ნახევარფინალისტს ცნობილი ხორვატი სპეციალისტი **ნევენ სპაჰია** ჩაუდგა სათავეში.

შარშან, სპაჰია თელ-ავივის "მაკაბის" ხელმძღვანელობდა და ეს გუნდი ევროლიგის მეოთხედფინალში გაიყვანა, მაგრამ იმ ეტაპზე ისრაელის ჩემპიონი მოსკოვის ცსკა-სთან დამარცხდა.

მძლეოსნობა

## ფედერაციამ ეთიოპიელთა რეკორდები დაამტკიცა

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად დაამტკიცა ეთიოპიელი **ჰაილე გებრესელასიეს** ორი ახალი მსოფლიო რეკორდი. ცნობილმა სტაიერმა ეს რეკორდები ჩეხეთის ქალაქ ოსტრავაში, IAAF-ის მსოფლიო ტურის ეგიდით გამართულ ტურნირზე დაამყარა. მან ჯერ 20-კილომეტრიან დისტანციაზე აჩვენა ყველა დროის საუკეთესო შედეგი - 56.25,98, ხოლო შემდეგ, საათიან რბოლაში ყველაზე დიდი მანძილი დაფარა - ამ დროში მან 21.285 კილომეტრი გაირბინა.

გებრესელასიემ ორივე დისციპლინაში მექსიკელი **არტურო ბარიოსას** რეკორდები გააუმჯობესა, რომელიც ასევე ერთ დღეს, 1991 წლის 30 მარტს საფრანგეთში იყო დამყარებული - 56.55,60 და 21.101 კილომეტრი.

გარდა ჰაილეს მიღწევებისა, IAAF-მა ოფიციალურად სცნო 5 000 მეტრზე გებრესელასიეს თანამემამულის, **მესერეტ დეფარის** მსოფლიო რეკორდი. ამ მორბენალმა ქალმა ოსლოში დაამყარა ახალი რეკორდი, როცა თავისავე შარშანდელ მიღწევას თითქმის 8 წამი ჩამოაკლო და შემდეგი დრო დააფიქსირა - 14.16,63.



ტურ დე ფრანსი

# დოპინგსკანდალი გრძელდება


იბან მაიო

ფრანგული ველომარათონის დასრულებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დოპინგტესტი ჩააგდო ესპანურ გუნდ "სონიე დიუვალის" ბასკმა ლიდერმა **იბან მაიომ**. მეორე დასვენების დღეს მისგან აღებულ სინჯში, შემოწმებამ ერითროპოიეტინის ჭარბი შემცველობა აღმოაჩინა.

ეს ცნობა პირველად "სონიე დიუვალის" ვებგვერდმა გაავრცელა. მასზე წერია, რომ მაიოს დაუყოვნებლივ შეუწყდა გუნდის წევრობა და თუ განმეორებითი ტესტის შედეგი პირველ პასუხს დაემთხვევა, მაშინ მაიოს გუნდთან კონტრაქტი გაუუქმდება.

მაიოსთვის ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა მისგან აღებულ სინჯში აკრძალული ნივთიერების კვალი აღმოჩნდა. სულ რაღაც ერთი თვის წინათ, ჯიროს დროს მან დოპინგტესტი ჩააგდო. მაშინ მის სინჯში ტესტოსტერონის ჭარბი შემცველობა დადგინდა. თუმცა, მოგვიანებით, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა ესპანელი ველომრბოლი გაამართლა.

29 წლის მაიო იმ იშვიათ ველომრბოლთაგანია, ვინც ტურის სამთო ეტაპებზე, თვით **ლენს არმსტრონგსა** და **იან ულრიხს** უწევდნენ კონკურენციას. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ ესპანელმა 2003 წლის ტურის დროს ალპ დუზის ურთულეს სამთო ეტაპზე არმსტრონგს აჯობა. ტურის დაწყებამდე კი ასევე დოფინ ლიბერეს პრესტიჟული რბოლა მოიგო. გასულ ჯიროზე მან ასევე მეტად რთული, ტერმე დი კომანოს სამთო ეტაპი მოიგო, დოპინგზე კი სწორედ ამ ეტაპის შემდეგ ჩავარდა.

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (UCI) პრეზიდენტი **პატრიკ მაკქუეიდი** ამბობს, რომ კავშირის დოპინგსაწინააღმდეგო სამსახურს მაიოს გაზრდილი ყურადღების ქვეშ ჰყავდა მოქცეული. ის აღიარებს, რომ კავშირი ამისათვის თვალთვალსაც არ ერიდებოდა, რადგან წინასწარ იცოდნენ იმის შესახებ, რომ მაიო დოპინგს იყენებდა.

*"მაიო ჩვენ სტარტიდანვე მიზანში გვყავდა ამოღებული. ველომრბოლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ შორის საუკეთესოები ჩვენს ყურადღებას იქცევენ. მაოცებს ის ფაქტი, რომ ბევრი მათგანი ჯერაც იყენებს ერითროპოიეტინს. ჩვენ ხომ მისი აღმომჩენი უტყუარი ტესტი გაგვაჩნია"*, - ამბობს მაკქუეიდი.

მისი თქმით, ყაზახ **ალექსანდრ ვინოკუროვს** შეიძლება ეგონა, რომ სისხლის დოპინგზე ვერ ჩავარდებოდა, რადგან ასეთი დოპინგის აღმოჩენის მეთოდოლოგიას ამ ეტაპზე მხოლოდ ლოზანის ლაბორატორია ფლობს. მაგრამ, ტურის წინ, ლოზანელებმა თავიანთი გამოცდილება შატენემალაბრის (საფრანგეთი) ლაბორატორიას გაუზიარეს და ვინოკუროვის დაჭერაც შესაძლებელი გახდა. მაკქუეიდის თქმით, ამის შესახებ, ვინოკუროვს ინფორმაცია არ უნდა ჰქონოდა.

პარალელურად, დოპინგთან ბრძოლის გერმანელი ექსპერტის **ვერნერ ფრანკეს** თქმით, მას ეჭვი აქვს, რომ დოპინგის საკითხში სუფთა არც ტურის ახალი ჩემპიონი, ესპანელი **ალბერტო კონტადორია**. ის ირწმუნება, რომ კონტადორი ოპერასიონ პუერტოშია გარეული. ფრანკემ ტურზე კონტადორის გამარჯვებას "სპორტის ისტორიაში ყველაზე უტიფარი ტყუილი" უწოდა. ის ამბობს, რომ ოპერასიონ პუერტოს საქმეში ფიგურირებს არამხოლოდ ტურის ჩემპიონის სახელი, არამედ იმ სუბსტანციების დასახელებაც (ინსულინი და სხვადასხვა ჰორმონები, რომლებიც ორგანიზმში ტესტოსტერონის გამომუშავებას ასტიმულირებენ), რომლებსაც ის იყენებდა.

კონტადორზე ეჭვი აქვს გერმანელ ველომრბოლ **იორგ იაკშესაც**, ვინც ცოტა ხნის წინათ აღიარა ოპერასიონ პუერტოში თავისი მონაწილეობა. მისი თქმით, პუერტოს სიაში არსებული ინიციალები "A.C." სწორედ ტურის ახალ ჩემპიონს ეკუთვნის.

*"თუ ქალი არ ხართ, ერთადერთი მიზეზი, რის გამოც გინეკოლოგ ფუენტესთან მისვლას აზრი აქვს, დოპინგია. მის სიაში ჩემს აღსანიშნად ინიციალები (JJ) გამოიყენეს. ამ სისტემით, ინციალი AC ალბათ კონტადორს უნდა ეკუთვნოდეს"*, - ამბობს იაკშე და დასძენს, რომ ერთადერთი, ვინც ყოველივეს შესახებ შეიძლება იცოდეს, თავად კონტადორია.

კონტადორმა პროფესიონალი ველომრბოლის კარიერა ესპანურ გუნდ O.N.C.E.-ში, **მანოლო საისთან** დაიწყო. მაშინ ის იუნიორთა გუნდში ჩაირიცხა, სადაც ასევე გამოდიოდა იაკშე. ოპერასიონ პუერტოში საისიც იყო გარეული, რის გამოც მას ველოსპორტში მოღვაწეობა აეკრძალა.

კონტადორი ამბობს, რომ საისის გუნდში მისი ყოფნა დიდი შეცდომა იყო. მაგრამ ამ კაცთან ახლო ურთიერთობა არ მქონიაო, ირწმუნება. ესეც რომ არა, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირს უკვე გადაუმოწმებია პუერტოში მისი შესაძლო მონაწილეობის საკითხი და ესპანელი ველომრბოლისგან ყოველგვარი ბრალდებაც მოუხსნია.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ტურნირები

### WTA

**Acura Classic**

სან დიეგო (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 1 340 000 დოლარი

**I წრე**

**ელენა დემენტიევა (რუს, 9)**-კატალინა კასტანიო (კოლ) 6:4, 3:6, 6:1; **ვენუს უილიამსი (აშშ, 10)**-ანასტასია როდიონოვა (რუს) 6:3, 6:0; **პატი შნიდერი (შვეიც, 11)**-ჯამეა ჯექსონი (აშშ) 6:2, 6:1; **ტატიანა გოლოვინი (საფ, 13)**-ხისელა დულკო (არგ) 6:1, 2:6, 6:2; **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 14)**-შუაი პენგი (ჩინ) 3:6, 6:3, 6:4; **ანჟელიკ კერბერი (გერ)**-ბრიტანი აუგუსტინი (აშშ) 6:0, 6:1; **მარია კირილენკო (რუს)**-ჰანა სრომოვა (ჩეხ) 6:1, 6:2; **ვანია კინგი (აშშ)**-ასია მუჰამედი (აშშ) 7:6 (2), 6:0; **კამილ პინი (საფ)**-ტატიანა პუჩეკი (ბლრ) 6:3, 4:6, 6:2; **ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ)**-ლაურა გრენვილი (აშშ) 6:4, 5:7, 6:4; **ენ კრემერი (ლუქ)**-აკიკო მორიგამი (იაპ) 7:5, 4:6, 6:2; **ელენი დანილიდუ (საბ)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:4, 6:4; **აიკო ნაკამურა (იაპ)**-მილაგროს სეკერა (ვენ) 7:5 სეკერას უარი; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ)**-იულიანა ფედაკი (უკრ) 6:7 (6), 7:5, 6:2; **ელენა ბოვინა (აშშ)**-კოკო ვანდევეგე (აშშ) 6:3, 7:5.

**Nordea Nordic Light Open**

სტოკჰოლმი (შვედეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 145 000 დოლარი

**I წრე**

**აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 2)**-ტაიანა მალეკი (გერ) 6:2, 6:1; **ემილი ლუა (საფ, 3)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 6:4, 6:2; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ)**-ნატალი დეში (საფ, 5) 7:6(3), 6:3; **ვერა დუშევინა (რუს, 8)**-ჰანა ნოონი (შვედ) 6:2, 4:6, 6:1; **კლარა ზაკოპლაოვა (ჩეხ)**-მიხაელა იოჰანსონი (შვედ) 5:7, 6:2, 6:3.

### ATP

**Legg Mason Tennis Classic**

ვაშინგტონი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 600 000 დოლარი

**I წრე**

**ევგენი კოროლიოვი (რუს)**-რიკარდო მელო (ბრა) 6:4, 6:4; **პოლ კაპდევილე (ჩილ)**-ილია ბოჟოლიაკი (სერ) 4:6, 6:3, 6:0; **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 3:6, 6:2, 7:5; **იან ჰერნიხი (ჩეხ)**-ნათან ჰილი (ავსტრა) 6:3, 1:1 ჰილის უარი; **იგორ კუნიცინი (რუს)**-სებასტიან გროსჟანი (საფ) 6:7 (3), 6:4, 6:3; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-ალექს ბოგდანოვიჩი (ბრიტ) 6:4, 6:2; **მარტინ კლიჟანი (სლოვაკ)**-კონსტანტინოს ეკონომიდისი (საბ) 6:4, 6:3; **ტომას იოჰანსონი (შვედ)**-სანტიაგო ხილარდო (კოლ) 7:6 (7), 6:7 (5), 6:4.

**Orange Prokom Open**

სოპოტო (პოლონეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 425 250 ევრო

**I წრე**

**მიხალ პრჟისიეჟნი (პოლ)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა, 4) 6:4, 2:6, 7:5; **მარიანო საბალეტა (არგ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 6) 6:3, 7:5; **ალბერტ მონტანიესი (ესპ)**-დიეგო ჰარტფილდი (არგ) 6:1, 6:3; **ხოსე აკასუსო (არგ)**-ვერნერ ეშაუერი (ავსტრია) 6:2, 6:3.


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
**პაატა გელაშვილი**

რედაქტორები
**მამუკა ჩიხლაძე**
**გია თვალაბეიშვილი**

ქართული სპორტი
**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**პაატა თოთაძე**
**მერაბ მამულაშვილი**
**დავით ცაგაძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**
**გია ტუხაშვილი**
**დავით თავართქილაძე**
**ირაკლი თავაძე**
**ვაჟა სიმონიშვილი**
**ზვიად შათირიშვილი**
**კობა ხატისაშვილი**
**ბესიკ ჯანგავაძე**

უცხოური სპორტი
**შალვა ბიბილაშვილი**
**გოგა ახალაძე**
**გოტფრიდ ლენცი**
**ილია ნიკოლაიშვილი**
**მერაბ ლორთქიფანიძე**
**დავით ჩუბინიძე**
**ზურაბ თალაკვაძე**

რეგიონული კორესპონდენტები:
**დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი**

ფოტო
**ალექსანდრე კოტორაშვილი**
**ნუგზარ სუარიძე**

ტექნიკური რედაქტორი
**მიხეილ ჯაში**

ტექნიკური ჯგუფი:
**მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი**

კორექტურა
**ლელა ხომასურიძე**
**ლევან ბიბილაშვილი**

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
**დავით მაისურაძე** (დირექტორის მოადგილე),
**გივი ვეშაპიძე,**
**ქეთევან დიდბერიძე**

მარკეტინგის სამსახური
**თამარ ჯიშკარიანი** (ტ: 46 34 48)
**ბაქარ გაჩეჩილაძე** (ტ: 899 91 87 17)
**შალვა ებანოიძე**

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**